

# დღისთვისა და საქარაუკუნო



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАՐՏՎԵԼՈ

17 იანვარი, 2014 წ.

№2 (3688)

ბამონების 78-ე წელი

ფასი 1 ლარი

## ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

მოგესალმებით, ბატონო ბიძინა! გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას, გისურვებთ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას თქვენს ოჯახთან და თქვენგან „განთავისუფლებულ“ სამშობლოსთან ერთად.

ბატონო ბიძინა, ჩვენი გაზეთის ამ გვერდზე დასტამბულ სურათზე აღბეჭდილია ის მომენტი, ახალი მთავრობის ახალ წევრებთან ქუთაისში თქვენი პირველი შეხვედრისას რომ გადმოგეცით ჟურნალ „ამერ-იმერის“ პირველი ნომერი (ფოტო გადმოგეჭდილია ტელემაუწყებლობა „მაესტროს“ კადრიდან (2012. 3. 11).

ჟურნალ „ამერ-იმერის“ პირველმა ნომერმა თუ როგორ მოაღწია თქვენამდე, ეს სხვა თემაა; ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის თუ კანცელარიის

რომელ თაროზე „ჩამოსვენა“ ახალმა ჟურნალმა, რომელსაც ე. წ. ფაილი ერთვოდა თქვენი უახლოესი მეგობრის, კლასიკოსი მწერლის, ჭაბუა ამირეჯიბის წერილით (სურათზე კარგად ჩანს „ფაილის“ ფორმები)!

ბატონო ბიძინა! ორი წელი გავიდა – აღნიშნული წერილი ბატონმა ჭაბუამ 2012 წლის იანვარში დაწერა – მთელი ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, ვერც წერილის ამბავი გავიგეთ და ვერც თქვენთან შეხვედრა მოგვიხერხდა. კარგად გვესმის თუ რატომ ვერ მოიცალეთ მწერლობისთვის – დასალაგებელი იყო ქვეყანა, მისი მმართველობა და ასე შემდეგ...

ბატონო ბიძინა, ამ პატარა წერილში ძნელია, გიამბოთ, რა და რამდენი უბედურება სჭირს

ჩვენს კულტურას! იმედს ვიტოვებთ, რომ დაინტერესდებით ჭაბუა ამირეჯიბის წერილით (ანალოგი რედაქციაში ინახება!), დროს გამოხატავთ (ახლა ხომ „სამოქალაქო სექტორში ბრძანდებით“ და ორიოდ წუთით მიგვიღებთ ჟურნალის გამომცემლებს, რითიც ძალიან დაავალებთ მთლიანად ქართულ მწერლობას!

წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით

*ვაჟა ჩორდელი  
ჯემალ დავლიანიძე  
ზურაბ თორია  
თემურ შავლაძე  
ავთანდილ სიხარულიძე  
ვოგი მამაცაშვილი*



ბატონო ბიძინა! ამ ფოტოს მწერლებმა ჟურნალის დაბადების მეტრიკა დაარქვეს!

გვ. 3-4


ელჩიზბარ ჯავახიშვილი



შხაშიანი გუგუნი ალაოგან სურნალოვან ზეთს

გვ. 5-6


ქობა იაკობ აბა არაბული



ფსოვის საკრალურ ღრთა მისგირია

გვ. 7


ბენო კალანდია



საგალოგლეგი უფლისთვის

გვ. 3-18

ფედერიკო ბარსინა ლორკა



ლექსეგი

# ერთი დღის ქრონიკა

## (შეხვედრა ჭაბუა ამირეჯიბთან)

ძალიან ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ ჭაბუა ამირეჯიბი აღარ არის – არა-და ორმოცი დღე შესრულდა მისი აღსასრულიდან. დიდი ქართველი მწერალი

წელს მთავრობის მიერ მიღებული კანონის თანახმად ერთგვარად შეიცვალა არჩევნების წესი. ახალი წესდების შესაბამისად აკადემიის სამეცნიერო საბჭომ



– ეს არასაკმარისია მისი პიროვნების საზოგადოებისათვის წარსადაგენად. იგი იყო ამირეჯიბების ძირძველი თავადური გვარის მემკვიდრე, გამორჩეულად აღნაგვი, საოცარი ნიჭის პატრონი, ყმანვილკაცობიდან მწერლობით გატაცებული, ღრმად განათლებული პიროვნება; ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ჭაბუა ამირეჯიბმა, როგორც თავად აღნიშნავდა „უკუღმართად“ გაატარა. არ გავიმეორებ საყოველთაოდ ცნობილ ამბებს მისი მძიმე ცხოვრების პერიოდის შესახებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ მას სხვადასხვა განაჩენით მისჯილი ჰქონდა: ორჯერ დახვრეტა და ოთხმოცდასამი წლის პატიმრობა. რისთვის? – იკითხავს მკითხველი. სამშობლოს სიყვარულისთვის. „დათა თუთაშხიას“ გამოქვეყნების შემდეგ ჭაბუა ამირეჯიბმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და ღირსებით ჩადაგა ქვეყ-

გადანწყვიტა საპატიო აკადემიკოსად აკადემიის დიდი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი. საკითხი აკადემიის საერთო კრებას უნდა დაედგინებინა. აქ გარკვეული პროცედურის ჩატარება იყო საჭირო. პირველ რიგში საჭირო იყო ბატონი ჭაბუას თანხმობა აკადემიაში არჩევაზე. შეთანხმება აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს და მე დაგვევალა. დავურეკე ბატონ ჭაბუას მეუღლეს ქალბატონ თამარ ჯავახიშვილს – შესანიშნავ პოეტსა და ლიტერატურათმცოდნეს. ავუსხენი ქალბატონ თამარს ჩემი დარეკვის მიზეზი და ვთხოვე, მეუღლე შეემზადებინა ჩვენი ვიზიტისათვის. მოგეხსენებათ, ჭაბუა ამირეჯიბი ავადმყოფობდა, მძიმე სენით იყო შეპყრობილი და, ცხადია, მის სანახავად დროის შერჩევა იყო საჭირო. აპრილის დასაწყისი იყო. დანიშნულ დროს ბატონი თამაზ გამყრელიძე და



ნის მწერლობის კლასიკოსთა რიგში. ამ წერილის მიზანია, რომ მკითხველს მივანოლო ინფორმაცია ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრების ერთი დღის შესახებ. გასული წლის 1 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში დაინიშნა მორიგი არჩევნები აკადემიის წევრებისა. შევხსენებ მკითხველს, რომ სხვადასხვა დროს აკადემიის წევრები იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, ანა კალანდიაძე, მუხრან მაჭავარიანი. 2008

მე ვეახლეთ ბატონ ჭაბუას. ღიმილითა და კეთილი განწყობით დაგვხვდა ქალბატონი თამარი. ჩვენი ვიზიტით ძალზე კმაყოფილი იყო ბატონი ჭაბუაც. მე ჭაბუა ამირეჯიბს ახლოს ვიცნობდი. კეთილი, მეგობრული ურთიერთობა (ზოგჯერ შემოქმედებითი) მქონდა მასთან. მეცნიერებათა აკადემიის მიერ ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ ტომეულები მივუტანე ძღვნად, რითაც ძალიან გაიხარა მწერალმა. ქალბატონი თამარი ტრადიციულად გაგვიმასპინძლდა. ასე გასიხვეთ“


ცოტა წითელი ღვინო ჭაბუამაც მიირთვა. ბატონმა თამაზმა და მე თავაზიანად მოვიკითხეთ. მოგეხსენებათ, რომ ბატონ ჭაბუას ბოლო წლების მანძილზე, საკმაო მძიმე ოპერაციის შემდეგ, ხმა „დაკარგული“ ჰქონდა.

ამ წერილის მიზანიც ამ რთულ ვითარებაში ის არის, რომ მკითხველს თვალსაჩინოდ წარვუდგინოთ ამ რთულ ვითარებაში ჩვენი და ბატონი ჭაბუას „საუბარი“. ჭაბუა ამირეჯიბს საგანგებო პატარა დაფა ჰქონდა, რომელზეც გრაფიკით წერდა და ასე „ამბობდა“ თავის სათქმელს, ასე გვცემდა პასუხს ჩვენს შეკითხვებზე. ეს პროცესი ფოტოგრაფიულად გადაიღო ურნალისტმა ალექსანდრე უნაფქოშვილმა და გვინდა მკითხველს წარმოვუდგინოთ იგი.


როცა მწერლის ჯანმრთელობა მოვიკითხეთ, შეკითხვაზე თუ როგორ იყო, ჭაბუამ აიღო დაფა და მოკლედ დანერა „ნანგრევილა ვარ, მაგრამ ვარსებობ მაინც“.




ბატონმა თამაზ გამყრელიძემ ჩვენი მისვლის მიზეზი გახსნილად უთხრა და თანხმობა სთხოვა აკადემიის საპატიო წევრად არჩევაზე, ჭაბუა ამირეჯიბმა გაილიმა და დაფაზე ღიმილიანმა დანერა: „ვინმეს უარი უთქვამს?“




ამის შემდეგ საუბარი გვექონდა იმის თაობაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი საპატიო წევრები და უცხოელი წევრები გვყავს. დავუსახველეთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი მეცნიერი. ბატონმა ჭაბუამ კმაყოფილებით ახალი წარწერა გააკეთა: „მაგ კამპანიაში მოვხვდი!!! ამაზე დიდი გამარჯვება რაღაა?“




როცა ბატონმა თამაზმა და მე ჭაბუას ამგვარი პასუხით კმაყოფილება გამოვხატეთ და ვუთხარით, რომ ღრმად ვიყავით დარწმუნებული მის საპატიო აკადემიკოსად არჩევაში – საერთო კრება უსათუოდ მიესალმებოდა და მხარს დაუჭერდა ამ ფაქტს, ბატონი ჭაბუა ერთგვარად აღეუღა და ახალი წარწერა გააკეთა: „ცრემლს ძლივს ვიკავებ“.



შემდეგ ვისაუბრეთ სხვადასხვა საკითხებზე. ბატონ ჭაბუას საკმაო საინტერესო სამომავლო გეგმები ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ იგი ჩვეული წინით ებრძოდა მძიმე ავადმყოფობასაც. აქ ფასდაუდებელია ქალბატონ თამარ ჯავახიშვილის – ჭაბუას ერთგული მეუღლის – როლი. მინდა მოვიტანო თავად ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვები მისი ე.წ. ავტობიოგრაფიულიდან: „... აგერ, უკვე ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე მყავს გასაოცარი მეუღლე, პოეტი თამარ გრიგოლის ასული ჯავახიშვილი. ამ ხნის მანძილზე არამც თუ რაიმე ექსცესს, სერიოზულ შელაპარაკებასაც კი არ ჰქონია ადგილი. ვცხოვრობთ მშვიდად და ბედნიერად, რამდენადაც ჩვენს „ანენილ“ დროშია შესაძლებელი“... ჩვენს საუბარში ქალბატონი თამარიც იღებდა მონაწილეობას. სიტყვა ჩამოვარდა ჭაბუა ამირეჯიბის ნათესავებზე, რომელთა უმეტესობა რეპრესირებული იყო. ძალიან დიდი გულისტკივილი გამოხატა ბიძის, შალვა ამირეჯიბის გამო, რომელიც იძულებული იყო სამშობლო დაეტოვებინა და უცხოეთში დაეღია სული. ბატონმა ჭაბუამ ტკივილიანი წარწერა გააკეთა: „ცხოვრება ხშირად უსამართლოა – შალვასთან კაცი თავის სამშობლოში რომ არ წევს“.



ერთგვარი ტკივილით გამოვეთხოვეთ ბატონი თამაზი და მე ჩვენს საინტერესო და მეტად ძვირფას მასპინძლებს. ბატონმა ჭაბუამ – ბერმა დავითმა, ისარგებლა უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით მიღებული უფლებით და მხურვალედ დაგვლოცა, თან წარწერა გააკეთა: „უღრმეს მადლობას მოგახსენებთ. მაგდენის ღირსი ვარ კია?“



2013 წლის პირველ მაისს დიდი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის საპატიო წევრად ერთხმად აირჩია...

დღეს ჭაბუა ამირეჯიბის – ბერი დავითის – გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეა. შევთხოვეთ უფალს, რომ მართალთა შორის, ნათელში ამყოფოს მისი სული.

**როინ მებრეკელი**  
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

# შხაიანი გუზაგი ალაოგენ სურნელოვან ზეთს

(ბ. მოდუბაძის წერილის პასუხად)

მაგრამ ეს როდი ანუხებს „ქართველ ერზე მჭმუნვარე კრიტიკოსს“; ამ ცოდვისსვილს მხოლოდ ის ადარდებს, რომ „სამწუხაროდ დასრულდა მხოლოდ მისი ფიზიკური არსებობა. ერთიანი საქართველო კი 1991 წლის დეკემბერში დაასრულა და დაასამარა: 1) თავისი პოლიტიკური სიბეცით, 2) ნეონაციისტური ლოზუნგებით და პარანოიკული განცხადებებით ჯერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას აქცევიან ჩვენთვის ზურგი, რითაც საქართველოს ამ ძირძველი კუთხეების დაკარგვას ჩაუყარა საფუძველი, 3) ხოლო შემდეგ ქართველი ერი შუაზე გახლიჩა და ძმათაშვილი ომი გააჩაღა; 4) თავის უმეცრებით ქვეყნის ეკონომიკა გაანადგურა და ბეჭებზე დასცა (აქ იხსენებს სამტრედიის რკინიგზის გადაკეტვას - ე. წ.), რითაც ფაქტობრივად საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის პარალიზება მოახდინა; 5) აბსოლუტური ორგანიზატორული უუნარობის და პიროვნული სისუსტის შედეგად, როცა საქართველო იურიდიულად და ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა (1991 წლის 26 დეკემბერი) და დაწყებულად შეეძლო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, მან თავის „აღმშენებლობით დაასრულა“, ქვეყნის მართვის სადავეები ხელიდან გაუშვა, პრეზიდენტის ძალაუფლება ფაქტობრივად დაკარგა და ესტაფეტა კანონიერ ქურდების და ბანდიტების, შემდგარ კონგლომერატს გადაულოცა. 6) ხოლო ის ეკონომიკური და პოლიტიკური უმეცრებისა და უნიგურების ბაკქანალია, რასაც მან და მისმა გუნდმა ჩაუყარა მყარი საფუძველი, გრძელდება, დღევანდელს და მის სავალალო შედეგებს დღემდე ვიმკით. 7) ზუსტად იმ ავანტიურისტულმა პოლიტიკამ, რომელსაც მან ჩაუყარა საფუძველი, დააპატარავა საქართველო, დააცოტავა და დააბეჩავა მისი მოსახლეობა“.

რა მეთქმის?! საქართველოს მართლაც შავი და უბედური დღე გაუთენდა, ამ ნასუკარი ავანტიურისტის ნაბოვდვარს რომ ისმენს, და მეც ცუდ დღეში ვარ, ამ გონებადბნელებულს, თავი სოკრატედ რომ წარმოუდგენია, მაგრამ სოკრატესეული ფრთიანი ფრაზა, რომელიც ასე უღერს: „მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“, დაიწყებია, ნებსით თუ უნებლიეთ პასუხი უნდა გავცე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ ერთობ საშიშ ფენომენთან გვაქვს საქმე. ეს გახლავთ ერთ საიდუმლო ლაბორატორიაში გამოყვანილი ჯიში, რომელიც ეროვნულობას ამოფარებული ნიღბით ებრძვის სწორედ ეროვნულ სულს და ცნობიერებას და, როგორც ამ ჭაობში ამოზრდილ სწევით, უკადრებელს კადრულობენ და ყველაფერზე ხელს აწერენ, რომ როგორმე საკუთარი კეთილდღეობა აიმაღლონ და კარიერის ხეზე რაც შეიძლება მალა აბობდნენ. ამიტომაც ის სიტყვასიტყვით იმეორებს იმ დაუსაბუთებელ ბრალდებებს, რაც ადრევე შეითხნა სუკმა და მას სულგაყიდული ე.წ. ლიბერალტები და პოლიტიკური ელიტა, მასონების ნასუფრალით რომ იკვებებიან, ქადაგებენ.

ახლა პირველივე სიტყვას მოვიდეთ და გავიხსენოთ, რას აბრალებს საქართველოს თავისუფლებისთვის თავგანწირულ ადამიანს ეს სოროში გამოზრდილი თახვი, თავისი სარჩო-საბადებლის მოძიების გარდა სხვა რომ არაფერი აინტერესებს და შეუძინებელი ვირთხასავით გაყურსული ელოდა, როდის გამოაჭენებდნენ სცენაზე ღირსეულ ეროვნულ ადამიანთა „ლაფში ამოსასერულად“. ამასთანავე, ეს სატანისტური ბრალდებანი ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე არის უტიფრად გაცხადებული:

1) თურმე ნუ იტყვი, ზვიად გამსახურდია პოლიტიკურად ბეცი იყო. ამას რომეც ადამიანი, რომელსაც წარმოადგენა არ აქვს არა თუ მსოფლიოს თანამედროვე მიმდინარე პროცესებზე, არამედ ქვეყნის შიგნით არსებულ პრობლემებზეც. ირკვევა, რომ მას ქართველთა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და საბჭოთა კავშირისგან გამოყოფა, საბჭოთა კავშირის ჯარების გაყვანა, დესტრუქციული შესვლასა და კომუნისტურ იდეოლოგიაზე უარის თქმა პოლიტიკური სიბეცე ჰგონია. ახლა მინდა ამ ბისმარკს ვკითხო: ზვიად გამსახურდიას ერთი წერილიც თუ გაქვს წაკითხული, გამოკვლევებსა და მონოგრაფიებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ყველაფერიდან ჩანს: არა! მაშინ შენი უთავბოლოდ განელილი წერილი რომ მთავრდება, იქვე დაბეჭდილია ბატონი ზვიადის ღრმა სიბრძნით, ეროდიციითა და კრიტიკული ანალიზით გაჯერებული სტატია, იქნებ, მოიცალო და წაკითხო - ეგება, ღმერთი შეგენიოს, გონების ბინდი გაგვფანტოს და მცირედი მაინც გაიგო.

მეორეც: ის, ასე განსაჯეთ, „გამოირჩეოდა ნეონაციისტური ლოზუნგებით და პარანოიკული განცხადებებით, რომლებმაც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას აქცევიან ჩვენთვის ზურგი და საქართველოს ამ ძირძველი კუთხეების დაკარგვას ჩაუყარა საფუძველი, შემდეგ ქართველი ერი შუაზე გახლიჩა და ძმათაშვილი ომი გააჩაღა“.

ამ ამონარიდში რამდენი სიტყვაც არის, იმდენი შეცდომა თუ ცილისწამებაა. თუმცა, თუ იმას გავიხსენებთ, რომ მთელი მისი ვრცელი წერილი ცილისწამებაზეა აგებული, ეს არ უნდა გავივიკვირდეს. მაგრამ უსინდისობასაც ხომ აქვს საზღვარი!.. ერთობ საინტერესოა, რომელ ნეონაციისტურ ლოზუნგებს გულისხმობს იგი?! ალბათ, იმ ყბადაღებულ ფრაზას - საქართველო ქართველებს ეკუთვნით, რომელიც ზვიად გამსახურდიას მიერ იქნა გამოცხადებული, რაც მას არასოდეს უთქვამს, მაგრამ სუკში ჭორების გავრცელების განყოფილებაში შეიქმნა და მერე მოდებადის მსგავსი სულნამცეცა ადამიანები მუდმივად იმეორებდნენ და ავრცელებდნენ. თუ ეს ცილისწამება არ არის, დამისახელოს ამ მართლაც ცილისწამებულმა ბატონი ზვიადის ამ აზრის გამოხატველი თუნდაც ერთი ფრაზა. ცხადია, ამას ვერ მოიმოქმედებს, რადგანაც მსგავსი რამ არც როდის თქმულა. მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ მის მსგავს პოლემისტებს, თავისუფლების ჭაობში ამოზრდილებს და კმარელების ნაშობს, ეს არ ანუხებთ, რამეთუ მათთვის მთავარია, ადამიანს ცილი დასწამონ და მერე კი იმან კეთილი ინებოს, თავი იტეხოს და თავი იმართლოს. მთავარია, შეურაცხყო მამულიშვილი, დააბრალო მას პარანოიკობა და მერე მკითხველმა იტეხოს თავი, იკვლიოს, ვინ ვინ არის. ამგვარია ამ მართლაც პარანოიკების ბრძოლის ხერხი. აქვე უნდა დავძინო, რომ „სალიეთელი სოკრატეს“ წერილში გადმოფრქვეული ცილისწამებები მაფიქრებინებს მხოლოდ ერთს: საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ პარანოიკთან, რომელსაც მკურნალობა ესაჭიროება!..

ახლა ცილისწამების შედეგად მიღებული დასკვნები, რომლებიც გვაუწყებს., რომ ზვიად გამსახურდიამ ჩაუყარა საფუძველი ძირძველი ქართული კუთხეების დაკარგვას და ქართველი ერის შუაზე გახლიჩას. ეს უკვე უფრო დიდი ბრალდებაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და პირადად მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქმე გვაქვს გამოკვებულთან ახლახანს გამოვარდნილ არსებთან, რომელსაც არაფერი გაუგია და არც სმენია. არ მინდა დავიჯერო, რომ საერთოდ წარმოადგენა არა აქვს, რა ხდებოდა იმ დროს. ვიცი, მას ვერაფერს შევასმენ,

ამიტომაც საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შევასხენებ, რომ აფხაზეთში იმ ხანად ერთობ დაძაბული ვითარების გამო ზვიად გამსახურდიამ და აკადემიკოსმა ლევან ალექსიძემ შეცვალეს ადგილობრივი უზენაესი საბჭოს დაკომპლექტების წესი და აფხაზეთს ორი დეპუტატით მეტის არჩევის უფლება მიანიჭეს, რაც, რა თქმა უნდა, მათ არსებული კონსტიტუციური სივრცეებიდან გასვლის ნებას არ აძლევდათ. მაგრამ ამ ტოლერანტულმა გადაწყვეტილებამ აფხაზეთი დააშოშმინა და ჩვენდამი მათი დამოკიდებულება სასიკეთოდ შეიცვალა. მოკლედ, გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს აფხაზეთში საიმედო მშვიდობა სუფევდა. რაც შეეხება ე.წ. ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, რომელმაც ისარგებლა არსებული დაძაბული ვითარებით, თავად გააუქმა ავტონომიური ოლქის სტატუსი და უკანონოდ ავტონომიურ რესპუბლიკად გამოაცხადეს იგი, რაც საქართველოს კონსტიტუციის თვითნებური უგულვებლყოფა იყო. ასე რომ, ზვიად გამსახურდიამ კანონიერად გააუქმა თვითმარქვია რესპუბლიკა. სხვათა შორის, ეს ბორის ელცინმაც აღიარა, როცა ეს გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია და ყაზბეგში ორმხრივ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ასე რომ, თვალთვან წირული მოიბანე, ყურები კარგად გამოიწმინდე და, თუ ოდნავ მაინც აზროვნების ნატამალი შეგჩენია, გაიგე როგორმე, ტერიტორიები ვინ დაკარგა. ხოლო, რაც შეეხება ერის გახლიჩას, ეს რამაც განაპირობა, ქვემოთ მოგახსენებ, მაგრამ შუაყარე კედელს ცერცვი და არ მგონია, შენ რაიმე შეგავნებინო.

კიდევ ერთი ცილისწამება: თურმე ზვიად გამსახურდიამ თავისი უმეცრებით ეკონომიკა გაანადგურა და ბეჭებზე დასცა. ამის მაგალითად მას მოჰყავს საქართველოს გულში რკინიგზის გადაკეტვა, რამაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის პარალიზება გამოიწვია. „ეკონომიკის ღრმა მცობდენ“ თუ სამტრედიის ორ თუ სამდღიან აქციას მიიჩნევს ქართული ეკონომიკის დაქცევისა და მიწასთან გასწორების მიზეზად, ეს უკვე თავისთავად მეტყველებს მისი აზროვნების „მაღალდონეზე“. იმავდროულად, სტატისტიკის საუკეთესო მოდენდ რომ მოაქვს თავი, რატომ არ მოიხიბნის იმ პერიოდის ეკონომიკურ მონაცემებს. მე ეკონომისტი არ ვარ, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ხანაში ჩვენს რესპუბლიკას ერთი თეთრი არ აულია სესხად; დიდი მიწისძვრის შედეგები ისე მოგვარდა, რომ გარეშე ძალა არ დაგვხმარებია; მიწებიც თანდათან გადადიოდა გლეხების საკუთრებაში; ადამიანების გამოკვების პრობლემა არ იდგა, ხელფასი და პენსია სათანადო ოდენობის იყო და დროულადაც რიგდებოდა. სხვათა შორის, სანჯავიცი 40 თეთრი ღირდა და მისთ. მაგანი მეტყვეობს, ეს კომუნისტების დამსახურებააო. კი ბატონო, მაგრამ ზვიადის პრეზიდენტობის ხანა გვაინტერესებს, ეს ჩვენი ცოდვის შვილი რომ კატასტროფულ ვითარებად გვიხატავს და, კიდევ ერთიც, დაუნდობელი მსაჯული უმეცარის სახელით ნათლავს იმ დაუწვევებელ მნიგნობარს, რომლის მსგავსი ღრმად განათლებული ადამიანი მე არ შემიხვედრია. ლანძღავს ის ადამიანი, რომლის განათლებაც „ოხა და გიგოს“ იქით აღარ მიდის და მისი უნიგურობაც განცვიფრებას იწვევს მხოლოდ. მართლაც ბნელა ამქვეყნად თუ რაშია საქმე?! დაბოლოს, მისი შეითხნილი ბრალეულობა, რაც ამიბუღებს სალიეთელი რაინდის ბუნებას, ქვეუდაწერი ზრახვებს. მისი ხედვით, „აბსოლუტური ორგანიზატორული უუნარობისა და პიროვნული სისუსტის შედეგად იმ დროისათვის, როცა საქართველო იურიდიულად და



ელიზბარ ჯაველიძე

ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა (1991 წლის 26 დეკემბერი; მკითხველს ვთხოვ, თარიღს დააკვირდეს - ე. წ.) და დაწყნარებულად შეეძლო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, მან თავის „აღმშენებლობა“ დაასრულა, ქვეყნის მართვის სადავეები ხელიდან გაუშვა და ესტაფეტა კანონიერი ქურდების და ბანდიტების შემდგარ კონგლომერატს გადასცა, ხოლო ის ეკონომიკური და პოლიტიკური უმეცრებისა და უნიგურობის ბაკქანალია, რასაც მან და მისმა გუნდმა ჩაუყარეს მყარი საფუძველი, გრძელდება, დღევანდელს და სავალალო შედეგებს დღემდე ვიმკით. ზუსტად იმ ავანტიურისტულმა პოლიტიკამ, რასაც მან ჩაუყარა საფუძველი, დააპატარავა საქართველო, დააცოტავა და დააბეჩავა მისი მოსახლეობა“.

ერთი სიტყვით, ამ მართლაც უმეცარი, ბრიყვი ავანტიურისტის დასკვნით, დღევანდელი საქართველოს უბედურება, სულიერი და ეკონომიკური განანაგება ცხონებულ ზვიად გამსახურდიას ბრალი ყოფილია თავიდან ბოლომდე. რატომ ღმერთი არ გაიცინებს? ქართველი ერის გამოკვეთილი მტერი, პოლიტიკური მძორი, როგორც უბნობენ, ნასუკარი საქართველოს თავისუფლებისა და ერის ხსნისთვის თავგანწირულ გმირს რას აღარ აბრალებს და სურს, მისი სახელი ტალახში ამოსვაროს, რატომღაც ავიწყდება: „ვინც მზეს ტალახს ესვრის, თვითონვე თავზე დაეცემაო“. მაგრამ ჩვენ მისი სახით ისეთი ჯიშის ცხოველთან გვაქვს საქმე, რომელსაც ტალახი კი არა, სკორე რომ დაასხა თავზე, არ მოიწმინდს. ახლა კი ამ ტალახში თუ სკორეში ამოსვრილმა ყური მომაპყროს. ჩემო მანას, შენ მართლაც გამოქვამული ხომ არ მცონარობდი და არ გსმენია: 23 დეკემბერს რუსეთისა და ამერიკის ხელდასხმით საქართველოში მესუთე კოლონამ, რომელიც, შენი თქმით, კანონიერი ქურდებისა და ბანდიტებისგან შედგებოდა, შეიარაღებული ამბოხი დაიწყო, ბეტერებზე ამხედრებულებმა ჰაუბიტების და ქვეშეხების ბათქაბუთქით შეუტეეს უზენაეს საბჭოს და ტყვიის წვიმაში უხდებოდათ იქ მყოფთ მოღვაწეობა. ვთქვათ, გეძინა? როცა გამოფხიზლდი, ყურიც არ მოგიკრავს, არაფერი გსმენია?! შენ ისეთი ჩინიანი კაცი ჩანხარ, ყველაფერი კარგად უნცი, მაშ, რატომღაც სიტყვას არ ძრავ ამ ამბოხის შესახებ? ჩემი აზრით, ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: შენ მართლაც აზრზე არ იყავი, რა ხდებოდა იმ ხანად ან თავად იარაღსხმული უტყვედი და ტყვიებს უშენდი კანონიერ ხელისუფლებას, ან წერილის შემკვეთმა აგიკრძალა ამაზე სიტყვის დაძვრა, ანდა ვირეშმაკობ, ხვდები, რომ, თუ ამ ამბოხზე

▶▶ გაგრძელება. დასასრული „ლს“ 1

▶▶ გაგრძელება მე-4 გვ.

►► მ-3 გვერდიდან

ჩამოაგდებ სიტყვას და „ობიექტურად“ გააანალიზებ მას, მაშინ ზვიადის შენეული უსაფუძვლო ბრალეულობის ე.წ. ლოგიკური შენობა ხუხულასავით დაინგრევა და შენს გადმონთხეულ გესლს ქარი გაფანტავს და შენვე დაგიბრუნებს. ამ მეხუთე კოლონის ქუჩური ამბოხის შესახებ ბევრი დაინერა და ითქვა, ამიტომაც სიტყვას აღარ გავაგრძელებ და მოკლედ მოვჭრი: ყველა ოდნავ საღად მოაზროვნე ადამიანისთვის ცხადზე ცხადია, საქართველოს სახელმწიფოს დანგრევა და დაქცევა დაიწყო სწორედ მაშინ, როცა მეხუთე კოლონამ დაამხო ეროვნული ხელი-სუფლება და ზვიად გამსახურდია აიძულა, სამშობლოდან გადახვენილიყო. ამას მხოლოდ ბრყენი ვერ ხვდებიან. ისიც ცნობილია, რომ „სადაც არ უნდა წავიდეს ბრყენი, ბრყენად რჩება“ (ეკლ. X,3), რამეთუ „მისი სიტყვების დასაბამი სიბრყენია, ხოლო შედეგი სიშლევე“ (ეკლ. X, 13).

სწორედ ეს სიშლევე არ ასვენებს ამ ჩვენს ჭკუის მასწავლებელს და შეგონებას აგრძელებს. ჩვენმა ყოვლისმცოდნემ რადგან მიიჩნია, რომ ეროვნული მოძრაობა და ზვიად გამსახურდიას ნაღვანი მიწაში ჩადო, დღესდღეობით ნაკლებად მნიშვნელოვანად მიიჩნია, უფროვე საშიშად აღიარა იმ ადამიანთა (და მათ შორის ჩემიც) მოღვაწეობა, ვინც „პრეზიდენტს დღემდე უკმევეს საკმეველს“ და ერთ-ერთი კანდიდატის სასარგებლოდ „დამღუპველ პროპაგანდას“ ეწევა. და ეს ჩვენი მანასე, რომელიც იმის შიშით, რომ ჩემს „კაცურ განვლილ გზას და ლამაზ შემოქმედებას“ ჩრდილი არ მიაღვებს, ამგვარად მომმართავს: „ნუთუ სიბერემ დაგრიათ ხელი და შეგისუსტათ ანბანური ჭეშმარიტების აღქმის, შავის და თეთრის, ბოროტისა და კეთილის გარჩევის უნარი?“ მოხუცობას რომ ვერსად გავქეცვი, ეს უდავოა, მაგრამ კეთილის და ბოროტის, კაცური კაცისა და ნაძირალას გარჩევის უნარი ყოველთვის მქონდა და დღესაც მაქვს, ამიტომაც მთელი ჩემი ცხოვრება ვებრძოდი და ვებრძვი: ზნედაცემულთ, ფარისევლთ, მლიქვნელთ, კარიერისტებს, მოჩვენებით პატრიოტებს. თუმცა ჩემი დამღუპველი თურმე ყოფილა ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, რომლის პრინციპულობასა და, რაც მთავარია, ზნეობაში ეჭვი არასოდეს შემპარვია.

აქვე უნდა დავძინო, რომ, როგორც კი ამ ვრცელი წერილის კითხვა დაიწყე, მივხვდი, ჩვენი „სალიეთელი რაინდი“ აქეთ მიაჯირითებდა თავის ჯორცხენას და, ვიდრე თავის დამქაშებს – ნაციონალებს და მოცნებეთა ერთ ნაწილს არ აუნყებდა, ის ყველაზე საშიში ობიექტი, რომელიც გზას გიხერგავდათ, გავანადგურეო, ამ იწილო-ბინილოს არ შეეშვებოდა. ახლა კვლავაც უნდა აღვნიშნო, რომ მოშურნე და ავი დედაკაცების მსგავსად ისიც იმეორებს იმ ცრუ ბრალდებებს, რაც არაერთხელ გაუფლერებიათ და რაც არაერთგზის პასუხი გასცა ქალბატონმა ნინომ.

მაინც რამ ააქოთქოთა ეს „მცონარე რაინდი?!“ უპირველეს ყოვლისა, ნინო ბურჯანაძე ყოფილა ის პიროვნება, რომელსაც ამბიციების დაკმაყოფილებისა და პირადი კეთილდღეობისთვის შეუძლია ადამიანთა გვაძობა გადათელოს; მოღვაწე, რომელსაც სახელმწიფოს ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში საქართველოს და ქართველი ხალხისთვის იოტისოდენი სიკეთეც კი არ გაუკეთებია.

როგორც იტყვიან, ენას ძვალი არა აქვს და ამ კაცს რაც დაეხიზმრება, იმას ასარსალებს. უფრო სწორად, თავის ბოროტ ბუნებას სხვას აწერს, თორემ, აბა, ერთი დამისახელოს, რომელ გვაშე გადაიარა ქალბატონმა ნინომ; სად ნახა ეს გვაშეები?! მაგრამ ეს ხომ თავად მკვლელების და მათ მიმდევართა სიტყვებია, 26 მაისის სისხლიანი ტრაგედიის გადაბრალება რომ სურდათ ნინო ბურჯანაძეზე. ახლა იმის ჩამოთვლა, რა სიკეთე მოუტანა ქართულ სახელმწიფოს მისმა მოღვაწეობამ, რა შეძლო და რა ვერ შეძლო, შორს წავიყვანო, მაგრამ ამ სხვათა გამლანძღველმა,

მარგველაშვილს რომ ქვეშ ეგება, იქნება, გვიხრას, მისმა რჩეულმა რა სიკეთე მოუტანა ქართველ ხალხს და სახელმწიფოს?! თუ სოროსისა და თავისუფლების ინსტიტუტის ერთგულება დამსახურება ჰგონია და ქვეყნის სიკეთის მომტანი?! მეორე, თურმე ნუ იტყვი და 7 ნოემბრის დარბევის თანამონაწილე ყოფილა ნინო ბურჯანაძე და მან საქვეყნოდ გადაუხადა მადლობა უდანაშაულო ხალხის დამარბევ ზონდერებს, ხოლო შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ „ნებაყოფლობით“ გადამდგარიყო, სააკაშვილის ხელმეორედ გაპრეზიდენტებისთვის წელზე (!) ფეხს იდგამდა. ჯერ ერთი, ჩვენი მანასე, უნდა დაგვხსენოთ, რომ რაღაც მე არ მახსოვს, ნინო ბურჯანაძეს ზონდერებისთვის მადლობა გადაუხადოს, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ყალყზე შემდგარ ე.წ. მერიის თანამშრომლებს შეუტია, დატუქსა და დარბევის სურვილი ჩაუკლა. მეორე ისიც კარგად ვიცი, რომ ქალბატონ ნინოს არათუ დარბევის ორგანიზაციაში მიუღია მონაწილეობა, არამედ ის კატეგორიული წინააღმდეგე იყო დაშლის ამ ველური მეთოდებისა. შენ კი, მანასე, ამ ცილისწამების გამო ეგ გესლიანი ენა უნდა ამოგგლიჯოს კაცმა, სკორეში მოისროლოს და, რაც მთავარია, მე რაღაც არ მახსენდება (და, იქნებ, შენ შემახსენო) მსოფლიოს უახლეს ისტორიაში ის ფაქტი, რომ რომელიმე ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე დარბევა-დაშლის გამო გადამდგარიყოს და, მით უმეტეს, არც ის გამიგია, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს დენილ დარბეულთათვის კარი გაეღოს, პარლამენტში შეეფარებინოს და დარბევისგან ეხსნას. ეს ხომ ქალბატონმა ნინომ მოიმოქმედა. ნუთუ ესეც არ გაგიგია, შე მართლა თვალ-ყურდავსებულო?! იქნებ, ისიც არ გახსოვს, ნინო ბურჯანაძე თავად რომ გადადგა, როცა ამის საჭიროება შეიცნო, და ის მავანთ მსგავსად დაკავებული თანამდებობიდან არ გაუთავისუფლებიათ. ამის გახსენებაც არ გასურს, შე ბნელების მოციქულო!... მესამე ბრალდება: თურმე ნინო ბურჯანაძეს ღია ეთერში არც ერთხელ არ დასცდენია რუსებზე სიტყვა „ოკუპანტი“, ხოლო შემდგომ მოსკოვში „პოკლონაია გორაზე“ გამართულ სამხედრო აღლუმზე პირსისხლიანი მთავარსარდლის გვერდით მილიოვად ჩაცმული, საცოდავად აცახცახებული და უბადრუკი იმ რუსი „საღადათების“ ჩეჩენების ბრახაბრუსს უსმენდა, მიაგებდა პატივს, რომლებმაც საქართველო დაიპყრეს, გადათელეს და დააპატარავეს. „სალიეთელი პოლიტიკოსის“ მწირი გონებით, თუ რუსეთს „ოკუპანტის“ სახელით მოვიხსენიებთ და შევეუკურობებთ კიდევ, საქმეს ეშველება და მოკვარაბუნდება. აი, შენი მსგავსი პოლიტიკოსები რომ მომრავლდნენ ჩვენს სამშობლოში, იმიტომ არის ჩვენი ქვეყნის საქმე კარგად!..

ახლა რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის ვიზიტს, ამას ქვეყნისთვის უდიდესი შედეგის მოტანა შეეძლო, რომ მ. სააკაშვილს და მოკვარაბუნებდა. აი, შენი მსგავსი კოსებს მხარი დაეჭირათ. მაგრამ ახლა რა მანციფერებს, იცი? ვირთხასავით მოსუსუნე შენაირ არაკაცს, საკუთარი კეთილდღეობის და საქმის მოსაკვარაზებინებლად რუსეთს რომ არც თუ იშვიათად სტუმრობდი, იშვიათად კი არა, ვგონებ, იქ ცხოვრობდა კიდევ (ეს შენი ბიოგრაფიიდან და ნალაქაშეხიდანაც ჩანს!), როგორ გიბრუნდება ენა და რა ლაცებს ჩმახავ?! თუ შენ რუსი ჯარისკაცების ბრახაბრუსი არ გესმოდა და უფრო მაღალი თანამდებობის საჯდომებს იყავი მიყურადებულო?! იქიდან გამოვარდნილი უეცარი ხმა ისე გიბნედა თავგზას, რუსეთის მიერ დაპყრობილი, დაპატარავებული და გადათელილი საქართველო აღარ გახსოვდა?! ნამუსიც ხომ კარგი საქონელია?! მეოთხე, ნინო ბურჯანაძეს პატივი და ღირსება აღარ შერჩენია, რადგანაც ნებისმიერი ადამიანისთვის უძვირფასესი განძი ერთ ღირად შეფასებულ წყნეთის სამოსახლოზე გაცვალა. მიმკალით და ვერ ვინამებ, რომ ამ წერილის ავტორს, რომელსაც მავანთა ქება ისეთ სიმაღლეზე აუტყორცნია, რომ შაჰისა და სულთნების კარზე მოღვაწე სახობტო


უანრის დიდოსტატებსაც შეშურდებოდათ, პატივის და ღირსების ერთი ნატამალიც კი ჰქონდეს, ხოლო, რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მას ეს ზნეობრივი კატეგორია ამშვენებს. ამას ისიც მონიშნავს, რომ, როცა მან გაიგო, ამ საჩუქარს დუმილის და ბრძოლაზე ხელის ადების ფასად „წყალობდნენ“, მაშინვე უარი თქვა და მეორე დღესვე იქაურობას გაეცალა. ძალზე სანუხარია, როცა ამას საყვედურობს ის კაცი, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი სწორედ ერთი ღირსი ძებნაში გაატარა... მეხუთე, თურმე ნუ იტყვი, ქალბატონი ნინოს დაზეპირებული, ლამაზი ტრაფარეტული ფრაზების მიღმა იმალება სუსტად შენიღბული არსება, რომელიც თავს ვერ მალავს და დროდადრო გულიდან ამოხეთქილ რიტორიკაში მჟღავნდება: „დავიჭერ“, „დავაპატიმრებ“, „გავასამართლებ“, „გავანადგურებ“. როგორც ირკვევა, ჩვენს რეჟიმს პირის ნაცვლად უძირო ქვაბი უდგას, საიდანაც სიცრუის და ცილისწამების ოხშივარი იღვრება!.. ხატის წინაშე შემოძლია დავიფიცო, რომ ნინო ბურჯანაძეს ზემორე მოხმობილი არც ერთი სიტყვა (დავიჭერ, დავაპატიმრებ, გავასამართლებ, მოვსაბო, გავანადგურებ) არ უთქვამს. ის მოითხოვდა სააკაშვილის ბოროტი და კაცისმკვლელი რეჟიმის გასამართლებას, რაც ქართველი ხალხის დიდი ნაწილის სურვილიც არის. და, ვისაც ეს არ სწადია, თავად იგი უნდა შეაბრუნო სააკაშვილის ციხეში და ზედ ცოცხიც მიაყოლო, რათა თავის თავზე გამოსცადოს, რა უბედურება ტრიალებდა ჩვენს „დემოკრატიულ“ ქვეყანაში. კაცმა რომ თქვას, ჩვენს სალიეთელ მეკალმესაც ამდენი სიცრუის, ცილისწამებისა და შეურაცხყოფის გამო – არ აწყენდა იქ შევანება-დავანება! დაუნდობელი და შურის მაძიებელი ნინო ბურჯანაძის მიმართ ჩვენს გასაგონად გვიხსნის, თუ როგორი უნდა იყოს პრეზიდენტის მოვალეობანი (კონსტიტუციური უფლებების დაცვა, ერის და ბერის ერთიანობის უზრუნველყოფა, ქვეყანაში ჭეშმარიტი სამართლიანობის დაცვა და ა.შ.) და შემდგომ მრავალმნიშვნელოვნად კვლავ მე მომმართავს: „ადამიანს, რომლის გულში შურისძიების და ზიზლის კონსტანტანამდებობისა და განდიდებისთვის მანიაკური სწრაფვა მუდმივად აღვივებს, შეიძლება მიანდოს ერმა თავისი წინამძღოლის მისია“! საგანგაშო ის არის, ზიზლით და სიძულვილით შეპყრობილ ამ ვაი-რაინდს ჰგონია, რომ ცილისწამების შხამით აბურდული ბრალეულობის ქსელი ჭეშმარიტებად გაასაღა, მაგრამ მისმა რიტორიკულმა შეკითხვამ კიდევ ერთხელ დამარბუნა, რომ ერთობ საშიშ ფენომენთან გვაქვს საქმე, რომელიც ისე შეუპყრია სიძულვილს, რომ მის განკურნვას ფსიქიატრიული მეთოდები ესაჭიროება. მაგრამ ეს კაცი არ მეშვება, თავისას უბერავს და მოხოვს, მოვისმინო ადამიანის, რომელსაც ბურჯანაძე „გამოცდილებას უწუნებს და უღირსი მეთოდებით ებრძვის“. ვიცი, გამიგრძობდა წერილი, მაგრამ უნდა მოუუსმინო იმ სიბრძნეს, დაჩაგრული გ. მარგველაშვილი რომ ქადაგებს: „9 წლის განმავლობაში დანგრეულს 9 თვეში ვერ გაასწორებ (სიბრძნე I). 9 წლის სტრესირებულ საზოგადოებას ერთბაშად ვერ აღადგენ, სწორედ ამისათვის გვესაჭიროება კოჰაბიტაციის დასრულება, რომ აღარასოდეს აღსდგეს პოლიციური სახელმწიფო და კლანური კონტროლი მედიაზე (სიბრძნე II), 27 ოქტომბერს უნდა დასრულდეს კოჰაბიტაცია. გაცილებით იოლია დანაშაუვითა კოცონზე „დანვა“, ამას ბევრი პიარული დივიდენდი მოაქვს, მაგრამ სამართლის გვერდის ავლით დანთავებული კოცონი მომავალში სამართლებრივ სახელმწიფოს წევრს (სიბრძნე III).“

აი, მარგველაშვილის ამ ბრძნულად მეტყველებამ აღაფრთოვანა სალიეთელი სოკრატე. აბა, როგორ არ უნდა განგვაცვიფროს იმ ჭეშმარიტების აღმოჩენამ, რომ 9 წლის განმავლობაში დანგრეულს 9 თვეში ვერ აღადგენს და 9 წლის სტრესირებულ საზოგადოებას ერთბაშად ვერ აღადგენს, მაგრამ ვერ გამიგია, ან რატომ ინყებდით, ბატონო გიორგი, კოჰაბიტა-

ციას, თუკი ის 27 ოქტომბერს უნდა დასრულებულიყო, რათა აღარ აღმდგარიყო პოლიციური სახელმწიფო?! ეს ერთი, და მეორეც, მაინც ვინ ითხოვდა კოცონზე დანვას და სამართლის გვერდის ავლით სამართლიანობის აღდგენას? მე თუ არა, იქნებ, თქვენს თავგადადებულ ქომავს მაინც აუხსნათ, რა ხდება?! მაგრამ ჩვენი რაინდი ტანსაცმელს იხევეს და სახეს იხოკავს, კიდევ ერთხელ ქვეყნის უბედურების, ყოველგვარი აუგის ბურჯად ბურჯანაძე გამოჰყავს, გულს იფხანს და მის სასაცვლოდ ადიდებს გიორგი მარგველაშვილს, მისი აზრით, ეს უკანასკნელი „სასწავლო-სამეცნიერო სფეროში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა, რომელმაც ნინო ბურჯანაძის დანყებული მავნებლური პოლიტიკის შედეგად მოშლილ-დანგრეულ განათლების სისტემას მყარი საფუძველი ჩაუყარა. ამასთანავე იგი გახლავთ სანიშნო განათლების და ინტელექტის მქონე ჭეშმარიტი ინტელიგენტი და მამულიშვილი, რომელიც არასოდეს არ ორპირობს და ყოველთვის თანმიმდევრულია საუბარსა და მოქმედებაში“

ახლა შენ, ჩემო მანასე, კარგად მომიმინე: ისე გამყარდეს ჩვენი მტრის და, გნებავს, შენი ოჯახიც, როგორც გ. მარგველაშვილმა განათლების სისტემას მყარი საფუძველი ჩაუყარა. მეორე, იქნებ, ისიც ამიხსნა, ნინო ბურჯანაძეს განათლების სისტემის დანგრევაში რა ბრალი მიუძღვის? და დასასრულს დამახსოვრე, შენი ნაქები „ჭეშმარიტი ინტელიგენტი და მამულიშვილი, რომელიც არასოდეს არ ორპირობს, რას წერდა ქართველ ერზე და რა დიაგნოზს უსვამდა მას თავის წერილში „ნი-ჩურტა, მე ქართველი ვარ“, („დრო მშვიდობისა“, 2001, № 2). ეს დიაგნოზი რამდენიმეგზის უკვე გამოვაქვეყნე, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, ვირის სიჯიუტის არსების გასაგონად გავიმეორო: „დი-აგნოზი ერთმნიშვნელოვანია: გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებლობის ფორმი, ანუ ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელსაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ ფორმამდე; ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისათვის შესაფერისი აზროვნება – აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა“. როგორც ჩანს, თავზარდამცემმა დიაგნოზმა გ. მარგველაშვილი არ დააკმაყოფილა და იგი გარკვეული ნიშან-თვისებებით შეავსო. იქნებ, ესეც მოისმინო „გულანთებულ მამულიშვილო“. ქართველი ერი ვერ აღწევს ზრდასრული ინტელექტის საფეხურს, გონებრივი განვითარების ეტაპს და ბავშვის ასაკის დონეზეა დარჩენილი, მისი ცნობიერება არ არის იმ სიმაღლეზე, რომელზეც ხდება პიროვნების სრული გამთლიანება. ამიტომაც აშენებს ისეთ სახელმწიფოს, როგორსაც ბავშვები აგებენ თამაშის დროს. მოკლედ ის „პამპულობანას“ თამაშობს. ქართველი გამოიყურება ემოციურად, იმპულსურად, მაგრამ სინამდვილეში არის ინფანტილური, რადგანაც მას რაციონალური აზროვნების სუსტი საფუძველი აქვს. ჩვენ ბავშვები ვართ, დავრჩით ბავშვებად და ბავშვების გარშემო ვტრიალებთ... მაინც მთავარი მიზეზი ჩვენი გონებრივი სისუსტისა ყოფილა ლოთი მამა (რუსეთის იმპერიის სახით) და გადაჭარბებულად მზრუნველი ქართველი დედა, რომლის წყალობითაც მივიღეთ კაცი ბავშვის ფსიქიკით, ზრდასრული ადამიანის ძირითადი თვისებები – პასუხისმგებლობა და სოციალური აზროვნება რომ არ გააჩნია. ერთი სიტყვით, ქართველი ერი ისე დაავადებულია, რომ მისი განკურნება ყოველად შეუძლებელია.

►► დასასრული შემდეგ ნომერში



კობა იაკობ აბა არაბული

# ფსოვის საკრალურ დროთა მისტიკა

აქედან იწყება და ეს ცალკე თემაა) და, მათ შორის, სამზეოზე „სულთა გამოცხადების ჟამიც“, ანუ „სულთაკრეფა“ (!) – ეს არის ცოცხალთა და მიცვალებულთა შეხვედრის (კავშირის) საკრალური დრო ულამაზეს, რიტუალურ „ტაბლაზე“, სადაც ორივე მხარე იღებს ინფორმაციას ორივე განზომილებიდან: „ესენი“ – აქველნი – სულეთიდან, „ისინი“ – იქველნი – სანუთოდან! თუმცა „მათ“ წინასწარ იციან თუ რა მოხდება აქ – ცოცხალთა სამყაროში და ამას „აცხადებენ“ ქადაგის, ან „სულის ხუცვის“ პირით! „ისინი სწუხან“ ცოცხალთა ბედზე და „საბედისწერო მოვლენებზე“ („დროზე“), რომლის „ჩამოდგომა“ ემუქრება დედამიწას, „შიშობენ“ სამზეოს გაუქმებაზე, როგორც უფლის მიერ დაშვებულ პირობით რეალობებზე! (ახლა „ისინი“ განსაკუთრებით შემოფოთებული არიან „სამზეოს“ ბედისწერაზე ნამზე, რომელიც დედამიწას უდგას: იგი იღუპება წარღვევით და რადიაციით (როგორც ქადაგი ბრძანებდა – „სიმურით“ და „ეშმაკის ნაორთქლით“).

ცოცხლები წარსულიდან მოსულ „სტუმრებს“ (რომლებიც ერთდროულად შემოდიან ციდან და მიწიდან „ფიფქთა გარდმოსვლით“ და „სულის პეპლების მოფენით“, ახვედრებენ სამარხვო სუფრას ნაქარგი ბოთლებით, ჭრელი პურებით, და რძინი ანუ „მზისცვრიანი“ ჯამებით... და საჯილდო „ვაცებით“.

ეს დღე მიანიშნებს ქვეყანაზე უფლის „მარადიული დროის“ არსებობაზე, როდესაც „აქ მყოფნი“ და „გარდასულინი“ ავსებენ ერთმანეთის არსებობას; აგრეთვე, „სულთაკრეფა“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს ყველაფერი შეუცნობი „თამაშია“ და მიუხედავად მისი კაცთა მოდგმისთვის:

დღის ბოლოს, როდესაც რიტუალის ჟამი დასრულდება – „მზე წვეროვანზე“ – ცოცხლები გრძობენ მიეღვი გადავლილი უხილავი დროების ჟრიალს და უსმენენ მდინარეთა სიჩუმეს, რომელიც გამოსცემს სულთა გადასვლის (უკან დაბრუნების) მუსიკას...

\*\*\*

საყმოს, თემს (ერს) აქვს „სულის მოთქმის“ (შეყოვნების) დრო – საქმიდან გამოსვლის და სანესო რიტუალებში შესვლის ჟამი! თემსა აქვს მოცლის და მოუცლელობის დრო, მარხვათა და „ხელუმრავი“ უქმების, „გრძელ უქმების“, ანუ „კუმეტი“ დღეების რიგი – „უჟამო ჟამზე“ არ შეიძლება შეიღოს ჩასახვა, ხილის მყნობა, ხის მოჭრა (ხეს ჭია შეჭამს), გაზაფხულის ბუნიობის მერე მცენარე სამკურნალო აურას კარგავს, „შუალამის“ წყალი სასმელად არ ვარგა: ესე იგი, ყოველ საქმეს და ქმედებას, ყოველ რიტუალს უდგება „თავისი დრო“ – დასაწყისი და დასასრული (ეს უფლის ნებაა).

ვერც ადრე და ვერც გვიან ვერ გააკეთებ საქმეს, თუ „ერთი დრო“ წავივიდა, როგორც მდინარე, რომელიც ორჯერ ვერ შეხვალ. ამაზე ანდრეჟი გაფრთხილებს:

„შენ დროში“ „სხვის დროს“ ჩამოდგომა პარადიგმული, კოდირებული ფრაზაა. ამ დროს მოულოდნელად იცვლება ვითარება და მოვლენები – და მთელ ქვეყანას (მის ყველა ღირსეულ მოქალაქეს) უდგება უიღბლობის ჟამი: საქმე ცუდად მისდის, ყოველ ქმედებას მოსდევს უკუქმედება და უარყოფითი შედეგი. ადამიანები კარგავენ წონასწორობას და უშვებენ შეცდომას შეცდომაზე: ვედარ უფლიან (იცავენ) საკუთარ ოჯახს და სამშობლოს.

ამ დროს შენს ქვეყანაში ბატონდება „სხვა“ ძალა, „სხვა ხალხი“, რომელიც განაგებს შენს ნებას საკუთარი ნების მიხედვით!

ამ დროს ხატის რიტუალზე გამოსული ქადაგი (ხევისბერი) ბრძანებდა: „ხალხნო, მლოცვენო და მეხვეწურნო, ჩვენ სამწყსოში სხვა დრონი ჩამოდგეს, ჩვენი ილ-

ბალი შესუსტებულია, ბრძოლის ძალა არ შეგვენეს, დადგით „კოდ-ბადაგი“ უფლის სამხვეწროდ, რომ „დრონი შეაბრუნოს“, რწმენით იყვენით, იფარებეთ და იფრთხილეთ (ილოცეთ!)”

... და მთელი საყმო ეხვეწებოდა უფალს „დროთა შებრუნებას“ და დავლათის გაძლიერებას, დგებოდა მოლოდინის და „გარინდების“ დრო!

მოქმედების ნება საყმოს და თემს მიეცემოდა უფლისავე ნებით. მას ესხნებოდა ტაბუ „რინდად ყოფნის“ და ეძლეოდა ანდრეჟული დავალება: „დაკვრა სჯობს დაღირებას!“ რომელსაც ალასრულზედა მეომარ-სარანგთა კასტა – ისინი გაარღვევდნენ დახურულ სივრცეს და იღბალს აბრუნებდნენ მახვილის ნებით!

„დაკვრა სჯობს დაღირებას!“ – ეს კოდირებული ფრაზა – გადამწყვეტი მოქმედებისთვის – ამ დროს ერთი წამით შეყოვნებაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს და მტერმა დაგასწროს! როგორც დაასწრეს თორღვა ძაგანს, გენებავთ, ვეფხეთან მეომარ მოყმეს – ვეფხვი რომ გააღვიძა... ორივეს დაასწრეს და ორივე დაიღუპა!

„დაღირება“ მერყეობას გულისხმობს შეტივისას!..

თუ იწყება, უნდა დაიწყოს! და მოქმედება უნდა იყოს გამჭოლი და საკრალური, რწმენით გამსჭვალული: ამ დროს საყმოს წინაიდან გამოსული ქარიზული მეომარი ღვთიურ ძალას იძენს და მისი მოქმედება „საფარველდადებულ“, „უხორცო არსებათა“ ზღვარზე გადის! ამ დროს მისთვის სულერთია მტრის ხარისხი, რაოდენობა, რიცხვი და ძალა...

ასე მოქმედებდა ქალუნდაური ფეოდალურ ომებში: „ქალუნდაურის ფრანგულსა შუქნი ამოჰყვეს მზისანი“!

ასე მოქმედებდა ერთ დროს შმაგი ხირჩლა ბაბურაული: „მარჯვნისას ჩამოურა, მარცხნისას უზამს ზიანსა!“ – ეს ფოლკლორული ფრაზა მეომრის ფანტასტიკურ ხელოვნებაზე მიუთითებს, რომელმაც მითხოს „ბეგარა დასდო“ და დაიმორჩილა.



ასეთივე იყო ორასი „ჯვაროსანი სარანგის“ მოქმედება ილაზის წინააღმდეგ დიდგორზე, რომელიც წარმოშობა ფხოვიდან მოდის...! და 300 არაგველის (ფხოველის) ომი კრწანისზე! ისინი ხედავდნენ მტერს და საკუთარ მახვილს, რომელიც მიმართული იყო მტრისკენ!

ყოველი მათგანის მოქმედების მოტივაცია იყო სამშობლოს დაცვა, მისი თავისუფლება და სუვერენიტეტი, რომლის უკან იდგა „კაი ყმის“ და ქალის კულტი.

ყოველი მეომრის გამოსვლა დახურული, ჩაკეტილი ისტორიული სივრციდან იყო ახალი სასწაულის დაბადება!

„ამოარჩიე ბევრში ცოტა, ცოტაში – ბევრი!“ ასეთი იყო უკეთესიდან უკეთესის, „ანუ“ რაიმედან „რაიმეს“ ამორჩევის კოდირებული წესი ფხოვში!

სწორედ ისე უნდა გამოვიდეს უცნობი ენერჯია ისტორიის ჩაკეტილი სივრციდან, როგორც კვერცხიდან სიცოცხლე – ჩვენს დროშიც.

ქარიზული პიროვნება (მაგი, ბელადი) უეცრად იბადება, თითქოს წაშლილი სივრციდან, თითქოს არსაიდან!

ამგვარად – „რა მექნას ციხის კარიდან“, გენებავთ, „ხოგაის მინდის სახლიდან“ უნდა გამოვიდნენ უცნობი მეომარი

და მოძღვარი, მათ კარი შიგნიდან უნდა გახსნან და გამოჩნდნენ მზის შუქზე, როცა უფლის ნიშანი დაუდგებათ! ამას გვასწავლის ანდრეჟი!

\*\*\*

აქ ჩემს მიერ წარმოდგენილი (და ახსნილი) ანდრეჟთა ქსელი, მათი მცირე ნუსხაც კი, მიუთითებს (თემის, საყმოს) შორეულ (პარადოქსულ) მეხსიერებაზე, სიტყვაში შენახულ, კოდირებულ ენერჯიაზე, რომელიც ვლინდება სხვადასხვა ვითარებაში...

მითოსური (ანდრეჟული) აურა აირეკლება და აღიბეჭდება მთელი ერის სულიერ და მატერიალურ სივრცეზე, ერის ფსიქოლოგიაზე, როგორც მდინარეზე მთვარის ნათება!

„მითის ნათება“ მუდმივია, მაგრამ ისიც მთვარისებურად ჩნდება და იფარება დროთა ცვლის შესაბამისად!

იგი გვასწავლის დაცვის და გადარჩენის შესაძლებლობას „უდროო დროში“ და უცნობი „ქაჯური“ მტრის გარდმოვლენის ვითარებაში!

IV

სულ მცირე:

ორი ათასი თაობა ცხოვრობს წარსულში ჩვენი რასიდან გარდასულთა სახით! სულთა საუფლო დიდია და იქ კაცობრიობის ურიცხვი თაობა ეტევა დასაბამითგან დღემდე!

ანმყოფი მხოლოდ ერთი თაობა ვრჩებით, ანდა – არც ერთი! ვინაიდან ჩვენი დრო წამიერია („წამია წუთისოფელი, დახამხამება თვალისა“) და ყოველი დღე დიდნიდან საღამომდე წარსულად იქცევა!

„ხვალემ იხილოს ხვალისა“, – ბრძანებს უფალი, რადგან მან იცის, რომ არის ხვალე და არის წარსული, და „ჩვენი დრო“ (ანუ ანმყოფი) კი მდინარეა, ვითარცა მდინარე... და განუწყვეტელად შედის წარსულში.

ისევე, როგორც წარსულში, მომავალშიც დგას ურიცხვი თაობა, რომელიც უცნობი წუთისოფელში („სამზეოში“) შემოსვლას და აქედან მარადიულ საუფლოში შესვლას!.. უფალმა იცის მათი არსება და რიცხვი!

ფხოველთათვის დროის ფენომენი მთლიანია, მითური და რეალური დრო შერწყმულია და უწყვეტი: ანმყოფი მხოლოდ წარსულთან ერთად აღიქმება: აქ ყოველი რიტუალი გარდასულთან შეხვედრის ნადიმია! ანდრეჟული პერსონაჟები (ხევისბერნი, სარანგნი, სულის ხუცესნი თუ მელექსენი), რომლებიც საუკუნეების წინათ იყვნენ „სამზეოზე“, ისევე აქ დგანან, წუთისოფლის კართან: თითქოს არსად არ წასულან და განაგებენ „სანუთოროში“ საყმოს ბედისწერას – იქიდან, სადაც არიან! (ეს თემის ანდრეჟული რწმენაა).

წუთისოფლის კართან დგას „მომავლის ქარავანიც“, რომელიც მოემართება იქიდან – აქეთ, ჯერარდამდგარ საუკუნეთა სიღრმიდან... და მოაქვს თავისი დრო და „აპოკალიფსი“...

თუ რა დრო და „აპოკალიფსი“ „მოსდევს“ მათ: ამას ხედავდა იოანე პირველსავე საუკუნეში (ორი ათასი წლის წინათ), ხედავდნენ: ნოსტრადამუსი, ხოგაის მინდია, ალდია და გაგა თარხანასძე – სულ ახლახან, წინა საუკუნეებში – სხვა „ბიბლიური“ ნათელმხილველნიც და ხედავენ ახლაც! ვინაიდან „უფლის დრო“ მთლიანია და შეიძლება წარსულისა და მომავლის ერთდროულად დანახვა!

ეს იცოდნენ ფხოველმა ხუცეებმა (ქადაგებმა) და მათმა ანდრეჟულმა მეხსიერებამ!

ხალხური შედეგები ამბობს:

►► მ-5 გვერდიდან



„ჟამი მივია-მოვია მუცუს თორღვის კარზედა!“ – აქ დრო არის და არც არის. იქ უფრო სუბიექტი – დროში „გაჩხერილი“ „მე“ – ჩანს, რომელიც დროსთან ერთად მოძრაობს...

დროის უძრავ მეტაფიზიკურ სივრცეში მოძრაობენ ნივთი და საგანი, მნათობნი, პლანეტანი, სულიერნი და უსულონი! დრო არსებობს მხოლოდ მოძრავ ნივთთა და საგნებთან მიმართებით: თუ მათი მოძრაობა და ცვლა, მათი ზრდა და კვდომა არ იქნება, დრო არ არსებობს!

დრო არც მიდის და არც მოდის, მივდივართ და მოვდივართ „ჩვენ“, გავდივართ და შემოვდივართ დროის უძრავ სახლში; დრო იმაშია, რასაც უფალმა სული ჩაუდგა! ამაზე მიანიშნებს ხევისბერის მატერიცი: „ცოცხალ კაც ხედავს მზეს, ცოცხალ ტირის, ცოცხალ იცინის. ჯვართ ცოცხალს აჯვარებენ, მკვდარნიც ცოცხალთ სიცოცხლით არიან!!!“ –

ეს გენიალური ტექსტი ფხოველთა საკრალურ-ანდრეჟულ ცოდნას გვიცხადებს.

როდესაც კაცთა მოდგმა ცოდვათა გამო უფლის სიყვარულის გარეთ რჩება, „უჟამო ჟამი“ ეცემა სამყაროს და „მზიანი ღამის“ დრო დგება, ე.ი. რჩება მხოლოდ უფალი – ბნელში ნათელი!

„მზიანი ღამე“ ურთულესი მოვლენაა კაცთა მოდგმისთვის, სამში და სახიფათო. ამ დროს იწურება სინერგია – წყდება კავშირი ცასთან და შეიძლება მთლიანად შეიცვალოს ცივილიზაციები! ანუ „აპოკალიფსის ჟამი ჩამოდგეს“ (ეს იგივე „მეორე მოსვლა“ ანდრეჟთა ენით).

ჩვენ და კაცობრიული ცივილიზაცია ახლა ამ აპოკალიფსური ჟამის ზღვარზე ვდგავართ! ანუ ეს „ჟამი“ უკვე შემოდის ჩვენს სახლში და მიწაზე!

\*\*\*

დროში მიმდინარე მოვლენათა განცდა ფხოვის ანდრეჟულ ცნობიერებაში კოდირებულია: იგი მთლიანი და უწყვეტია თაობათა ჯაჭვისთვის და თავდება მაშინ. როდესაც კაცობრიობა ან ერთ კვდება!

ფხოვის თემი მრავალი საუკუნე ცხოვრობდა ამ ანდრეჟული („საფარველდადებული“) ცოდნის „ჟამთა დგომისა“ თუ „უჟამობის“ სივრცეში, სადაც უფლობდა უმეტეს ადათ-ნესთა და რიტუალთა იერარქია, რჯულის კანონთა უზენაესობა, ქალის და მახვილის კულტი!

როდესაც დგება მითოსური (ანდრეჟული) მეხსიერების განწყვეტის და დავინწყების ჟამი, ანუ თავდება საკრალური დრო, რომელიც ფხოვის თემში იდგა (და თვით თემი გადის ამ დროიდან) – ეს მეტად მტკივნეული და დრამატული მოვლენაა!

ჩვენი თაობა ვალდებულია, დრო ერთი წამით მაინც შეაჩეროს („მზეო, დადგე და დაგვიანდი!“ – გვასწავლის ფოლკლორი) და ერთხელ კიდევ „შეხედოს“ მას, რათა ამოვიცნოთ დროში „შედებულნი“ მოვლენები, რაც გრძნობადი აღქმის სამყაროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე პრაგმატულს.

V

ანდრეჟმა იცის, როცა „კაცი ქალად იქცევა და ქალი – კაცად!“ დიდი – მცირედ და მცირე – დიდად! როცა სამყაროში, მიწაზე უცნობი მცენარენი, ცხოველნი და არსებანი ჩნდებიან, მოვლენანი იცვლებიან – ეს ჟამთა ცვლის და „სხვა დროთა დგომის“ სახიფათო ნიშანია...

ფხოვის – ანდრეჟულ მეხსიერებას შემორჩა ინფორმაცია „ცაზე ორი მზის“ (და „ნითელი მზის“) დგომის შესახებ, რაც კოსმიური ხიფათის მაუწყებელია...

პირადად ჩემს მეხსიერებას შემორჩა ხევისბერთა (უხუცესთა) „გაუცხოებულ სახეები“ – ცაზე „გამწვარი მზის“, ან „ორი მზის“ გამოჩენის მოლოდინით! რასაც ხოგაის მინდიას მითიც გვიდასტურებს: („ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე ნითლდებოდა, წყრებოდა, ჩამოდიოდა ვარსკვლავი, მთვარე უკულმა დგებოდა“): ეს კოსმოსური ნგრევის სურათია, რომელიც ერის, თემის, საყმოს მეხსიერებაში ჩარჩენილ კატასტროფაზეც მიუთითებს...

იგივე სურათს გვიხატავს ბიბლია: „მზე შავი იყო, ვითარცა ძაძა ბაღისა და ვარსკვლავნი ცვიოდენ ციდან, ვითარცა მნიფე ნაყოფნი ლეღვის ხიდან!“

აქ შესაცნობია: რომელია უფრო უძველესი, ბიბლია თუ ფხოვის ანდრეჟი? უნდა ითქვას ერთი რამ: ფხოვი იბერიის უძველესი თემია, „შენახული“ ისტორიის ჩაკეტილ სივრცეში და მისი მეხსიერებაც „სხვა დროს“ და ბიბლიამდელ ცოდნას ინახავს! ინახავს მოვლენებს, რომელიც იყო და იქნება: ანუ ამ „საფარველდადებულ“ ცოდნათა საიდუმლო კიდობანში მეცნიერებას ჯერ არ ჩაუხედავს.

\*\*\*

როდესაც ხევისბერული ანდრეჟი გაუწყებს კვირის შვიდი დღიდან ერთი დღის დაკარგვის შესაძლებლობას და არსებობს თემი, რომელმაც რეალურად „დაკარგა პარასკევი“ – ეს საყმოს (თემის) არსებობაში ისეთი „გაუცხოებულო“ ჟამია, რომ ამ ანდრეჟის გამგონეს „ტირილიც გინდა და სიცილიც!“ – ჩნდება მისტიკური მოვლენის უცნობი სიხარული...

\*\*\*

როდესაც კვირიდან „დღეამოვარდნილი“ თემი (ლული), ანუ დროიდან ამოვარდნილი სოფელი ძებებს დაკარგულ პარასკევს და, შესაძლოა, დაკარგულ სიბრძნესაც, ეს არის სიბრძნედაკარგული თემის ტრაგიკომიკური კოლიზია!

როცა პარასკევმაძებარი ღულელი კაცი მღვიმეში შეიხედავს და უკან აღარ გამობრუნდება, გამოიყვანენ და ხედავენ, რომ მას თავი არა აქვს! ისინი იწყებენ ბჭობას: ჰქონდა თუ არა ამ კაცს თავი საერთოდ?! მაგრამ ვერავინ იხსენებს!.. მოჰყავთ მისი ცოლი, მაგრამ ვერც ის იხსენებს, ჰქონდა თუ არა თავი მის ქმარს!

ეს პარადიგმული (ალეგორიული) მითი რამდენადმე ჩვენი დროის რეალობას ასახავს: თითქოს ყველას დაკარგული გვაქვს საკუთარი თავი (და სამშობლო) და აღარ გვახსოვს, ვინა ვართ და საიდან მოვდივართ! რამდენადმე გაუცხოებულია დროის ფაქტორიც: იგი თითქოს „შეკუმშულია“ და ერი ამოვარდნილია ამ სივრციდან, კარგავს დროის რეალურ აღქმას!

ეს ტრაგიკომიკური მითი შესაძლოა დედამიწის აჩქარებასა და ადამიანთა ცნობიერების რღვევაზეც მიანიშნებდეს, როცა იგი ველარ ეტევა მოცემულ დროში – ანუ დრო „პარასკევის მითივით“ ეკარგება და ხელიდან ეცლება მას!

შეიძლება დედამიწის თუნდაც ერთი წამით აჩქარებამ და მისი ღერძის გადახრამ რეალურად გამოიწვიოს ერთი დღის (თუნდაც ერთი საუკუნის) ამოვარდნა „ჩვენი დროიდან“ და ადამიანთა „ცნობიერების“ შეკუმშვა ან გაფანტვა... ზოგადად, კოსმოსის ნგრევა!



\*\*\*

ბუნებასთან პიროვნების (ადამიანის) გაუცხოების პროცესი იწვევს ერთგვარ კოლიზიას: ადამიანი ვერ ამჩნევს უფლის „ნიშანს“, ბუნებაში მის გამოვლინებას; ვერ ხედავს მაცულის თუ „ღვთის ბურქს“, საიდანაც უფლის ხმა ისმის. ვერ ხედავს ქვეს, რომლებიც დგანან ჩვენი მიწის ყოველ ბორცვზე და „ნარმომავლობის საიდუმლოს ღალადებენ“...

ხევისბერთა „ანდრეჟებში“ ნინასნარ კოდირებულია უცნობი მოვლენები, რომლებიც შემდგომ ვლინდება ბუნებაში: ბუნება ცდილობს ადამიანებისთვის კოსმიური ინფორმაციის მიწოდებას, მაგრამ ადამიანი სრულიად ყრუ და გულგრილია! ის დგამს „რადიაციულ აკლდამას“, რომელსაც შეეძლო „პლანეტის დამარხვა“, რაც გამჟღავნებულია მითში, ქადაგის ტექსტში და, თუ გნებავთ, „გუგულის ტექსტში“, ქაჯეთიდან რომ მიაცილებდა ხოგაის მინდიას: რას მერჩოდი, საბეკურის კარზე თვალი რომ გამომთხარე, გაზაფხული თქვენთვის ხომ მე მომყავდაო!? ახლა ვინ მოგიყვანთ გაზაფხულსო!

მართლაც, ვინ მოუყვანს გაზაფხულს დედამიწას (და ადამიანებს), თუ ყველაფერს „თვალი გამოვთხარეთ“ და რადიაციული „ობი“ დავყარეთ („ობის დაყრის“ ანდრეჟული ინფორმაცია!).

VI

„ურწყთა დგომის“ ჟამს ადამიანთა (კაცთა) მოდგმაზე უფლის მიერ დაშვებული „ურწყულო“ ერთკვირიანი გამოცდა იწყება: „ურწყნი“ დიდმარხვის პირველ ორშაბათს ჩამოდგებიან და მთელი კვირის განმავლობაში „უთვალთვალბენ“ ადამიანთა მოდგმას, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს უქმნიან ხიფათს, რადგანაც „მათი მფარველი ანგელოსი სუსტია“... (ხევისბერის ტექსტი).

„ურწყთა დგომის დროს“ მთელი საყმო შიშშია და მკაცრად იცავს მარხვას, ნყვეტს ყოველგვარ საქმიანობას („ურწყის ორშაბათი“ კი მკაცრად „ხელუძრავი“ უქმნა)...

ურწყთა დგომის დროს ქალებს და ბავშვებს ეზღუდებათ გარეთ გასვლა და სიარული: „ურწყნი“ უთვალთვალბენ ადამიანებს, უსაფრდებნიან გზაში და აკვირდებიან მათ ქცევას, აშვებინებენ შეცდომებს, რომ ყოველი მათი შეცდომა დასჯის მიზეზად იქცეს; შემდეგ „ურწყნი“ „აბეზლებენ“ ადამიანებს („ხორციელს“) ზვითშილებთან, ანგელოზებთან, და ასჯევენებენ. და ეს სასჯელი ძალიან მძიმეა! – (ხორციელი ავადმყოფობიდან „გაუსუსურებამდე“ (გაუსუსურება მოკვდინებას ნიშნავს).

„ურწყნი“ არ არიან ხილული არსებანი, მაგრამ, „ანდრეჟების“ მიხედვით, მათ აქვთ „ქალური ბუნება“ და ისინი ზოგჯერ ლამაზი დიაცების სახით ეცხადებიან („ეჩვენებიან“) ცოცხლებს...

მათი ერთკვირიანი „გუგუყვითა“ გარკვეულ გავლენას ახდენს საყმოს ცნობიერებაზე და ამზადებს მას სხვა, უფრო სამიშ, ხთონურ მოვლენათა დაძლევისთვის...

„ურწყთა“ „დგომის დრო“ უძველესი ანდრეჟული მეხსიერებაა და შესაძლოა, მიანიშნებდეს „ციდან ზვითვილთა“ და („ადამიანთა რომელიც რასის“) ჩამოსვლაზე და „ხმელეთზე“ მათს დამკვიდრებაზე – მათი „მიდგომის“ შიშზე მიწის მკვიდრთან – ამ დროს თითქოს წყალნიც სდუმან, ქვები კი უცნაურ მუსიკას – „ბზულის ხმას“ გამოსცემენ და კოსმიური ინფორმაცია მოაქვთ!

\*\*\*

როდესაც თემ-სოფლის გეოგრაფიულ სიბრტყეზე ქრისტემდელი და ქრისტეს შემდგომი კულტურის, ანუ რწმენანარმოდგენების მაუწყებელი არაერთი ნიში, დარბაზი თუ სამანი დგას... როდესაც თემის (სოფლის) მეხსიერებას ისევ აბრწყინებს „ბერმუხის ანგელოზი“ და „თელამუხის“ ანგელოზი...

როდესაც სოფელს „სოლარულ წრედ“ არტყია ღვთისმშობლის, მთავარანგელოზის, თეთრი გიორგის, ლაშარის, სამების, ნაბაკურის ანგელოზის ნიშები – იმ თემს ბევრი რამ ახსოვს...

ზის, თეთრი გიორგის, ლაშარის, სამების, ნაბაკურის ანგელოზის ნიშები – იმ თემს ბევრი რამ ახსოვს...

აგრეთვე, სოფლის განაპირას თუ დგას ბროლის კოშკი ეკლის ბურქებთან, სადაც დიაც-ყმანვილის მიახლოება არ შეიძლება და, თუ მიუახლოვდები – „სირსვილას“ გადმოგაყრის!...

როდესაც სოფელს უდგას „უნილოთა“ – უმემკვდროდ წასულთა ხსოვნის სიმბოლოები, აგრეთვე, „მწვერის საფლავის“ ნიში და ნინასნარმეტყველი „ალიათ მგელას“ სალოცავი, რომელსაც ბედისწერულ მოვლენებს აუწყებდა მკვლევართათვის ეს დღემდე შეუცნობი „მწვეარი“...

სოფელს უდგას ბროლის კოშკი, დავლათიანი მეომრის ბერდით გაგას სალოცავი, რომელსაც „საფარველს სდებდა“ უფალი და მტრისგან მიუწვდომელი იყო.



„საბეკურის კარზე“ ქაჯავეთიდან დაბრუნებული ხოგაის მინდიას სალოცავად ქცეული ნასახლარებია, სადაც გუგულები ადამიანებს გაზაფხულის დაგვიანების (ანდა მოუსვლელობის) მიზეზს აუწყებენ... და არსებობს კიდევ სხვა მრავალი რამ, რაც ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ყოველივე ეს ქმნის და „აერთიანებს“ მითოლოგიურ სივრცეს, როგორც ვარსკვლავიან ცას, მთელი თავისი მისტიკრიებით, რომელსაც მე „ფხოვის საკრალურ დროს“ ვწოდებ! მართლაც, ფხოვის სივრცე უხსოვარი დროიდან აქ შედგმულ „კიდობანთა“ საიდუმლოს მოიცავს და იგი საკრალური და ძნელად შესაცნობია თავისი არსით...

\*\*\*

მინიერთა სამწყსოში დგება ორი დრო: როდესაც ბუნების ხმას ისმენ და როცა ვერ ისმენ, ანუ წყდება პანთეისტურ სამყაროსთან კავშირი და ადამიანი მარტო რჩება საკუთარ თავთან, მისივე მიერ შექმნილ „ტექნოკრატულ მონსტრთან“, რომელიც შთანთქმით ეშუქრება მას. ერთი სიტყვით, დგება უღმერთობის ბნელი დრო, როდესაც კაცობრიობა საკუთარ თავს „ჭამს, როგორც მოლოხი... და ნიშები და სალოცავები ერთ ჟამზე მარტო რჩებიან ცის ქვეშეთში“.

ადამიანს აღარ ესმის „გუგულის ხმა“ და რადიაციული ღრუბლებიდან ჩამოცვნილი წეროები კენკეპის მოთიბული დუყებივით ეცემიან მიწაზე...


ადამიანს აღარ ესმის: „არ მომჭრა“, „არ მომკლა“, „არ მომწამლო“... და მით უფრო „არ შემეჭამო“!

არ არსებობს მინიერ სამყაროში მეორე არსება, გარდა ადამიანისა, რომელიც ასუქებდეს (ზრდიდეს) მეორე არსებას იმისთვის, რომ შეჭამოს, გაატაროს „ხორცის საღებ“ მანქანაში და მერე ძეხვის სახით მიირთვას!...

კაცობრიობას წინ მიუძღვის მოლოხი, სატანის ექსი ნიშით აღბეჭდილი ურჩხული, რომელიც აყენებს „უდროო დროს“ და ეს ცხადდება მითში: „ხვთის კარზე იუდათ „გარდმოსვლით“ და „გარდმოსვრებით“ (!) – მიწაზე მათი მოფენით! ე.ი. სამზეოზე – „ხვთისა ნასახთა“ სამკვიდრო „ხმელზე“ (ქადაგის ენა) ანგელოზთ იუდანი ასწრებენ!

და დგება „უდროო დრო“ და „უჟამო ჟამი“. ეს არის „ნათელ-ბნელი“, უმთვარო ღამის „სიმური“, როდესაც ღამეში ღამე დგება, ანუ ეს არის ცაზე „ნითელი მზის“ („მზე ნითლდებოდა, წყრებოდა“), გინდა „ორი მზის“ დგომის ჟამი!

►► დასასრული შემდეგ ნომერში



გინო კალანდია

\*\*\*
უფალო, წმინდა ბარბარეს ღამეს
წყალი ჩქეფდა და მირონი დუღდა,

ცხარე ცრემლებით ტიროდა ძიძა
უკვე დაკარგულ წმინდანის საფლავს,

\*\*\*
უფალო, ძველი ჩონგურის სიმებს
დედის ცრემლები აწვიმს და ათოვს,

ბალახმოვლილი ირწევა კიბე
და ოწინარი – ბამბუკის წერო,

\*\*\*
უფალო, ვაშლის, ალუბლის ფერთ
იღვიძებს ძველი მარტივლის დილა,

ტობავარჩხილიც აქ არის, აქვე,
არყის ჯაჭვივით ცოცხალი ჭავლით,

\*\*\*
უფალო, ბევრი დაეცა ტახტი,
მოისრა ბევრი გვარი და ტომი,

შურისმგებლების სისხლით და ოფლით
გაპოხილია ბედკრული მიწა...

\*\*\*
უფალო, ნენემ მასწავლა ლოცვა,
მამამ გალობით გამითბო ყელი,

ჩემი გოლგოთა – სასჯელი ძელის, –
წიგნი და წიგნი და ისევ წიგნი,

\*\*\*
უფალო, ლოცვით მოვედი შენთან,
შემოგავედრე ჯვარი და მცხეთა,

წმინდა ქალწული ვიხილე მთაზე,
ვაზის მთრთოლვარე, გრძნეული ტოტით,

\*\*\*
უფალო, ვაღებ ბიჭვინთის კარებს,
მე, იოანე – ჭალარა ბავშვი,

აქა-იქ ვერცხლის ჩიტები სხედან
გაბრუებული ზვირთების ცემით,

\*\*\*
ივანე თარბას ხსოვნას
უფალო, ჩემი ძუძუმტე იყო
ერთი აფხაზი, ზნექველი კაცი,

ნოდარ დუმბაძის გვერდით სახლობდა,
ჰყავდა პატარა ლეკვი და პონი,

\*\*\*
ჯუმბა ახუბას
უფალო, ჯუმბა ახუბა მახსოვს, –
მისი ლამაზი ბლუზა და კვართი,

ერთად ვისხედით ჩიქვანის ნავში,
ერთად ვეძებდით ქვიშაში ოქროს...

\*\*\*
თინა აშუბას
უფალო, თინა აშუბა მიყვარს,
დღემდე მიყვარს და მოკითხვას ვუთვლი,

ასი ლერწამის შვენოდა ფერი,
ასი ნეკერჩხლის დარდი და სევდა,

\*\*\*
უფალო, სადღაც გავჩერდით, მთაში,
ორი ახალი საფლავის გვერდით,

ჩვენ ნახირვით ვიდექით გზაზე,
მონატრებულნი კარსა და ერდოს,

\*\*\*
უფალო, საკენ-ჭუბერის გზაზე
მინდორ და მინდორ ეყარა მკვდრები,

გამოქცეულნი ლაფსა და სირცხვილს,
მთაში ვეძებდით ხსნასა და შველას,

\*\*\*
უფალო, სისხლი სწყუროდა ნერონს
და ლამლამობით ტანჯავდა შიში,

ცას შეკიდული გუგუნებს ლავრა
და შავი კვამლის მიცურავს ფარა...

\*\*\*
უფალო, გაცვდი მშობლიურ ეზოს,
ვდგავარ და ვფიქრობ საკუთარ ბედზე,

პოლ ვალერივით ვაბოლებ ნეკოს,
ჟან მორუასის ვკითხულობ ლექსებს.

ჩემი ცხოვრება, – მორევი ნელი, –
მზეჩახვეული მდინარის ჩქამი...

\*\*\*
უფალო, ორი არაგვი ვნახე
სალამურით და იელის ალით,

მატყულს ჩეჩავდნენ და ქარგავდნენ ნოხებს
საარაგვოს და სამოთხის ფერით...

ხევისბერს თეთრი შვენოდა ჩოხა
და ლოცულობდა საყდარში მრევლი.

\*\*\*
უფალო, გამაღობ, თმენისთვის გამაღობ,
დღემდე რომ ვხვდები ნამდვილს

ბევრი გაექცა დროსა და სახელს,
ბევრი, პარნასის ვარდისფერ ხანძარს,

\*\*\*
უფალო, დიდი გრძნეული იყო,
შუბლი უგავდა ლოტოსის ფურცელს,

ხშირად ვხვდებოდი მეტეხის კართან
აკვარელით და ოსტატის ფუნჯით...

\*\*\*
უფალო, თოვლის გათენდა დილა,
ამოანათა ხევი და ლელე,

მამული ჩვენი, – ბროლი და ქარვა, –
გადარჩენილი მტრის უცხო მახვილს,

\*\*\*
უფალო, ჩემებრ ღარიბს და ლატაკს,
შენ არ გასწირავ მზაკვარის ხელით,

მე ჩემი სისხლით, გალობით, ჰანგით,
ყველა ნამდვილი პოეტის ძმა ვარ,

\*\*\*
უფალო, ცხენის წელია ჩემთვის,
მეფე დავითის წელია ჩემთვის,

ელადა, რომი, ანისი, გრემი,
მზე გადაჰქონდათ მახვილის წვერით,

წავსალონებლოებო უფალო

ზაალ ებანოიძის შემოქმედებაზე ან ძალზე მოკლედ უნდა ითქვას სიტყვა, ან - ძალიან გრძლად.

მე ვერცერთს ვერ ვრისკავ და ისევე საშუალო ვარიანტს ვირჩევ. იმიტომ კი არა, რომ მეპატარავება, უბრალოდ, მოკლედ თქმა მკითხველის უპატივცემლობაა, ხოლო გრძლად ნათქვამს გაზეით ვერ დაიტყვს.

ისე, ერთ საკითხზე რომ ამთავითვე შევთანხმდეთ, პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ ეშვებოდა. დავთქვათ, რომ ებიტიტი „დიდი“ მხოლოდ უკვდავ შოთა რუსთაველს მიეკუთვნება, ხოლო, დანარჩენები - ყველანი ქართველი პოეტები ბრძანდებიან. (მოვიშველით ლადო ასათიანი: „...ქართველი პოეტი მერქვას“) არადა, ვისზე ნაკლებია ასათიანი!

საერთოდაც, წოდებებს მხოლოდ ესა თუ ის სახელისუფლო ორგანო ანიჭებს სათანადო აქტივით, თორემ, ვახტანგ მეფე რომ ღმერთს უყვარდა და ციდან რომ ჩამოესმა რეკა, იალბუზზე რომ ფეხი შედგა და დიდმა მთებმა რომ იწყეს დრეკა ან პატარა კახს რომ ჯაჭვის პერანგი ჩააცვენ და ხელი რომ გაჰკრა და გახია, - ამას ხალხი ადგენს!..

სადღესოდ კი რა ხდება - იტყვი მავანზე დიდი მწერალია და უმაღლეს აფუთფუთდება მისი უმდაბლესობა - შური.

ასეა დამკვიდრებული (და, სხვათა შორის, არა მხოლოდ საქართველოში), რომ საიუბილეო თუ სამეგობრო სიტყვაში ნაკლს არ მოუთითებენ და ეს ბუნებრივია, ადამიანურად გასაგებია - თუ რატომ.

ისედაც, ესეთისთვის მხოლოდ დადებითი, თანაც, გამორჩეული პიროვნება, ობიექტი ან მოვლენა იმპულსის მომცემი.

ამ წინებზე ერთ ასეთ გამორჩეულ პოეტზე, დაბადების დღესთან დაკავშირებით, ასეთივე მომცრო ესეი გამოვაქვეყნე.

მეორე მავანმა ცხვირი აიბუზა - ნამხდარი ერთ დროს მქუხარე ლიტერატურული კრიტიკის საქმეო, მხოლოდ პანეგირიკულ, მამაბებურ დიტირამებებს უგალოვენ ერთმანეთსო!

შესაძლოა, არც მთლად უამისობა იყოს, მაგრამ ყველას ერთი ჯოხით გარეკვა რომ არ ეგების? ეტყობა, ზოგიერთს მონატრეობა განმეჩქებულ ოპუსების კითხვა, როცა კონიუნქტურულ დაბალანსებას ენიჭებოდა პრიორიტეტი, როცა ბღღვის ადენდენ ხელისუფალთაგან ათვალუნებულ მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს. ერთი სიტყვით, შემოქმედ ადამიანებს.

მოვსწრებოდა ისეთ დროს, როდესაც მიხვილ ჯავახიშვილის ბრწყინვალე ნოველას - „დამპატიჟეს“ - ერთი დიდად ცნობილი კრიტიკოსი მიწასთან ასწორებდა, ხოლო, მეორეს - ცაში აწყავდა!..

ბესარიონ ჟღენტიც და ნოდარ ჩხეიციც ეპოქის შეიღები გახლდნენ, თუმცადა, ერთი ასაკით გვარიანად უფროსი და, ამდენად, დათრგუნულიც, ხოლო მეორე - ლალი, მაგრამ ახალგაზრდა და, ამდენად, უფრო გაბედულიც.

ნათქვამია, ცოდვა-მადლი თანაბრად იზომებაო. ბესო ჟღენტს, საბედნიეროდ, ისეთი „გამოხდომა“ უმაგრებს ზურგს, ნებისმიერ შემთხვევაში ალიბად რომ წაადგება.

საბჭოთა კავშირის მწერალთა მორიგ ყრილობაზე, მართლაც რომ შემზარავი, იმპერიული სულისკვეთებით გაუღენთილი წინადადებით მიმართა დეგენერატი თანამოკალმეებს არცთუ უნიჭო ყირგიზმა პროზაიკოსმა, ჩინგიზ აითმატოვმა: დროა, ამხანაგებო, მოძმე რესპუბლიკების მწერლებმა ორივე ენაზე, საკუთარსა და პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოისა და დოსტოევსკის ენაზეც თხზან თავიანთი ნაწარმოებებიო!

პარადოქსია პირდაპირ! ჩამოთვლილ მწერალთაგან არცერთი არ გახლავთ წარმოშობით რუსი! აქა-იქ ტაშიც იყო.

მამინ სიტყვა ითხოვა ქართველმა ბესარიონ ჟღენტმა. დარბაზი გაისუსა, სმენად იქცა. იცნობდნენ ბესარიონ დავიდოვიჩს!

- ძვირფასო ამხანაგებო! მოგესხენათ, დღემდე ასე გახლდათ მთელ საბჭოეთში დამკვიდრებული: ყოველ ახალ ნაწარმებაში ჩვენი უფროსი ძმები - რუსები - გვიჩვენებდნენ მაგალითს და, კი ბატონო, ვერ დიდად პატივცემულმა მიხვილ შოლოხოვმა დაგვიწეროს ქართულად თუნდაც პატარა მინიატურა, პირობას გაძღვეთ, ქართველი მწერლებიც რუსულზე გადავლენო!

დარბაზში ჰომერული ხარხარი ატყდა და აითმატოვი გაშრა.

ამიტომ, ძვირფასო მეორე მავანო, ბესიკ ხარაჩაიშვილის შემოქმედების, შექმნილადგა-



ვარად, ობიექტური შეფასება, მამაბებლობა კი არა, ის შემთხვევაა, როცა ნაღდ შემოქმედს სიცოცხლეშივე ვეუბნებით გამამხნევებელ, თბილ სიტყვებს, როცა მეშველი ზმნა - ყოფნა - ჯერ კიდევ აწმყოშია და არა უკვე - წარსულში.

მაგრამ, სულხან-საბას რომ დავესეხხოთ, თუ მწახურება გძლევეთ სხვისა კეთილსა ზედა, ვერაფერს გიშველით.

# „ამინოსპიტო წინ გაიშვია სიჭყვა“

*სულს, სულს სჭირდება ფერება, თიხის ჭურჭელში ჩაკეტვით, მოკვდავის ბედნიერებას ან ნუთებს სასონარკვეთის; რომ ხედავ, ცრემლი ვერევა, - ციფი გიტარებზე გაკვეთილს... სულს, სულს სჭირდება ფერება, თიხის ჭურჭელში ჩაკეტვით.*

როგორც ხედავთ, თავად ზაალიც მიდასტურებს ამ შეგონებას ჩემსას.

\*\*\*  
მთელ დღეს დავხტოდით, დავრბოდით და თან საქონლისკენ გვეჭირა თვალი, რომ კოლმეურნეობის ნაკვეთში არ გადაგვპარვოდ.

ფეხის გულელები ნარეკლებით გვექონდა სავე და ვერიდებოდით კოლბოხებზე სიარულს.

მერე ჟივილ-ხვილით ვჭყუშპალაობდით - შენ და შენი უზნის ბავშვები საკრულაში, მე და ჩემიანები - ჩხარაში.

მოვერეკებთ საღამოს პირუტყვს, თქვენები სეროდან, ჩვენები - ჩხარაპირიდან.

საიდან სადაო და, ჩვენ ბიჭტორიას ძელებთან, თქვენ - ცეცხლაურას წყაროსთან ბიჭოლა მეზობელი არ ჩავგვადგინებია! ხელში ბრონეულის სახრე უჭირავს და პირქუშად იყურება.

- რომელმა მამპარეთ ნესვები? - გადა-მიდგა წინ.

- არ მამიპარია მე!  
- დეიფიცე ააა!  
- მამა მამიკეტეს.

უმალვე ახსენდება, ობოლი რომ ვარ და ჩიტოვულა ქოჩორზე ღმობიერად მისვამს ხელს.

- შენ? - მოდგა ვერი შენზეც.

- არ მომიპარია მე! დედა მომიკვდეს.  
შეცბა შენი ბიჭოლა მეზობელი. გაახსენდა თერთმეტი შვილის დედა რომ დაიფიცე და სახრე მოისროლა.

კი, ჩვენ, თითქმის ერთსა და იმავე დროს ვიყავით ომით დალდასმული ორმოციანი წლების დამშეული ბავშვები, მამები რომ ფრონტზე იბრძოდნენ და მოხუცებს ღვინო და არაყი დაჰქონდათ სამეგრელოში სიმინდში გადასაცვლელად; ხშირად მინდვრის ფხალიც რომ სანატრელი იყო, ეკალას ძებნით ხომ მკლავები გვექონდა დაკანრული.

ოდნავ დაბაზებულ სიმინდს რომ მოსვლას არ ვაცლიდით და, ხორცსაკეპ მანქანაში გატარებულს, კეცსა და კეცს შუა ვაცხობდით. და ამდენ სიმწარეგამოვლელს, შენ, კიდევ უფრო ძძიმე ტვირთი აგვიდა ბედის მწერალმა. რაღა თქმა უნდა, პოეტობა ბედისწერაა!

*სარკმლის რაფაზე ხმაურობს წვიმა  
თუ კარზე ვინმე აკაკუნებს და  
ვიხმობს გარეთ;  
თვალში რომ ახლა კურცხალი  
ბრწყინავს,*

# ზაალ ებანოიძე - 75

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია საიუბილეო თარიღს ულოცავენ ცნობილ პოეტს და უსურვებენ დიდ ხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

*შენ იგი მთელი ცხოვრება მალე...  
...მომეტებულად ბლანტი და მლაშე,  
მთროლოვარ ბავშვებს ჩაიარს ვიდრე,  
ჭკვერტად ღირს, როცა ჩამოხდი  
ბავშვებს, -  
ამ სამოთხიდან მოფრენილ ჩიტებს.*

\*\*\*  
მახსოვს, დიდი ომის წლებში მეტად პოპულარული იყო რაჭული სახუმარო სიმღერა რძალ-დედამიტლზე, რომელსაც პატეფონით ვისმენდით ხოლმე.  
- პატარა-ძალი, პატარა-ძალი!  
- ბაა-ტონო, ბატონო!  
- წინილებს დოუმედრე, წინილებს დოუმედრე!

- ახლავე, ახლავე! ერთი, ორი, სამი, ოთხი...  
მეთერთმეტე აღარ არი, წოულია ძერასაო...  
მეტს ვეღარ ვიხსენებ.

ზაალიც სწორედ მეთერთმეტე „წინილა“ - ყველაზე უმცროსი, აბოლოვარა, რომელიც კინალამ გაუტაცნია ძერა-ტუბერკულიოზს!  
ათი შვილიც უკვე გმირობა იყო და, თურმე, მეტს აღარ აპირებდა ცოლ-ქმარი, რადგან ისედაც ომის სუნი ტრიალებდა ირგვლივ.

მრავალშვილიანი ოჯახის გამოკვეთილი შეფიქრანებულ დედას წამლით უცდია შველა, მაგრამ სულ უფროსი ვაჟი, ოდესის სამედიცინო ინსტიტუტში რომ სწავლობდა, არდადეგებზე ჩამოსულა შინ, ბუხრისთავზე რაღაც წამლიანი შუშა სცემია თვალში, ნაუკითხავს და მომდევნოსთვის უკითხავს, ამას ვინ სვამსო. დედა სვამსო. ბუხრის კედელზე მოუფშვინია ცხოვნეულს.

მოგვიანებით, როდესაც ზაალი ადრეულ ასაკში დაავადდა ტუბერკულიოზით, (ექიმი ძმა უწვდიდა, რა თქმა უნდა). ზაალი ეხუმრებოდა: ახია შენზე, რომ არ მიგეფშვინა ის წამლიანი შუშა, ხომ გადარჩებოდი ამდენ ხლაფორთსო!

ეს ისე, ხუმრობაგარეცით.  
\*\*\*  
ზაალზე უფრო მორიდებული, უშურველი და თავაზიანი, პოეტური საძმოდან, არავინ მეგულვება.

როცა სულ პირველად შევხვდი და გავიცანი ოტია იოსელიანის წყალობით (ნათელ-მირონი არიან), ისე ახლობაზრად მომაჩვენა თავი, გავიფიქრე, ამას ხომ მთელი ცხოვრება ვცნობდ-მეთქი!

მიუხედავად თვალსაცემი მორიდებულობისა, იოლად ახერხებს შენც გაგამინაურების თავი და ის ფსევდოდამაბულობა, ახალგაგონობას რომ უთუოდ ახლავს ხოლმე, წამიდანვე ქრება. მით უმეტეს, რომ სასაუბრო თემატიკა იშვიათად სცდებოდა ამინდის ტაროსს, ნაკელის გატანას, შპაბამის ხარისხიანობასა თუ ფუტკრის გამოზამთრების საკითხს. გვეგონებოდათ, ორი სწავლული აგრონომი შეხვდნენ ერთმანეთსო!  
მწერლობაზე და, კერძოდ, პოეზიაზე სიტყვა ძვირად დასცდებოდათ. მეჩრე და მეჩრე მივხვდი, რომ მათთვის ლიტერატურა იმდენად სერიოზული რამ გახლდათ, რომ ასე ჰაიპარად და უპრაგონოდ ერიდებოდნენ მასზე საუბარს.

ზაალმა გუმანით იცის, ადამიანის დაბადებასთან ერთად, სამყაროც რომ იბადება, ხოლო, გარდაცვალებასთან ერთად - თავდება. ამიტომ, რომ იგი არ ცდილობს მის დადგენას, თუ რომელი ეპიზოდია ადამიანის ცხოვრებაში მთავარი, რათა ის მთავარი მეჩრე ლექსის თემად აქციოს. იგი ადრევე აღმოაჩენს, რომ ადამიანის სიცოცხლის ყოველი წამი და წამისწამა მთავარი; რომ მისი ამქვეყნიური ცხოვრება არ ნაწილდება მარტივ მამრავლებად.

ამიტომაცაა ძნელად შესარჩევი მისი საკმაროდ ხვადრიელი პოეტური მოსავლიდან, რომელია დედო-ლექსი ანუ რომელია ებანოიძის „მერანი“ თუ „ყორანი“; იგი წარმატებულად ცდილობს, არცერთი გულისძგერა არ გამოიჩინოს, არცერთი ნუხილი თუ ნეტარება, ალტაცება თუ იმედის გაცრუება. სიტყვამ მოიტანა და, გამოჩენილი თურქი პოეტის, ქისაქურეჩის ლექსების წიგნის წინათქვაში ზაალი ამბობს ასეთ ფრაზას: „პოეტის რჩეული ლექსები გამოქვეყნდა სიცოცხლის შემდეგ გამოცემულ წიგნში“-ო!  
რა მარჯვედ მიგნებულნი გამოიქმნა - „სიცოცხლის შემდეგ!“ თითქოს უპრიანი იყო „სიკვდილის შემდეგ“, არა? მაგრამ არა, „სიცოცხლის შემდეგ“ უფრო ზუსტი და უფრო ტევადია, რადგან სიკვდილის შემდეგ აღარაფერი აღარ არსებობს.

რაც შეეხება ზაალის მიერ თარგმნილ ქისაქურეჩის ლექსებს. როდესაც მის ვაჟს, ასევე პოეტს, ბატონ მირიანს ეს ლექსები გადაუკითხავს, ხუმრობით უთქვამს, ზოგიერთი შენს კრებულშიც რომ შეგეტანა, კაციშვილი ვერ მიხვდებოდაო!

და მართლაც, მოვისმინოთ, რა ქართულად ჟღერს ქისაქურეჩის, ვთქვათ, ეს პატარა ლექსი:

*გელოდი, როგორც დილას სნეული,  
ან მიცვალებულს - სამარე ბნელი;  
ან თავისთავში გამოხვეული  
ეშმაკი - ცოდვის ჩადენას ელის.  
არ ჩანდი, მაგრამ ლოდინით წრფელით,  
თურმე, იმდენი ძვირე და გზატე,  
რომ სამუდამოდ გამხდარხარ ჩემი  
და მოსვლა შენი ან არასა მშატებს.*

მგონი, დროა, რომ თავის პორტრეტისთვის ერთი პატარა შტრიხი თვითონ პოეტმა შემოგვაშველოს.

*„მოხრილი მხრები და ჩრდილი მომცრო,  
თვალეები - ტბორი და ტბორზე - ნისლი,  
მთელი ცხოვრება სიტყვაში ცოცხლობს -  
სიტყვაში გაჭრის სამარის ღირსი  
სხვა დანარჩენი - ყანა თუ მზვარე და  
ამა ქვეყნის სიკეთე მთელი -  
ახუტებული იმად ჰყავს თვალებს, სა-  
მარის გაჭრას შეუწყოს ხელი.“*

კი, ჩახტომით, ნამდვილად იმ ზაალს უნდა ჩაუხსტეთ და ჩაუხსტეთ, ბარათაშვილს, ლამაზი ქალის მოსატაცებლად! ხოლო ლამაზი და შლიანი ლექსისთვის ამ ზაალს, ებანოიძეს! იმთავითვე უცნაური ხნე გვეჭირდა ერთ დროს ქართველობას: თუ შინ ცოლად მაინცდამაინც მოტაცებული ქალი არ გვესვა, მზეთუნახავიც რომ ყოფილიყო, ლამაზი ვერ იქნებოდა!

ზაალის ლექსი კი თვინიერია, მიმნდობი და მოსიყვარულე; თუ გულს უჩვენებ, მოტაცება არ დასჭირდება, კრავივით აგვემეცნება. გულწრფელია და ალალი. ყველაფერს გაგანდობს, ჭირსაც და ლხინსაც. არც საგულდაგულოდ ენაშტვერობს, მაგრამ არც მქლედ და მშრალად უბრობს. ოდნავადაც თუ შეგეყოლია, მეჩრე თანდათან ავიყოლი-ტებს და, ბოლოს, საერთოდ ნავიყოლიებს.

*მე გვერეები და სანთლებს გინებო და  
გამტყდარ ძილზე აბიჯებს ღამე...  
რა ვეშველება ამ ფერმკრთალ თითებს და  
მოლოდინში ჩათვლეტილ წამებს,  
მითხარი მაინც, ამ სულის ტკივილს რა  
გამოხვედით და ხმით დავიხსნი!  
ან მღვრიე წყალში დამტოვე ტივით და  
ღვინოსავით ლექსი დამიხსნი.*

\*\*\*  
ხაზგასასმელია რომ ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ფიგურალურსაც რომ ეძახიან, იდიომები, ნათელი პოეტური სახეები ზაალის პოეტური აქსესორი და მთავარი საშენი მასალაა, ემოციურად რომ შემოქმედებს მკითხველზე და გემოვნებას უფაქიზებს: „ცივი ქარების კუდების ქიცინს ჭრელი ფოთლების დაჰყვება რემა“, „ჩამომძიმდება სარკმელზე ზოლი და თეთრი სისხლი წასკდება ამინდს“, „გაგისარი, დაბ-

►► დასასრული 20-21 გვ.



# სტურუასიის საფუძვლები

## პასუხი ლექსო დორეულის წერილზე „ლია II ლიქოკელის პოეზიის ტექსტუალური ანალიზის ცდა“



ლექსო დორეული

„უარყოფის გარეშე კრიტიკა არ არსებობს, არადა, რომელ ჟურნალს არა აქვს „კრიტიკის განყოფილება“? კრიტიკის გარეშე მხოლოდ „ოსანა“ იქნება. მაიძულეს კრიტიკის განყოფილებაში წერა, შედეგად კი ცხოვრება მივიღეთ. ჩვენთვის ეს კომედია გასაგებია: მე, მაგალითად, უბრალოდ და პირდაპირ მოვითხოვ ჩემს განადგურებას!“

### ეშმაკი

„ალბათ მეორე გრანპრი იმას ეკუთვნის, ვინც თუნდაც ერთ წერილს დაწერს ლიას შემოქმედებაზე, რომელიც სრულიად განსხვავებული ამოფრქვევა-ამოვარდნა-სიგიჟეა ქართულ პოეტურ სივრცეში.“

### მარიამ ნიკლაური

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ამა წლის პირველ, 10 ნომბრის ნომერში მკითხველმა იხილა შესანიშნავი კრიტიკოსის **ლექსო დორეულის** მეტად საყურადღებო და ვრცელი რეცენზია – **„ლია II ლიქოკელის პოეზიის ტექსტუალური ანალიზის ცდა“**, რომელშიც ამ ავტორისთვის უჩვეულოდ, დეტალურ-მეცნიერული, სკრუპულოზური ტექსტუალური ანალიზით არის განხილული თანამედროვე ახალგაზრდა და თანაც ხევსური პოეტის **„ლია II ლიქოკელის“** პოეზია.

ზემოხსენებული წერილი პირველი შემთხვევაა კრიტიკოსის შემოქმედებაში, როდესაც ის უარს ამბობს ნაწარმოების მიმოხილვის ზოგადფილოსოფიურ-ჰერმენევტიკულ ანდა რეცეფციულ-ესთეტიკურ მეთოდზე და ამჯობინებს, უკიდურესად გულისგამანჯრილებელი, ფსევდომეცნიერულ-ბუღალტრული კირკიტით აღნუსხოს სარეცენზიო ტექსტის ავ-კარგი.

სიმართლე გითხრათ, ამ გარემოებაში მეტისმეტად გამოაცხადდა გულიც კი დამწყვია – არ მეგონა, თუ ლექსო დორეულის დარი მასშტაბური მოაზროვნე იმაზე მოცდებოდა, რომ ავტორისთვის ესაყვედურებინა ისეთი უმნიშვნელო და მხატვრული ლიტერატურისთვის არა-არსებითი გარემოებების გამო, რაზეც წერილშია ყურადღება გამახვილებული. ნამდვილად ვერ მივსალმები, რომ, იმის მაგიერ, კრიტიკოსს გაენალიზებინა პოეზიის არსებითი ასპექტები: აზრობრივი სიღრმე, ექსპრესიულობა, ტროპულობა, ინტერპრეტაციითა მრავალფეროვნების შესაძლებლობა, ვერსიფიკაცია-ეფფონიის საკითხები... ღრმად პატივცემული ბატონი დორეული ისეთი უმნიშვნელო „ხარვეზების“ აღნუსხვას გადაჰყვამ, როგორებიც არის: პუნქტუაციური და კორექტურული უზუსტობები, „-მეთქი“-სა და „-თქო“-ს არასწორი გამოყენება და ა. შ. თქვენ წარმოიდგინეთ, კრიტიკოსის ყურადღება იმანაც კი მიიპყრო, რომ „ლია II ლიქოკელს“ რამდენიმე ადგილას წერტილის მაგიერ მძიმე ჰქონდა დასმული, ხოლო მძიმის მაგიერ წერტილ-მძიმე (სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ თავად ლექსო დორეულის წერილშიც არის დაშვებული რამდენიმე მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომა).

რასაკვირველია, ამ სპეციფიკის შენიშვნებზე შეიძლება გაკვირთ თქმულიყო მის წერილში, მაგრამ, როგორც

მკითხველმა იხილა, ბატონმა დორეულმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, როცა გაზეთის თითქმის ნახევარი მონადრომ ავტორის მიმართ გაუთავებელი და არაარსებითი საყვედურების გამოთქმას. მოვიტან ერთ ციტატას ლექსო დორეულის რეცენზიიდან: „ახალგაზრდა ავტორი ლექს **„ბაყბაყ-დევი ინექშენში“** 35,7-ზე მეტ პუნქტუაციურ შეცდომას უშვებს; მაგალითად, მესამე პუნქტის ბოლოს მძიმის მაგიერ წერტილს სვამს, ხოლო ლექსის ბოლოს სამი წერტილის ნაცვლად – ორს. ასევე, ჯეროვნად არ არის გამოყოფილი სტროფები ერთმანეთისგან და ალაგ-ალაგ შრიფტიც მკრთალა“.

ამის შემდეგ ბატონი დორეული და-

თავად ავტორს, – ყოველ შემთხვევაში, თავის ტექსტებში – ნამდვილად არ მოუცია! იმის მაგიერ, ახალგაზრდა პოეტს გულთან ახლოს მიეტანა დევის ცოლის გასაჭირი და რაიმეთი ენუგეშებინა, მან მისი აბუჩად აგდება გადაწყვიტა და აიძულა, სახალხოდ, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ეცინა!“

მართალია, ბატონი დორეულის მოსაზრებაში არის ლოგიკის მარცვალი და ის საღ აზრთან არც ისე შორსაა, მაგრამ მას რატომღაც ავიწყდება, რომ ისეთი ავტორი, როგორც „ლია II ლიქოკელია“, ღვთაებრივი გამაგებებისას სრულებით კარგავს კავშირს ობიექტურ სინამდვილესთან და ინაცვლებს ტრანსცენდენტურ სამყაროში, სადაც



ინტერესდება „ლია II ლიქოკელის“ სადებიუტო წიგნის სათაურითაც („დევის ცოლის სიცილი“), რომლის შესახებაც, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, მეტისმეტად საკამათო მოსაზრებებს გამოთქვამს (სტილი დაცულია): „**კრებულის სათაური, მხატვრული თვალსაზრისით, მეტად არადამაჯერებელია! რომელი ჭკუიდან გადამდგარი იდიოტი დაიჯერებს, რომ დევის ცოლი ოდესმე შეიძლება სიცილის გუნებაზე დამდგარიყო! მით უფრო, ისე შესაძრევად, რომ ავტორს მიზეზი მისცემოდა, წიგნისთვის ეს სათაური დაერქმია! ძვირფასო მკითხველო, წარმოიდგინეთ... ანდა, არა, არა, თქვენ რას გერჩით, არ წარმოიდგინოთ – დევის ცოლის მდგომარეობა, რომელსაც იქნებ ყოველ ღამესაც კი, თავისი მეუღლე დასაშვებზე დიდი გაბარბიების ასომთავრულით უმასპინძლებდა! არა, მეგობრებო, ვერავინ დამაჯერებს, რომ ამ მძიმე ყოფაში ჩავარდნილ საბრალო დევის ცოლს საცინლად აქვს საქმე! ის კი არა, იქნებ (ს)ასონარკვეთილიც კი ელოდება ყოველი ღამის მოახლოებას! და, თუ ეს ასე არ არის, მაშინ იძულებული ვართ, თავად დევის პოტენციაში შევიტანოთ ეჭვი, რისი საფუძველიც**

ამქვეყნად არსებული კანონები და, რაც მთავარია, ზომები არ მოქმედებს. სწორედ ამის დასტურია პოეტის ერთ-ერთ ღრმად ფილოსოფიურ ლექს „აშექალას ქორნილიში“ გამოთქმული შეხედულება:

„**ღამეს გაგიტენებ, აშექალო. ისე დაგიჯდები, როგორც კრუხი“.**

.....  
„**იქნებ მართლა ტყეში იჯექი, იქნებ მართლა ტყეში იცხოვრე ის სამი წელი.**

მგელმა გააჩინა, ამბობდნენ შენზე. იქნებ აშექალი მგლის ლეკვებს აჩენს,

ვფიქრობდი მე და ისინი ყმუიან ღამლამობით“.

მაგრამ, როგორც ჩანს, კრიტიკოსის განზრახვა არცთუ ისე უანგარო იყო! მან გვერდი აუარა ამ ჭეშმარიტად პოეტურ, მართლაც მედიტაციურ-ჰეტეროგლოსიური შესაძლებლობების შემცველ სტილიკონებს; სამაგიეროდ კი შეგნებულად, ვანდალურად დაამახინჯა შემდეგი ტაეპები:

„ტალღებს თითებად დავანყობდი ცისფერ ძარღვებზე. თმაში ვურევდი ბანგიან დუღუნს“.

კრიტიკოსმა უკადრებელი იკადრა: სიტყვა **„დუღუნის“** მაგიერ **„დუნდული“** **„აციტირა“** და ამაზე ააგო თავისი მსჯელობები: **„დუნდული და თმა გეოგრაფიულად ერთმანეთისგან მკვეთრად დაშორებული ტერიტორიებია, ამიტომაც ავტორი ვერანაირად გაურევდა თმაში დუნდულს! ის უბრალოდ ცრუობს, მკითხველს მწარედ ატყუებს“** – წერს ბატონი ლექსო.

სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით არის: ეს პატივცემულ დორეულს შეჰყავს შეცდომაში საზოგადოება, როცა, როგორც აღვნიშნე, **„დუღუნს“** **„დუნდულით“** ანაცვლებს! მართალია, ეს ორი სიტყვა ერთმანეთს ძალიან ჰგავს და შეიძლება უნებლიე შეცდომასთანაც გვექონდეს საქმე, მაგრამ კონკრეტულად ეს სიტყვა – **„დუნდული“** პოეტისა ნამდვილად არ არის!

რაც ჩემი და მკითხველის ასევე გულწრფელ აღშფოთებას იწვევს, გახლავთ ლექსო დორეულის შემზარავი და სენსაციური დასკვნა, რომლითაც ის თავის რეცენზიას ამთავრებს: **„მიხვდებოდით, როგორც ყოველთვის, ახლაც, ჩემი წერილის სათაური შემთხვევითი ნამდვილად არ არის. თანამედროვე ქართველ ქალ ავტორთა დიდი ნაწილი ცდილობს, შესანიშნავი პოეტის, ლია I სტურუას მიბადვით წეროს! შედეგად, ქართულ ლიტერატურაში სტურუაციული ნაკადი მართლაც მძლავრია! სტურუაციის პროცესი ძირითადად დამახასიათებელია მდევრობითი სექსის წარმომადგენელი პოეტებისთვის. ის, როგორც წესი, თინეიჯერულ ასაკში იჩენს ხოლმე თავს და შეიძლება 45-50 წლის ასაკამდეც კი გაგრძელდეს, სანამ პოეტი საკუთარ შემოქმედებით ნაკადს არ მიაგნებს. როგორც მოსალოდნელი იყო, მართალია, დადგენილზე გვიან, მაგრამ მაინც დაუდგა ეს პროცესი „ლია II ლიქოკელს“! ახალგაზრდა პოეტს მხოლოდ ის შემოძლია ვუსურვო, რომ, დაე, სტურუაციის მძლავრ ნაკადს მალევე ჩაველოს მისთვის და შეეძინოს თვითმყოფადი, ნამდვილად თავისი პოეტური ხმა!“**

ყოველივე ამის შემდეგ ბატონი დორეული, კიდევ კარგი, რომ სარეცენზიო ნაწარმოებთა დადებითი ასპექტების აღწერასაც უთმობს ერთ მოზრდილ აზრსაც, სადაც ვკითხულობთ: **„ისე არ უნდა გამოვიყო, თითქოს ლია II ლიქოკელის პოეზიას თავისი ღირსშესანიშნაობები არ გააჩნდეს და მისი შეფასება მხოლოდ ნეგატიურად შეიძლებოდეს. არამც და არამც! ამ ავტორის შემოქმედებაში ასახული და ტემპორალურ-ფენომენოლოგიურად არის გადააზრებული ნატორპის, კოჰენის, ალბერტ ლანგეს და რიჩარდ შონიგსვალდის ნეოკანტიანური იდეები ტრანსცენდენტალური სოლიფსიზმისა და უნივერსალურ-აპორეტიკული ლიაობის პრინციპის შესახებ. ქალბატონ ლიას ეტყობა, რომ ზეპირად იცის პოსტმოდერნისტული ციტირების სის-**

►► გაგრძელება გვ-10 გვ.

►► 80-10 გვერდიდან

ტემა და ისე ფუნდამენტურად ფლობს დერდას rétionion-ის, ჟან-ლუკ ნანსის „მითის შეწყვეტისა“ და ედმუნდ ჰუსერლის *substantia cogitans*-ის პრინციპებს, რომ ვერ ხვდება, სად წაიღოს საკუთარი აურაცხელი ცოდნა და ამ კონცეპტებზე ენობრივ-გრამატიკოლოგიურ თამაშებს დგამს. ლია II ლიქოკელმა შეძლო შემოეთავაზებინა დისკურსი, სადაც ლოგიკურად წმინდა, გრამატიკულად წმინდაც არის *einsehen*-ის ეიდეტიკური ძალით. ლია II ლიქოკელმა განახლება ენის ცნობიერება მისი თვითცნობიერებისგან და, ამდენად, პოეზიაში დააფუძნა გამოთქმის სუბსტანცია, სადაც ხდება თავმოყრა (*recouvrer*), პოეტის რეტენციონალური მზერით მოცვა (შემოფარგვლა) მთელი ტრანსცენდენტური გამოცდილებისა, რომელიც ყოფიერების ონტურ-მრეობრივ სტრუქტურებში იმანენტური სახით ვლინდება, როგორც ეგოს შიგნით კონსტიტუირებადი კოგიტატუმი. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ლია II ლიქოკელის შემდეგი სტრიქონი: „შეჯდა თავის დაყრუებულ სახლში, როგორც მარტოხელა ბაყაყი“. ლია II ლიქოკელს კარგად აქვს გააზრებული, რომ დღეს ინტელექტუალი პოეტის ერაა; პოეტისა, რომელიც საზრისგამოცდილ და, მოდით, პირდაპირ ვთქვათ – ანანისტურ ბოდეებად ჩანერილ ზღაპრებს ლექსებად კი არ გვასაღებს, არამედ დეკონსტრუქციულად იაზრებს ენის არსებას ლოგიციტიტის საფუძველზე. ამიტომ ლია II ლიქოკელმა ძირითადად შეისწავლა ძველი ენები (განსაკუთრებით კარგად: იგრიტი, ძველი ბერძნული და შუმერული) და მათი კონსტრუქციები გადმონერგა თანამედროვე ხევისურულ-თიანეთურ დიალექტში. მაგრამ ლია II ლიქოკელი რის ლია II ლიქოკელი იქნებოდა, მხოლოდ ამაზე რომ შეჩერებულიყო და არ შეექმნა „საერთო ენა“, რომელშიც კარტეზიანულად ვლინდება დემიურგოსის ქვეცნობიერის თეოფანური მანიფესტაცია! მან ძველბერძნულ ტერმინ *δαιμονιωνιας*-ს თანამედროვე ხევისურულ-ტექნიკისტურ სამყაროში სრულიად ახალი კონოტაცია „შთაბერა“, რაც, მეტწილად, აისახა კიდევ მის შემდეგ სტრიქონებში: „ვზივარ. ჩემს ფეხებს შენი ჭუჭყის ჭიანჭველები ესევინან...“.

კრიტიკოსის ამგვარ განაცხადს მოსდევს პოსტკრიტიკული, რომელიც თავხედურად იტყობინება, რომ ეს მისთვის პირველი შემთხვევაა, როდესაც რეცენზიას წერს ისე, რომ ავტორის ერთი ლექსიც კი არა აქვს წაკითხული!!

მე კი საბოლოო დასკვნის სახით მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ, მართალია, ბატონი ლექსო დორეულის სტატიას ყველაფერზე ეტყობა, რომ კრიტიკოსს მის დანერგვად ხანგრძლივი ტექსტუალური სამუშაო ჩაუტარებია ახალგაზრდა პოეტის ლექსებზე და, იქნებ, რამდენიმე თვისანი ფიქრისა და ახალიზის შემდეგაც კი დაუნერია თავისი წერილი, მაგრამ, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, თუ ის ასე სახალხოდ არ განსჯიდა სახალხო პოეტის – „ლია II ლიქოკელის“ ნაღვანს. ცხადია, თავადაც ვიცი, რომ ჩემი შეხედულებებით, რომლებიც ეწინააღმდეგება ბატონი ლექსო დორეულის მოსაზრებებს, შეიძლება გავანაწყენო კიდევ ის, მაგრამ, იმედია, მას ეყოფა ძალა, სიმართლეს გაუსწოროს თავალი და უარი არ თქვას ჩვენს რამდენიმეწლიან მეგობრობაზე.

P. S. აქვე აღვნიშნავ, რომ ლექსო დორეულის მსგავსად, „ლია II ლიქოკელის“ ლექსები არც მე წამიკითხავს და უშუალოდ მათზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ისინი მეტისმეტად სუსტი და შესამჩნევად დრომოჭმულია.

პატივისცემით  
ლექსო დორეული

# ჰარუკი მურაკამი და მისი რომანი - „სამხრეთით, საზღვრის მიღმა, მზის დასავლეთით“



სისინო ბრატიაშვილი

ლიტერატურულმა პალიტრამ დაამთავრა ჰარუკი მურაკამის რომანის „სამხრეთით, საზღვრის მიღმა, მზის დასავლეთით“, გამოქვეყნება, რომლის ქართული თარგმანიც ჟანრი და ლუიზა ლოდუვილებს ეკუთვნის. შესანიშნავი თარგმანი (ჩემი აზრით), შევადარე რუსულ ტექსტსაც და წუნს ვერაფერში დასდებთ.

ჰარუკი მურაკამი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია მსოფლიოში. მისთვის, დამახასიათებელია ირეალური პიროვნებებისა და ირეალური სამყაროს რეალურად შეგრძნება (როგორც მთარგმნელები წინასიტყვაობაში აღნიშნავენ). რომანი „სამხრეთით, საზღვრის მიღმა, მზის დასავლეთით“ თანამედროვე მსოფლიო პროზის საუკეთესო ნიმუშია. რომანის მთავარი გმირი, ჰაჯიმე თავად აღწერს საკუთარ ცხოვრებას. ამ აღწერას ვერ დაარქმევთ სულიერი მდგომარეობის შეცნობას, გმირი უფრო სოციალურ ყოფას და ადამიანებთან რელიეფურ დამოკიდებულებებს გადმოგვცემს. აღგვწერს, როგორ ცხოვრობს, საზოგადოების რა ფენას მიეკუთვნება, როგორი გოგონები ალაგზნებენ, ან როგორ ალაგზნებენ და ეს ყველაფერი უფრო ფიზიკურ პლანშია გადმოცემული, ვიდრე სულიერში. ჰაჯიმე მარტოსულია, არ ჰყავს გულითადი მეგობრები, არ აინტერესებს იმ გოგონების სულიერი მდგომარეობა, რომლებთანაც ფიზიკური ურთიერთობები აქვს, და ერთადერთი, ვინც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯერ კიდევ მაშინ, როცა 12 წლისა იყო, მეზობლად მცხოვრები თანაკლასელი გოგონა შიმამოტოა. ისინი ერთად მოდიოდნენ სკოლიდან, ერთად უსმენდნენ მუსიკას, ლაპარაკობდნენ ათას რამეზე და უსიტყვოდაც მშვენივრად უგებდნენ ერთიმეორეს, მაგრამ ჰაჯიმეს ოჯახი სხვა რაიონში გადადის, საცხოვრებლად და შიმამოტოს სცილდება, თუმცა არასდროს დავიწყებია და ის შთაბეჭდილება სულიერი მთლიანობისა, მთელი ცხოვრება მიჰყვება რომანის გმირს.

ახალ სკოლაში, ცოტა უფრო მოზრდილ ასაკში, ჰაჯიმე თანაკლასელ გოგონას, იძუმის დაუახლოვდება, რომელთანაც, მართალია, არ იყო ის სულიერი ერთიანობა და ერთიმეორის უსიტყვო გაგება, რაც შიმამოტოსთან ჰქონდა (ეს უფრო ფიზიკური ლტოლვაა ერთიმეორესთან), მაგრამ თავს მაინც კარგად გრძობს, თუმცა ესეც არ გაგრძელებულა დიდ ხანს – ჰაჯიმე იძუმის ლალატობს ბიძაშვილთან და გოგო ლალატს არ პატიობს.

ამის შემდეგ ჰაჯიმეს ცხოვრება თავისი წესითა და რიგით მიდის. ამთავრებს უნივერსიტეტს, მუშაობს სახელმძღვანელოების გამომცემ კომპანიაში, ლამაზობით სვამს და მარტოობა აწუხებს. წლების შემდეგ, უკვე 30 წლის ასაკში, შვებულების დროს გაიცნობს მომავალ მეუღლეს. სამ თვეში ქორწინდებიან, მდიდარი სიმამრის დახმარებით ხსნის ორ ჯაზ-ბარს, ჰყავს ორი შვილი, ცხოვრებას თანდათან აინყობს და უკმაყოფილო არაფრით არის მანამდე... მანამდე, ვიდრე მისი ფოტოსურათი არ დაიბეჭდება ყველაზე პოპულარული ჟურნალის გარეკანზე. აი, აქ კი მთელი მისი აწყობილი და მშვიდი ცხოვრება თავდაყირა დგება.

და აქ, მე-14-ე თავიდან, როცა ბარში შიმამოტო გამოჩნდება, იწყება უკვე ნამდვილი რომანი თავისი ქვეტექსტებით, თავისი ირეალური პიროვნებებით, გაუგებრობებით. ჰაჯიმე ხვდება, რომ მთელი სიცოცხლე შიმამოტო აკლდა და ისევე ისე უყვარდა, როგორც ბავშვობაში, – ამ სიყვარულის შესანარჩუნებლად მზად არის, მიატოვოს ყველაფერი; რაც აქვს, ბიზნესი, ოჯახი, შვილები...

მაგრამ ვინ არის შიმამოტო ამ შემთხვევაში? არის ის ნამდვილად შიმამოტო? რა დაემართა იძუმის? რამდენად კარგად იცნობს ჰაჯიმე საკუთარ ცოლს, იუკიკოს, და რა იცის საკუთარი პიროვნების შესახებ? ხვდება, რა ხდება მის გარშემო? – ამ კითხვებზე მურაკამი პასუხს სცემს ქვეტექსტებით, მინიშნებებით და სიმბოლოებით, რაც თავისთავად დიდ ინტერესს იწვევს;

ვინც პირადად მიცნობს, ყველამ იცის ჩემი შეხედულება ეროტიკულ ლიტერატურაზე – უბრალოდ, არ ვკითხულობ (სიამოვნებით მივიღებ თქვენს შენიშვნას ჩემს ძველმოდურობაზე), მაგრამ ამ რომანში, აღწერილი ინტიმური სცენები (და აქ ყოველივე დეტალურად არის აღწერილი), გვეხმარება ჩავიხედოთ მთავარი გმირის, ჰაჯიმეს სულში. გავიგოთ, რას განიცდის ის ამ ფიზიკური ურთიერთობების დროს და რა ადგილი აქვთ ამ ქალებს მის ცხოვრებაში.

როგორც მთარგმნელები აღნიშნავენ (და არამარტო), რომანი ბევრ კითხვას ბადებს. ძირითადი კითხვა კი ის არის, რატომ უნდა ვიგულისხმოთ რომანის ბოლოს ჰაჯიმეს სიკვდილი.

ამის მისახვედრად, პირველ რიგში, საჭიროა იმის ცოდნა, რატომ გახდა ირეალური სამყარო მურაკამისთვის ასე საინტერესო. რომანის ავტორი ბუდისტის მღვდლის შვილიშვილია. ბუდისტებს კი განსაკუთრებული სწავლება აქვთ სულების დამოუკიდებლად არსებობის შესახებ. იქნებ, სწორედ ამან გამოიწვია ჰარუკი მურაკამის რომანებში ირეალური გმირების მთავარ გმირებად წარმოჩენა. ბუდიზმი აღიარებს სულების დროებით გადასახლებას ირეალურ სამყაროში და რეინკარნაციას. ბუდისტების შეხედულებით სული სხეულის დატოვების შემდეგ შვიდ შრეს გაივლის, ვიდრე მიაღწევს (თუ მიაღწევს) სრულყოფილ მდგომარეობას – საუფლოს. ამ მდგომარეობას

კი მხოლოდ ძალიან სუფთა სულები აღწევენ.

ასევე საჭიროა იმის ცოდნა, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ფერებს იაპონელებისთვის.

რომანში ყურადღება გამახვილებულია იმ ტანსაცმლის ფერებზე, რომლებიც ეცვათ შიმამოტოსა და იძუმის, ანუ რა ფერებიც უყვარდათ ამ გოგონებს.

ლურჯი ფერი, რა ფერის ტანსაცმელსაც შიმამოტო იცვამდა, იაპონელებისთვის ცისა და ზღვის, სიმაღლისა და სიღრმის, მუდმივობის, ერთგულების, მართლმსაჯულების, სრულყოფილების და სიმშვიდის სიმბოლოა. – ეს ფერი აბსოლუტურად გამოხატავს შიმამოტოს ხასიათს – მშვიდს და სამართლიანს.

წითელი – ამ ფერის ტანსაცმელს ატარებდა იძუმი – სიმბოლოა სისხლის, ცეცხლის, განრისხების, ომის, რევოლუციის, ძალის, სიმამაცის და შურისძიების.

და მართლაც, იძუმი რომანში გვევლინება, როგორც შურისმაძიებელი, რომელიც იარაღად იყენებს შიმამოტოს, ჰაჯიმეს ერთადერთ, ბავშვობისდროინდელ სიყვარულს. თუმცა, ჰაჯიმე ვერაფერს ხვდება.

ყველგან, სადაც კი შიმამოტო წითელი ტანსაცმლით გვხვდება, მკითხველი ხვდება, რომ ეს იძუმი – შურისმაძიებელი და სამიში.

დავამატოთ ისიც, რომ იძუმის გვარი – ოჰარა – იაპონურად ითარგმნება, როგორც მამაცი, უბრალო, შესაძლებლობების მქონე (აქ ნავულისხმევია, როგორც ყოვლისშემძლე, ზებუნებრივი), საშინელი, დიდი. იაპონური გვარები ორი ან სამი სიტყვისგან შედგება, ოღონდ, არ აღნიშნავს ვინმეს შვილს ან შთამომავალს, როგორც ეს ქართულ გვარებშია; აქ გვარები მიანიშნებს რაღაც ნივთს, ადგილს დამატებული ასევე რაღაც ნივთი, ადგილი ან მოვლენა. მაგალითად, რომანის ავტორის გვარი – მურაკამი – ნიშნავს „სოფელი+სიმაღლე“, გვარი იამადა ნიშნავს – მთა+ბრინჯის ყანა, სუტუკი – ზარი (ზარის ხმა)+ხე... და ასე შემდეგ.

აქ უკვე გასაგებია, რატომ შეურჩია ავტორმა იძუმის გვარად ოჰარა – რათა გამოეხატა ამ ქალის ხასიათი, ბუნება, თუმცა რომანში გვარი ჩინური იეროგლიფებით წერია.

მკითხველი ხვდება, რომ ორივე ქალი უკვე გარდაცვლილია და ირეალური სამყაროდან ეცხადება რომანის მთავარ გმირს.

იძუმის არაამქვეყნიურობაზე მიგვანიშნებს ავტორი მაშინ, როდესაც ჰაჯიმეს თანაკლასელი უყვება იძუმიზე და ამბობს, რომ მისი ბავშვებს ეშინათ; ასევე ეს ჩანს, როცა თვითონ ჰაჯიმე დაინახავს იძუმის ტაქსიში, როცა „მის სახეს არც ერთი გრძნობის, არანაირი კვალი არ აჩნდა. ის ოკეანის ფსკერს ჰგავდა, მკვდარსა და უხმოს. აი, ეს უემოციო სახე, პირდაპირ მიყურებდა. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, მე მიყურებდა, რადგან მისი თვალების მიმართულება ჩემსკენ იყო მომართული და მაინც, მისი სახე არაფერს გამოხატავდა, ან უფრო ზუსტ გამოთქმას თუ ვიხმართ, ის უსასრულობაში მყოფ სიშავეს მიუთითებდა...“

►► შეგვეძლოს გვეფიქრა, იძუმიდ შურისძიების გამო ეშმაკს მიჰყიდა სული და მაგი გახდა, მაგრამ მაგებსაც აქვთ სახეზე ემოციის რაღაც ნიშან-წყალი, იძუმის სახე კი არაფერს გამოხატავდა.

შიმამოტოც რომ გარდაცვლილია, ეს ჩანს იმაში, რომ ყოველთვის წვიმაში მოდიოდა და წვიმაშივე უჩინარდებოდა. წვიმას რომ გარდაცვლილის განსხვავებული ფერფლი მოაქვს; ამაზე შიმამოტო თვითონ ამბობს, როცა ბავშვის ფერფლს მოაბნევს მდინარეზე:

„როგორ ფიქრობ, ზღვას ნამდვილად მიაღწევს? როგორ ფიქრობ, წვიმას მოყვება? დამარხვა არ მინდოდა. აუტანელი იყო იმაზე ფიქრი, სადმე ბნელში ყოფილიყო.“

მინდოდა ჩემს გვერდით ყოფილიყო ერთხანს და მერე მისი ფერფლი გამეფანტა წყალში,

წვიმად რომ ნამოვიდეს.“

ამას დავუმატოთ ისიც, რომ შიმამოტოს „ყოველთვის არ უშვებდნენ“ და იქ, საიდანაც მოდიოდა „საშუალო არ არსებობდა“, თან, მხოლოდ მცირე დროით მოდიოდა ბარში – ერთი საათით ან საათ-ნახევრით, მერე კი ტოვებდა ბარს, გარდა ბოლო შეხვედრებისა, როცა არც წვიმაში მოდიოდა და არც მცირე დროით. აქ უკვე მისახვედრია, რომ ამ დროს ჰაჯიმე შიმამოტოს სახით იძუმის ხვდებოდა, რომელსაც შეეძლო იმდენ ხანს დარჩენილიყო ჰაჯიმესთან, რამდენ ხანსაც მოესურვებოდა.

საინტერესოა ეპიზოდი, როდესაც შიმამოტო ჰაჯიმეს ლისტის კონცერტზე დაჰატიფებს. ჰაჯიმესთვის გარემოც და ეს მუსიკაც უცხოა:

„მუსიკამ ვერ გამიტაცა, თვალდახუჭულიც კი. თითქოს, თხელი ფარდა გვყოფდა მე და პიანისტს და რაც არ უნდა მეცადა, მეორე მხარეს ვერ მოვხებოდი.“

ჰაჯიმემ ყველაფერი იმითი ახსნა, რომ, როცა ბავშვობაში ამ მუსიკას უსმენდნენ, გრამფირფიტაზე პატარა განაკანრი თავისებურ ხმას გამოსცემდა და იმ ხმის გარეშე მუსიკას სრულყოფილად ვერ აღიქვამდა. არც უფიქრია, რა იყო ის „ფარდა“, რომელიც პიანისტისგან ჰყოფდა.

აქ სავარაუდოა, რომ ეს კონცერტი ირეალურ სამყაროში მიმდინარეობდა და რეალურ სამყაროში მყოფი ადამიანისთვის, თავისთავად ცხადია, მიუღებელი იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰაჯიმე, ჩემი აზრით, საკმაოდ პრიმიტიული აზროვნების ადამიანია, ბუნდოვნად მაინც გრძნობს შიმამოტოს არამინიერებას:

„შენ აქ ხარ,“ გავაგრძელე, „ყოველშემთხვევაში ისე გამოიყურები, თითქოს მართლაც აქ იყო. არადა, იქნებ, არც კი ხარ აქ?..“

ახლა ვნახოთ, რა ხდება ჰაჯიმესა და შიმამოტოს ბოლო შეხვედრის დროს, როცა აგარაკზე ერთად გაატარებენ ღამეს. გზაში შიმამოტო ფიქრობს თვითმკვლევლობაზეც და ჰაჯიმეს დალუპვავზეც, რაც ნამდვილი შიმამოტოს ბუნებისთვის სრულიად მიუღებელია. აქ სავარაუდოა, შიმამოტოს სახით იძუმია. პირველ რიგში, გავიხსენოთ, რა აცვია შიმამოტოს, იმავე იძუმის ამ ბოლო შეხვედრისას მას აცვია თეთრი კაბა, ლურჯი ჟაკეტი და ჰაჯიმეს ჩუქ-

ნის წითელი ფერის ბაფთით შეკრულ ყუთს, რომელშიც გრამფირფიტა დევს – ნათან კოულის სიმღერა, რომელსაც ბავშვობაში ერთად უსმენდნენ.

როგორც ითქვა, რომანში ფერებს დიდი მნიშვნელობა აქვს და, ფაქტობრივად, ფერები გვაძლევს სიუჟეტის ახსნას, – ამ ბოლო შეხვედრისას, იგულისხმება, რომ იყო სიკვდილი (თეთრი ფერი), იყო ლურჯი (შიმამოტო) და იყო წითელი (იძუმი) და გრამფირფიტა, რომელიც მხოლოდ ამ ორისთვის, ჰაჯიმესა და შიმამოტოსთვის არსებობდა ანუ, ის, რაც შეიძლება არსებობდეს ორისთვის და შეიძლება საერთოდ არ არსებობდეს სამყაროში (ნათან კოულს არასდროს უმღერია ის სიმღერა, რაც ამ გრამფირფიტაზე იყო ჩანერილი).

აგარაკზე შიმამოტო უკვე, ასე ვთქვათ, გარიგებაზე მიდის, და ჰაჯიმეს „სიკვდილთან ხელშეკრულებაზე“ ითანხმებს:

„თუ აღარ გსურს მიგატოვო, მაშინ მთლიანად უნდა მიმიღო, ყველაფრით,



რაც კი მაბაღია, რაც ჩემშია და მეც შენ მთლიანად უნდა მიგიღო. ხვდები ამას? გესმის კი, რას ნიშნავს ეს?“

ჰაჯიმეც თანხმდება:

„ძველ ცხოვრებასთან დაბრუნებას მაინც აღარ ვაპირებ.“

ამის შემდეგ, როგორც რიტუალს (თან აფრთხილებს, ეს აუცილებელი პირობაა), ისე იწყებს შიმამოტო ფიზიკურ ურთიერთობას ჰაჯიმესთან – ზუსტად ისე, როგორი ფიზიკური ურთიერთობაც ჰაჯიმეს იძუმისთან ჰქონდა.

დილით გაღვიძებული ჰაჯიმეს შიმამოტო უკვე აღარ ხვდება. ყველაფერი თითქოს შეცვლილია და, რაც მთავარია, თითქოს ყველგან სილაა, უდაბნო, ანუ ის, რაც „ჩვენს შემდეგ რჩება.“

მარტო დარჩენილი ჰაჯიმე ხვდება, რომ სიკვდილთან „ხელშეკრულება“ უკვე დადებულია:

„როცა ამას მეუბნებოდა, შიმამოტოს ჩემი სიცოცხლე სურდა. ეს მხოლოდ ახლა გავაცნობიერე. მე ხომ მა-

შინ საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე, ეტყობა, შიმამოტომაც. ასე რამ დამაბრმავა?“

ამის შემდეგ ჰაჯიმე, შეიძლება ვივარაუდოთ, უკვე გარდაცვლილია. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჰაჯიმემ უკვე მისცა თავისი სული იძუმის, შიმამოტოს სახით მოსულს, იგივე სიკვდილს და ირეალურ სამყაროში გადავიდა, სადაც ყველაფერი უფრო რეალური და სრულყოფილი იყო (გავიხსენოთ აქ ლისტის კონცერტი), ვიდრე იმ რეალურ სამყაროში, რომელშიც მანამდე ცხოვრობდა. რომანში ასევე ნათქვამია, რომ ამ ბოლო შეხვედრის შემდეგ უკვე აღარ მოსწონს ის ყველაფერი, რაც მანამდე მოსწონდა-სიმღერები, რომელსაც ბარში ასრულებდნენ, სამსახური, გარემო:

„თითქოს გამომშრალ და უსიცოცხლო ქვეყანაში აღმოვჩნდი. ჩემს ხედვებს, ამა სოფლის ფერები მთლიანად

დილით, როცა კი აღმოსავლეთით მზე ამოვა, მიდხარ მინდორში სამუშაოდ. ხოლო, როცა მზე ზენიტს მიაღწევს, შეისვენებ და ისადილებ. მერე, როცა მზე ჩავა დასავლეთით, სახლში მიდხარ დასაძინებლად.“, „მოკლედ ასეთი ცხოვრების ციკლი გრძელდება წლების და ათწლეულების მანძილზე“

„და ერთ დღეს შენში რაღაც მოკვდება.“

„რას გულისხმობ?“

„არ ვიცი, სახელდობრ რა,“ თავი გაიქნია შიმამოტომ, „რაღაც. ყოველდღე უცქერ აღმოსავლეთიდან მზის ამოსვლას, მის მოძრაობას ცის თალზე, მერე კი დასავლეთით მზის ჩაშვებას და შენში რაღაც ირღვევა, კვდება. ყველაფერს იქვე ყრი, ფიქრებისგან დატკლილი თავი გაქვს და შეშლილივით მიიწევ დასავლეთისკენ, იმ მიმართულებით, რაც მზის დასავლეთითაა, თითქოს რამე დაგპატრონებოდეს, მიეშურები ერთი დღე, მეორე, არც არაფერს ჭამ, არც სვამ, სანამ მინას არ დაენარცხები და არ მოკვდები. აი, ეს არის ციმბირული ისტერია.“

რომანის ფინალში კი უკვე მთავარი გმირები ენარცხებიან მინას უკვე ციმბირელი გლეხივით:

„ვერაფრით ვდგები სამზარეულოს მაგიდიდან. ყველა ძალამ დატოვა ჩემი სხეული, თითქოს ზურგსუკან ვილაც მომეპარა და ძაბვიდან ჩუმად გამომრთო.“

ანუ, სიკვდილთან ხელშეკრულება ძალაში შევიდა და, თუ აქამდე მხოლოდ სული იყო გაცემული, უკვე სხეულიც „იმ ქვეყნისა“ გახდა.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, მთელი რომანი დაწერილია ირეალური სამყაროდან მოსული ქალის შურისძიებაზე, რომელიც, თუკი მინაზე დადიოდა, მხოლოდ და მხოლოდ, შურის საძიებლად, ამ შურისძიების იარაღად კი გამოიყენა შიმამოტო, რომელიც, არავინ იცის, რატომ დათანხმდა. – შეიძლება იმისათვის, რომ შვილის ფერფლი ჯერ კიდევ მდინარისთვის ჰქონდა გასატანებელი ან, უბრალოდ, ჰაჯიმე უყვარდა და ეს ერთადერთი შანსი იყო, მისი ნახვისა, – ან ორივე ერთად.

რომანის ფინალში კი ავტორი ფიქრობს:

„ჩვეულებრივ უდაბნოზე. ქვიშიან დიუნებზე და აქა-იქ კაქტუსებზე. სინამდვილეში იქ საკმაოდ ბევრი ცოცხალი არსებაა“

და აქ ჰარუკი მურაკამი გვთავაზობს ყველაზე საინტერესო დასკვნას, კოსმიურს, სამყაროსეულს – რომ ირეალური და რეალური ერთი მთლიანობაა, ერთი ჯაჭვი; სიკვდილი და სიცოცხლე – ამ ჯაჭვის ორი ბოლო, ყველაზე რეალური კი თვითონ უდაბნოა – სამყარო და ეს უდაბნო არის ყველაზე ნამდვილი, სადაც არ არის საშუალო..

„ჩვენ ყველა იქ ვცხოვრობთ. სინამდვილეში კი ერთადერთი რამ, რაც ნამდვილად ცხოვრობს, ეს თვით უდაბნოა.“

ამ ნაწარმოების სახით, ვფიქრობ, ჩვენმა მკითხველმა ერთობ საინტერესო და დასაფიქრებელი საკითხავი შეიძინა.

„მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია!..“

ყველა სხელი, სდაც ხვენი ვარია, არის აცადემია.  
ყველა აცადემია, სდაც ხვენი არ ვარია, არის სხელი!



# პატივისცემით ჩოხოსან გოგი დოლიძეს

## (ვის ვგულისხმობ?..)

როგორც წესი, ბოდიშს ორ შემთხვევაში იხდიან: როცა აცნობიერებენ, რომ შეცდნენ და როცა პოლემიკის, დაპირისპირების დასრულება სურთ სიმბდალის ან მოპაექრის სისუსტის გამო. ბოდიშს ვერ მოვიხდით, რადგან თავს არც დამნაშავედ ვგრძნობ და არც პოლემიკას გაუფრთხილარ, გული კი ნამდვილად მწყდება, ბატონო გოგი, თქვენისთანა პატივსაცემი პიროვნება რომ გაანაწყენა ჩემმა წერილმა „ჩოხოსანობა – ურატორიოტული ჰელოვინი“, რაც ან ავტორის (ანუ ჩემი) ლაკონურობამ, ან მკითხველის დაუკვირებლობამ, ანდა, სულაც ორივემ, ერთად განაპირობა. მე კი ვეცდები, გავფანტო ბუნდოვანება, ანუ მკაფიო გავხადო ჩემი პოზიცია ჩოხოსანებთან, ჩოხის ჩამცემლებთან და, ზოგადად, ჩოხასთან დაკავშირებით. მართალია, ფრჩხილებში ეწერა, მაგრამ მაინც თვალში მომხვდა: „აღბათ, ძალიან ახალგაზრდა და ემოციური კაცია“. ახალგაზრდა ნამდვილად გახლავართ, მაგრამ ძალიან არა, უფრო რომ დავაზუსტო, ქრისტეზე სამი გაზაფხულით ვარ პატარა. კონტექსტს რაც შეეხება, ჩემი აზრით, მწერლის დამსახურება თუ დანაშაული მისი ნაფიქრით შეიძლება შეფასდეს, არამც და არამც – ასაკით. ადამიანი იმიტომ არის ადამიანი, რომ ის ემოციური უნდა იყოს, ეს გამოარჩევს მას სხვა, „ინსტინქტური“ არსებებისგან. კონტექსტს რაც შეეხება – ინსტინქტური ნამდვილად არა ვარ, უფრო მეტიც, დინჯი, განონასწორებელი, დაფიქრებულიც კი შეიძლება მენოდოს, ერთი რომ, კახელი გახლავართ და, მეორეც, ყალბეგამვილი, რაც სპარსულიდან ითარგმნება, როგორც ციხისთავი; მოგესხენებათ, მეციხოვნეებს რაოდენ დიდი ნების-

ყოფა და დაკვირვება სჭირდებოდათ... თქვენ, აღბათ, იფიქრეთ, რომ რჯულმოდულე კაცი ვარ და ყოველივე ქართულის დემონიზაციით ვირთობ თავს, ანუ ბრმა ლიბერალიზმს მივყვები კუდში... ასე ნამდვილად არ არის!.. თუმცა ვერც კონსერვატორობაზე დავდებ თავს, რადგან მიმაჩნია, რომ ახლის აღქმა რეტროგრადულს გახდის ჩვენთვის, ყველასთვის საყვარელ სამშობლოს, რომელიც „ხაჭაპური არ არის, რომ ყველის გამო“ გვიყვარდეს. მე ბუნებით ინტრავენტი გახლავართ და ჩემი ფსიქოტიპის ადამიანებს სამშობლო საშუალოზე მეტად უყვართ (მაგალითად, გოდერი ჩოხელი, რიჰარდ ვაგნერი...) ჩემს საყვარელ სამშობლოში ზოგიერთი რამ არ მომწონს და ამის გამოსხატვას მწერლობით ვცდილობ, როგორც სხვა ინტრავენტები, მაგალითად, ტერენტი გრანელი, ფრანც კაფკა... ეს მცირედი მონოლოგი საკუთარ თავზე ამპარტავნობაში არ ჩამომართვით, ამდენი თქვენმა გულისწყრომამ მალაპარაკა: „სამწუხაროდ, პირადად არ ვიცნობ“. ჩემი მხრიდან უხერხული იქნებოდა მეტყვა, სხვებს ჰკითხეთ ჩემზე ან ჩემს შემოქმედებას გაცანით-მეთქი. იმედს ვიტოვებ, რომ პირადად შევხვდებით ერთმანეთს, ხელსაც ჩამოვართმევთ, როგორც ეს ვაჟკაცთ წესია; თქვენ ისაუბრებთ, როგორც უფროსი ასაკით და ცხოვრებით, მე მოცისმენთ, როგორც უმცროსი, ერთმანეთს გულწრფელ ღიმილს გავატანთ და ეს უფრო ადრე მოხდება, ვიდრე მუჰამედი და მთა შეხვდებიან ერთმანეთს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი – ამ ღვანღმოსილი ქართველის სიყვარულში მე არ შეგვეკვირებით, თანამოზიარე კი დიდი ხანია გახლავართ. ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი ჩემი პატივისცემის დასტურად შემიძლია მოვიყვანო ორი მაგალითი: როდესაც მეგობრებთან ერთად 2008 წელს გაზეთი „ლიტერატურული კავკასია“ გამოვეცი, გვერდზე გადავდე ყველა ჩემი პუბლიკაცია თუ მოთხრობა და პირველივე ნომერში გამოვაქვეყნე ბიოგრაფიული ესეი ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, რაც დღემდე მართებულად მიმაჩნია, როგორც გაზეთის ერთ-ერთ დამფუძნებელს. 2010 წელს დავბეჭდე საბავშვო მოთხრობა თანდართული გასაფრადებლით „ამბავი ქაქუცა ჩოლოყაშვილისა“, რომელიც აქტიურად შემქონდა სკოლებში. დღემდე ამ გამოცემას სიხარულით ვჩუქნი ბავშვებს, რომელთაც მისი შექენა არ შეუძლიათ ან არა აქვთ ინფორმაცია ამ გამოცემის შესახებ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო, არის და იქნება ჩემთვის სამაგალითო ქართველი თუნდაც იმ ღირსებისთვის, რომ ის არასოდეს არ ყოფილა არც ერთი პარტიის თუ გაერთიანების წევრი; მან თავისი მხედრული ნიჭი, სულისკვეთება და

ცხოვრება უანგაროდ მიუძღვნა დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლას. მე ვისურვებდი, რომ ყველა ჩოხაში გამოწყობილ ქართველს იმის მეათედი სიყვარული შეეძლოს საქართველოსი, რამდენიც – ქაქუცა ჩოლოყაშვილს. „დღეს სად არ შეხვდებით ჩოხოსანებს და, მათმა უმრავლესობამ, არათუ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პასაჟები, არამედ ქართულად კითხვაც კი არ იცის, რომ აღარაფერი ვთქვათ წერაზე და „წ“-სა და „შ“-ს ერთმანეთისგან გარჩევაზე. ჩემო ჩოხიანო მეგობრებო! არ არის ჩოხა ქართული წარმომავლობის სამოსი და თქვენი მცდელობა, ამ ფორმით გამოხატოთ საქართველოს სიყვარული, ფუჭია! თქვენ რომ გიყურებთ, გრანელის გენიალური სტროფი მახსენდება, რომელიც ჩოხასა და „აზიაცკებში“ გამოწყობილ შალვა დადიანს დაახალა მაუზერის ტყვიასავით, ნახევრად გახდილმა პოეტმა“. ეს ნაწყვეტი ჩემი წერილიდან ამოვიღე და, იმის მიუხედავად, რომ, ცოტა არ იყოს, მეუხერხულემა შეკითხვის დასმა: მოვიაზრე თუ არა ამ კოჰორტაში პერსონა გოგი დოლიძე? თავს ვალდებულად ვთვლი, გავცე პასუხი: რა თქმა უნდა, არა!


როგორ შეიძლებოდა, თქვენ მომეაზრებინეთ, ბატონო გოგი, იმ ხალხთან ერთად, რომლებზეც ვწერ: „ჩოხის ფასი 300 ლარიდან იწყება და 3000-ს აჭარბებს. შე დალოცვილო და უფიცობის ცოდვით სავსე, ჩოხაში მაგდენი ფულის მიცემას და თავმოძნონედ, გაბლენძით სიარულს, არ გიჯობდა, 30 ლარის ისტორიის წიგნები გეყიდა და შენი ქვეყნის წარსულის ცოდნით მოგეწონებინა თავი, ამ შემთხვევაში იმასაც გაიგებდი, რომ ჩოხა ქართული წარმომავლობის სამოსი არ არის და მას ყველა კავკასიელი იმოსავს ლოკალურ პარადებზე“, ანდაც, „ვისაც სახლში დედა ისტორია და გულში დამშეული მეზობლის ბავშვის სიბრაღული არ გაქვთ...“ არა, ბატონო გოგი! თქვენ არ გგულისხმობდით და ვერც გიგულისხმობდით, რადგან კარგის მეტი არაფერი მსმენია თქვენზე. როცა მინახიხართ, უფრო ზუსტად დამინახიხართ, მიფიქრია: ასეთი უნდა იყოს ქართველი კაცი-მეთქი. თუ რამ წამიკითხავს, თქვენს კრიტიკას ვგულისხმობ კინოსა და ზოგიერთ სამარცხვინო გამოცემაზე, მოხიბლული დავრჩენილვარ, როგორც თქვენი ინტელექტით, ასევე მოზომილი სიმკაცრით და შეუვალი პირდაპირობით. მე თქვენ გავფასებთ, როგორც პიროვნებას და როგორც ჩოხოსანს – ძალიან გიხდებათ ჩოხაც და ქართველობაც (ჩემი აზრით, ქართველობასაც სჭირდება მოხდენა, როგორც – ჩოხას). „საქართველოს ეროვნული გმირის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი“ – ამ ლეგიტიმურ ორგანიზაციაში, არ ვიცი, ვინ არის განვერიანებული, მაგრამ, რადგან თქვენ ბრძანდებით გაერთიანების ხელმძღვანელი, დიდი აღბათობით, ჩემს გულწრფელ და საქებარ სიტყვებს, თქვენთვის რომ არ დამენანა, თქვენი ჩოხოსანი მეგობრებიც გაინანილებენ, ამავე აღბათობით, დასის წევრებიც არ მიგულისხმია წერილში – „ჩოხოსანობა – ურატორიოტული ჰელოვინი“. რაც შეეხება სიტყვათა კავშირს „ჩოხიანო მეგობრებო“, აქ ნებისმიერი შე-



გიორგი ყალბეგაშვილი

იძლება იყოს ნაგულისხმევი, ვისაც ჩოხა აცვია და ჩემთან ერთად საერთო გობიდან ინანილებს ლუკმას, ანუ ქართული მინა-წყლით საზრდოობს. სიტყვა „ჩოხოსანიც“ ზოგადი სახელია და სემანტიკურად იგი ერგება ყველას, ვინც ჩოხას ატარებს. თუ სიტყვა „ჩოხოსანი“ მორალურ ან ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, რასაც გასული საუკუნის პირველ ნახევარში კონსტანტინე გამსახურდიამ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, პავლე ინგოროყვამ და ალექსანდრე აბაშელმა ჩაუყარეს საფუძველი, აღმოჩნდება, რომ მე და თქვენ ათასობით „ჩოხოსანი“ პირისპირ მარტონი აღმოვჩნდებით, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ არც 1921 წელზე, არც „საქართველოს წმიდა დავით აღმაშენებლის ჩოხოსანთა კავშირზე“, არც „საქართველოს ეროვნული გმირის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასზე“ და არც ჩოხის ტარების ჭეშმარიტ მოტივზე. კიდევ ერთხელ გამოვხატავ გულისტკივილს იმის გამო, რომ ურატორიოტებისთვის მოქნულ მჯიღზე თქვენ, დიდმა პიროვნებამ და პატივსაცემმა ჩოხოსანმა „მიტაცეთ ხელი“. არადა, ბევრი ჩოხაში გახვეული იმსახურებს გალანუნებას ამ ქალაქში, რომელთაც თქვენი ხელი (კალამს ვგულისხმობ) უფრო მოუხდებოდა, ფართო აუდიტორიისთვის ხომ ისინიც ჩოხოსნებად მოიაზრებიან!

P.S. მე არა მაქვს, არც მქონია და, ვიმედოვნებ, არც მომავალში მექნება ჩოხის ან ამ სამოსის ნიშნით გაერთიანებული ადამიანების საწინააღმდეგო არაფერი. მე ის ჩოხებში გამოწყობილი ადამიანები მალიზიანებენ, რომლებმაც თბილისის ცენტრში სასიკვდილოდ გაიმეტეს ორი უდანაშაულო ახალგაზრდა... მე ის უფიცი, ბოგანო, ქარაფშუტა, პრანჭია ხალხი მალიზიანებს, ვინც ჩოხას იმის ხაზგასასმელად იცვამს, რომ ჩემზე, ჯინსიან მწერალზე მეტად უყვარს სამშობლო, ჩემზე უკეთ იცის შობას მოხდელი ზედაშეს გემო; ჩემზე მეტად აფასებს ქართული პურობის წესებს და ჩემზე კარგად შეუძლია პურისუფლობა. „ტრაპეზზე ჩოხით ტოლუმბაშობა“ ქართველობას არ განსაზღვრავს, რადგან ტრაპეზი ბერძნულია, ჩოხა – ზოგადკავკასიური, ტოლუმბაში – თურქული. აი, გოგი დოლიძის ჩოხოსანობა კი ქართველობის განმსაზღვრელია, რადგან გოგი დოლიძე უჩოხოდაც გოგი დოლიძეა.



**მთაწმინდაზე ქარია**

ხალხი აპლოდისმენტებს,  
 მხოლოდ თქვენთვის იმეტებს,  
 რა კარგია ლექსის მერე ტაში.  
 ღმერთიც აპლოდისმენტებს,  
 მხოლოდ თქვენთვის იმეტებს  
 და მალღებობით პოეტები ცაში.  
 ჩემთვის აპლოდისმენტებს,  
 არვინ გამოიმეტებს,  
 ეჰ, რატომ არ დავიბადე მგოსნად,  
 ჩემთვის აპლოდისმენტებს,  
 აბა, ვინ გაიმეტებს,  
 მაინც თქვენთან მირჩენია ყოფნა:  
 ადე, ვეუბნები სიკვდილს,  
 ვინძლო დროგი გამიჩერო,  
 გრძელ სოფელში, გრძელ სოფელში,  
 ნასვლა უნდა ავიჩემო,  
 ამ ქვეყნისა არა მწამდა,  
 იმის მაინც დავიჯერო.  
 რერო, რერო, რერო, რერო,  
 თქვე უკვდავო, ჩემო მკვდრებო,  
 არ დამძრახოთ, წამოსვლის წინ  
 ლექსი უნდა წავიმღერო:  
 რუსთაველზე დარია,  
 მთაწმინდაზე ქარია,  
 ორიოდ ლექსის პატრონს  
 თქვენსკენ მომიხარია.

**ბედი**

ბედი ურევთ ბედაურებს:  
 ბუცეფალს და როსინანტებს,  
 ყალყზე დგება ისტორია,  
 ისე წონის დომინანტებს.  
 დრო, დრო უტევთ  
 მთავარსარდლებს,  
 სუფოროვს და ალექსანდრეს,  
 მათ-ძედუნს, სტალინს, ჰიტლერს,  
 ნაპოლეონს მამაცს, მოკლეს,  
 გორგასალანს, ვახტანგსჩვენსას,  
 ბრძოლაში რომ სპარსნმა მოკლეს.  
 ყარბის, ღარიბს, შლეგს და ჭკვიანს,  
 ცრუს და კეთილს, მტყუანს, მართალს,  
 ყველას მიწა მიიბარებს,  
 ყველას დედამიწა შთანთქავს.  
 დრო, დრო უყვებს ნიუტონებს,  
 ნობელებს და ასე შემდეგ,  
 დანყებულებს მზის ქვეყნიდან -  
 ინგლისსა და აშშ-მდე.  
 თვალში სხივი ჩაჰქრობიათ,  
 სნორუპოვარ, უდრეკ ლომებს,  
 დავიწყების ხავსი ჰფარავთ  
 ლეგენდარულ ფარაონებს.  
 ბედი ურევთ ბედაურებს,-  
 სახელმწიფო მეთაურებს,  
 ჩვენთვის რომ ვთქვათ,  
 მათ ყისმათი არა სწყალობთ  
 ხშირად თურმე.  
 როსმე ფუჭად არ დაკარგოს  
 კაცმა უგერგილოდ დრონი,  
 გაიხედე, ზღვას მოაპობს  
 გემი პოეტ ბაირონის,  
 არა ლორდი ბაირონის,  
 არც გენერალ-მაიორის -  
 ალექსანდრე ჭავჭავაძის,  
 წინანდალი ვინაც შესვა,  
 მერე ლექსი დაგვინერა,  
 „სიყვარულო, ძალა შენსა“.  
 ბედი ურევთ ბედაურებს,-  
 სახელმწიფო მეთაურებს,  
 მივადექით მთავარ სათქმელს,  
 არც არასდროს მთავარსარდლებს,  
 თვით კეისარს - იულიუსს,  
 ანდა კეისარის გამზრდელს,  
 სულის პურს და სამეფო ხილს,

არა კუტს და არა ნამცვრევს  
 (არ მგონია მკრეხელობით,  
 ანდა თავხედობით დამცდეს)  
 უკვდავებს ღმერთი მხოლოდ  
 მგოსანს, მგოსანს, მგოსანს აძლევს.  
 ლექსი გულის ფიცარს ანგრევს,  
 დაგიპყრობს და ცრემლს მოგადენს,  
 ლექსი გულის ფიცარს ანგრევს,  
 ისე, ისე შეგაქანებს,  
 მთელ სამყაროს, მთელ სამყაროს,  
 მთელ სამყაროს შეგაყვარებს.  
 ლექსი არის უბატონო,  
 რას შეზღუდავს ვინმე ბოსი,  
 პოეზია უკვდავია  
 და პოეტებს მიჰყავთ „სტოსი“.  
 ახლა გინდა ძელზე გამსვი,  
 გილიოტინაზე შემსვი,  
 მე ამის და ამის მსგავსი,  
 არ მინახავს არსად ლექსი:  
 (ბედი ურევთ ბედაურებს,  
 სახელმწიფო მეთაურებს  
 და აკაკი თავის ხმაში  
 სამშობლოზე გამოურევს)  
 „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,  
 შენს მიწას მიმბარეო,  
 ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტო,  
 ჩემო სამშობლო მხარეო“.  
 ...  
 რასი ჟამი, რისი ჟამი,  
 რისი დრონი, რასი დრონი,  
 გემი მოდის, გემი მოდის,  
 გემი მოდის ბაირონის.

●  
 და სადაც არის, ჩემი წილი ტყვია ინივლებს,  
 მზე ჩამიქრება, დავეცემი მერე მუხლებით,  
 ნუ დამიტირებთ, გვედრებით, ნუ დამიტირებთ,  
 ნუ შენუხდებით, ქალბატონო, ნუ შენუხდებით.  
 სანამ მზე მედგა... დაიფიცეთ, ხომ არ  
 დაგაკლდათ:  
 მაისის ვარდი, კესანე და ია, სოსანი,  
 გაგიჟებულისიყვარულით და თქვენი ეშხით,  
 ხომ გიგალობდათ, ქალბატონო, თქვენი  
 მგოსანი.  
 ხომ გაღმერთებდათ, ხომ იხდიდა ტრფობისთვის  
 სასჯელს,  
 ხომ არიცოდა სიყვარულის ლექსმა სამანი,  
 არ აფეთქდება გაზაფხულზე ლექსად პოეტი,  
 ვერ იყვავილებს თქვენსარკმლის წინ იასამანი.  
 ჰო, სადაც არის, ჩემი წილი ტყვია ინივლებს,  
 უკანასკნელად დავეცემი თქვენ წინმუხლებით,  
 ნუ დამიტირებთ, გვედრებით, ნუ დამიტირებთ,  
 ნუ შენუხდებით, ქალბატონო, ნუ შენუხდებით.

**სიმღერა გორზე**

*ვუძღვნი ჩემს გორელ მეგობარს  
 მურად შენგელიას და მის  
 ბრწყინვალე ოჯახს*

ნუ იტყვი, რომ ჭორია,  
 თუმც ეს არის სიმართლე,  
 გორი მაინც გორია,  
 საქართველოს სინათლე.  
 ზოდიაქო -ლომია,  
 ნისლში ცურავს ნინველი,  
 გორი მაინც გორია,  
 ქართველის გულში პირველი.  
 გორის ციხე მგონია,  
 მტერს დღესაც კი ამუხვებს,  
 გორი მაინც გორია,  
 საქართველოს საუნჯე.  
 ერთი, განა ორია,  
 გვესმის მისი ძახილი,  
 გორი მაინც გორია,  
 ალესილი მახვილი.



**ვაჟა მირთაკია**

ბევრი გაგვიგონია,  
 მასზე თქმული არაკი,  
 გორი მაინც გორია,  
 სიყვარულის ქალაქი.  
 ყველას მოსაწონია,  
 ყველა მისი ფანია,  
 გორი მაინც გორია,  
 მზეა, ნატვრისთვალა.  
 საქართველოს გონია,  
 გვხიბლავს აღმაფრენათი,  
 გორი მაინც გორია,  
 თავის დედაენათი.

გადაშლილი ტომია,  
 არ აკლია მისხალი,  
 გორი მაინც გორია,  
 ყველას დასაფიცარი.  
 მზე ბრწყინავს თუ ომია,  
 შვენის სიტყვაძვირობა,  
 გორი მაინც გორია,  
 გორელობა - გმირობა.  
 წვიმაა და თქორია,  
 ღმერთი დარებს გვპირდება,  
 გორი მაინც გორია,  
 გმირ გორელებს დიდება!

●  
 მწვერვალები მელანდება,  
 გინდა ცხადში, გინდა ძილში,  
 მე პიტალო კლდის ქვეშ ვგდივარ,  
 თოვლიანი მთების ძირში.  
 ქარაფები მიყვირან:  
 არ ჩაქრება შენი ჯიში,  
 მე პოეტად დავიბადე  
 და ქართველად მერე ვიშვი.  
 ჩაჩეხილი ლექსებს ვცოხნი,  
 ზევით! ვყვირი, ქრება შიში,  
 მიჭირს ხოხვა, ფრენა მიყვარს,  
 ჯომოლუნგმა, ამომიშვი!





მაია მიჯანია

ამ დილით ყველაფერი თითქოს სხვა-ნაირად დაიწყო, არა ისე, როგორც ყოველთვის. უცნაურ ფორიაქს შეეპყრო მთელი სხეული.

გული გამალეობით უცემდა. ანგარიშ-მიუცემლად დასწვდა ჭუჭყიან შარვალს, ვინრო გოლიფეში ზანტად გაყო გაყინული ფეხები, მთელი ღამე რომ ვერაფრით გაითბო. გათოშილი ხელისგულები ერთ-მანეთს მოუსვა და წელში ოდნავ მოხრილი წავიდა ბუხრისკენ.

გუმინდამ შეკეთებულ კუნძსაც დაზარებოდა ბოლომდე ჩანაცრვა, საბოლოოდ დანებებოდა სიცივეს. ჭუჭყურთანადან მზე აღწევდა სინათლის ვინრო ზოლებად. ფანჯარაზე ჩამოფარებული ბრეზენტის ძველი ნაჭერი გადასწია და დონჯემოყრილმა გადახვდა ეზოს. დილის მზეზე აციმციმებულმა თოვლმა თვალი მოჭრა. ყველაფერი მოსაბეზრებლად ერთფეროვანი მოეჩვენა. ნაჭერი ისევ ჩამოაფარა და ოთახში გაიარ-გამოიარა. უცებ ვერაფერი გაარჩია, თითქოს ერთბაშად ჩამოხრეხილა. თვალები მოიფშვინტა და ტახტისკენ ბარბაცით წავიდა. ხელებით ტახტის კიდევს დაღებუნა და ღრმად, გულგრილი ამოიხრა.

სულ რაღაც ერთი თვის წინ ამ სახლში ყველაფერი სხვაგვარად იყო. ბუხარში ყოველთვის ცეცხლი გიზგიზებდა. სამი ცელქი ბიჭი ამ ტახტზე ყირაზე გადადიოდა და ერთმანეთს ეძიძილავებოდა. უმცროსი, ბუთხუზა, ხშირად ვეღარ უძლებდა უფროს ძმებთან ჭიდაობას და ხან ტირილით, ხანაც ბუზღუნით ძვრებოდა მამის კალთაზე.

მოფერება და ალერსი არ ეხერხებოდა ლავრენტის, ერიდებოდა კიდევაც გრძნობის გამოხატვას, მაგრამ ამ პატარა, მრგვალი და აბუზღუნებული ბიჭუნას დანახვაზე თვალებში უცნაური სხივი აუკიაფდებოდა ხოლმე და ნაძალადევი გაბრაზებით გადასახებდა უფროსებს: – მოერიეთ, არა, თქვენზე პატარასო?!

ისინიც წამით გაყურდებოდნენ, რომ მკაცრი მამის სახეზე ამოეკითხათ, მართლა გაბრაზდა თუ არა. მერე დამშვიდებულნი ისევ განაგრძობდნენ ჭიდაობას. ასე შექცობდა მთელი დღის გატარება, მაგრამ ოჯახის საქმეებს შეჭიდებული ნან ხშირად უხმობდა ბიჭებს დასახმარებლად და ისინიც უსიტყვოდ ასრულებდნენ დედის დავალებას.

ნან, როგორც წესი, ღუმელთან ტრიალებდა. მისი დაუშვრეტელი ენერჯია ამოუხსნელი გამოცანა იყო ყველასთვის. მის ირგვლივ ყველაფერი წკრილებდა და ყოველთვის გემრიელი საჭმლის სუნი გამოდიოდა განიერი სამზადიდან. ნანს გაურჯასთან ერთად გამჭრიახ გონებასაც უქებდნენ და ხშირად რჩევის საკითხავადაც მოდიოდნენ ხოლმე მასთან.

კაცის საქმეებსაც არ ერიდებოდა ნან, შემასაც დაჩეხავდა, თუ ქმარი არ იყო შინ, ყანასაც გათოხნიდა და სადმე ამომძვრალ ლურსმანსაც მოხერხებულად ჩააჭედებდა. და, თუმცა ამგვარი საქმიანობა იმ დროისათვის ქალისთვის სამარცხვინოდ ითვლებოდა, ნან რატომღაც არავის დაუძრავდა. არც იმას უთვლიდნენ საძრახად, რომ სულის მოსათქმელად ეზოში კუნძზე ჩამომგდარი, თუთუნს ოსტატურად გაახვევდა გაზეთის ნაგლეჯში, კოჟრან ხელებს გაოფლილ სახეზე დინჯად ჩამოსივამდა და კაცივით გააბოლებდა.

ისე ნათლად წარმოადგინა ეს სურათი ლავრენტის, უნებურად კარებისკენ გახვდა. თითქოს ეს-ესა აივანზე ნანის ნაბიჯების ხმა გაიგონა, შემოვა და ბუხართან დაჩეხილ შემას დაყრის, კუთხეში სწრაფად

მილაგებს და ცეცხლსაც შეუკეთებსო. მაგრამ გარედან მხოლოდ ქარის შორეული სტვენა შემოდინდა და დროდადრო მონოტონურად რაკუნობდა კარის სახელურზე უსარგებლოდ დაკიდული ურდული.

ფიქრებიდან გამოერკვა. – ეეჰ, დაღამებულაო, – ჩაილაპარაკა, თუმცა ჯერ მხოლოდ სადილობის დრო თუ იქნებოდა. სამზადში შეფრატუნდა, სამფეხთან დაგდებულ, სახელურმომძვრალ და სულ ერთიანად გაშავებულ ქვაბს ჩახედა. ღომის ნარჩენები ქვაბის კიდევს მიხმობოდა და ისეთი უსიამო სახახავი იყო, მშვიერ კაცსაც რომ გაუფუჭებდა მადას.

– გადავალ ერთი, თუთბერიებთან, ლუბას სადილი ექნება ნამდვილად გამზადებული... სხვა რა გზაა! – დაირწმუნა თავი ნათესავთან სადილად გადასვლის აუცილებლობაში და უკვე ჩქარი ნაბიჯით შემობრუნდა ოთახში. გულდასმით ჩამოიბერტყა შარვლის დაჭმუჭნილი ტოტები, ქამარი შემოირტყა ნელზე, ნანის შეკერილი სქელი ხალათი შიგ ჩაიხატა, საკმაოდ განიერი შარვალი ქამრით შემოინათა. მხრებში გაიმართა, კუთხეში დაკიდული შავი ნაბადი ოსტატურად შემოიცვა, ყაბალახი ოდნავ გვერდზე ჩამოინია და აზიაცკების ჭრაჭუნით ოთახში გაიარ-გამოიარა.

აივანი კოხტა ნაბიჯებით გადმოჭრა და, სანამ კიბეზე ჩასვლას დაიწყებდა, ამაყად გადაისვა წვერ-ულვაშზე ხელი. აქაოდა, არ გვეგონოთ, ლავრენტი ცოლის გაქცევამ დააბეჩავაო.

ფეხი ღრმად ჩაეფლო თოვლში და ამ ჭრაჭუნზე ლავრენტის თითქოს ჩაესმა ნანის საყვედურის ხმა: – რა იყო, ყაზახო, თოვლსაც მე ხომ არ ჩამოგიხვეტავ კიბიდან?! ლავრენტის მკაცრად გაიხედა გვერდზე, ისე, როგორც ყოველთვის აკეთებდა, როცა ცოლისგან რაიმე შენიშვნას გაიგონებდა. შეცბუნებული მიხვდა, რომ მხოლოდ ჩაესმა და მოაჯირს ჩაბლაუჭებულმა ნელა ჩამოიარა კიბე.

ჭიშკართან დახრავებული თოვლი ფენა-ფენად დაყინვოდა მიწას. ლავრენტის ძალა დატანა და აჭრიალებული ჭიშკრით გადახვეტა გვერდზე. მძიმე ნაბიჯებით გაუყვა გზას. ცდილობდა ღობესთან ახლოს ევლო, სადაც ჯერ ფეხდაუდგამი თოვლი ურმის ბორბლებისგან ატალახებულ ქუჩას ქათქათა ზოლად გასდევდა.

დინჯი, გამოზომილი ნაბიჯებით მიდიოდა. არასოდეს აჩქარდებოდა. ვერც დაღლას შეატყობდა, ვერც რაიმე შენუხებას. შეჩვეული იყო გარემოებებზე ზრუნვასა და ფიქრს. არც მეზობლებისა და ნათესავების ოჯახებში არაფერი გადაწყვეტოდა ლავრენტის რჩევის გარეშე. ბრძენი კაცის სახელი ჰქონდა, ჭკუა მართლაც უჭრიადა, მაგრამ სულ სხვებზე ფიქრით გადაღლილი, არასოდეს დაფიქრებულა, საკუთარ ოჯახში რა ხდებოდა ან რატომ ხდებოდა. მთელი დღის შრომისგან ქანცგანყვეცილი ნან საღამოს ტახტზე წამოხრილ ლავრენტის ხმადაბლა შეაპარებდა, ისე, თითქოს თავისთვის ელაპარაკებო:

– ყანაში გადავდი დღეს, გათოხნა სჭირდება. ჭყონიებმა მთელი კვირაა, გათოხნეს უკვე. ჩვენსაც უნდა მიხედვა, თორემ გაფუჭდება... ლავრენტი ჩაფიქრებული მიაჩრდებოდა ერთ წერტილს, თითქოს არც გაუგონიაო.

– იგრიკო გავიყოლე და ვთოხნეთ ცოტა ხანს, მაგრამ რას გახვდებოდათ. დაიღალა ბავშვი და მეც სადილი ხომ უნდა გამეკეთებინა. შუადღეს წამოვდით აქეთ და, არ ვიცო, ახლა რა ემელება მამას! – განაგრძობდა ნან.

არც ახლა გასცემდა ხმას ლავრენტი. წარბსაც არ შეარხებდა. ცოტა ხანში ზანტად წამოწვდა მუთაქიდან სოფელზე ზრუნვით დამძიმებულ თავს და ტახტზე წამოჯდებოდა. დილით კი, უთენია, ცოლ-შვილის გაღვიძებამდე წამოდგებოდა, თუთუნს გულმოდგინედ გაახვევდა „ყაზახის“ ნაგლეჯში, მხარზე გრძელტარის თოხს გაიდებდა და ყანისკენ ჩვეული, დინჯი ნაბიჯებით გაემართებოდა.

მთელი თვე გავიდოდა ისე, ქალს ხმას არ გასცემდა. ყანაში რომ სადილს ჩაუტანდა ნან, უხმოდ დაჯდებოდა საჭმელად, არც კი შეხედავდა ცოლს. ქალიც, სადმე გვერდზე ჩამომგდარი, თუთუნს გააბოლებდა და მერე ქმართან ერთად თოხნიდა თვითონაც.

მერე ცალ-ცალკე მობრუნდებოდნენ შინ. ქმარზე ადრე დაბრუნებული ნან ბიჭებს მოიკითხავდა, ყველაზე ცელქ გუჩას ერთი-ორი სიტყვით დატუქსავდა, კალთაზე აბლოტებულ შოთიკოს თავზე ხელს გადაუსვამდა და ნაჩქარევად შევარდებოდა სამზადში, რომ ვახშმის თადარიგი დაეჭირა.

შეშა თუ იყო დასაჩეხი, ნან ისევ გამოძვინდა მოხერხებულ დროს, ქმარს შეაპარებდა, – საზამთროდ შეშას მე რას დაეჩეხავ, ორი დღის საკმარი დაეჩეხე და, ა, ხელისგულეტი როგორ გადამეფლითაო. ლავრენტიც მეორე დღეს ნაჯახს ალესავდა და იმდენს დააპობდა შეშას ზამთრისთვის, ორ-სამ ოჯახს რომ ეყოფოდა.

ერთ დილით, სისხამზე წამომდგარმა ნანმა ჩაცმისას თავისთვის ნაბუტბუტა, ქმრისკენ

არც გაუხედავს: – ფერადებს გასჭირვებით, თურმე, ძალიან. გურამი მომიყვა, შენი ბიძაშვილი. მაგათი ცოდვით დავინვიო, პური ენატრებათო ბავშვებს... პასუხს არც დალოდებია. სანოლის კარები უხმოდ გამოიხურა. ცოტა ხანში ჭიშკრის ჭრიალზე სამზადიდან გამოიხედა ნანმა და თვალი შეასწრო შარაზე მიმავალ, ორივე ილიაში პურებამოჩრილ ლავრენტის. იმ დღიდან მთელი წელიწადი დაჰქონდა მას საჭმელი და ნანის გამომცხვარი პური ფერადებთან გალიდან ოჩამჩრეში.

რკინიგზაზე მუშაობდა ლავრენტი. საღამოს, სამუშაოს შემდეგ დინჯად დაადგებოდა რკინიგზის რელსებს. ოჩამჩრე-დან დაბრუნებას შუალამდე უნდებოდა. ნანი გაუხედავდნენ წამოწვდომის შოთიკოს სანოლზე და ქმრის დაბრუნებამდე ნას-თველმდა. კარის ხმაზე წამოხტებოდა, სარქაროდ გამოუტანდა ვახშამს, თვითონ ბუხართან ჩამოჯდებოდა სამფეხა სკამზე და ცეცხლს შეუკეთებდა.

– როგორ არიან? – იკითხავდა ზოგჯერ ქალი. – არიან! – გამომუგდებდა ლავრენტი, ღრმად ამოუსვამდა პურის ან მჭადის მოზრდილ ნაჭერს ლობიოს და დინჯად განავრძობდა ღებვას.

უცხო იფიქრებდა, ესენი უბრად არიანო. არადა, პირველივე დღიდან ასე აუნყო მათი თანაცხოვრება. ნან შეეგუა ამას და არც ცდილა რაიმე შეეცვალა. თუმცა, ქალებთან არაერთხელ უთქვამს, როცა ლავრენტის კაიკაცობაზე და ბრძენკაცობაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი: – მე კი გამომრო სისხლი მაგ ბრძენმა და აბა, რა ვიცი!.. ლავრენტის რომ შეუქებდნენ ცოლს, გამრჯე და ჭკვიანი ქალი შეგხვდო, გრძელ, დახვეულ უღვამებზე ამაყად გადაისვამდა ხელს და – ჰო, არა უშავს-ო! – ჩაილაპარაკებდა.

\*\*\* ლავრენტი, გამარჯობა შენი! – სულ ახლოს ჩაესმა და ფიქრებიდან გამოერკვა. – ოჰ, გაგიმარჯოს ღმერთმა! – მიესალმა მეზობელს ლავრენტი. – რამდენი მოუთოვია წუხელის, ჰა! – კარგი მოსავალი იქნებოა, იტყვიან. – თოვლი არ მოიყვანს მოსავალს, კაცმა უნდა მოიყვანოს თორემ! – თქვა ლავრენტიმ და გზა განაგრძო.

– ეგეც მართალია! – თოვლის ჭრაჭუნმა ჩაახშო მეზობლის ხმა. თუთბერიების მოსახვევში კამეჩები ზლაზნით მათრავდნენ დაჩეხილი შეშით პირთამდე საეხე ურემს. გვერდზე სიცივისგან ნელში მოხრილი, გამხდარი კაცი მიუყვებოდა. შიგადაშიგ მესძახებდა – ჰე, ჰე-ო! და თხილის წნელს გადაუჭერდა თავის მხარეს მიმავალ კამეჩს.

ლავრენტის რომ მიუახლოვდა, ქუდი მოიხადა. – გამარჯობა, ლავრენტი ბატონო! – მონინებით მიესალმა, ლავრენტის პასუხს დაელოდა და ნაჩქარევად ჩამო-

იფხატა გაცვეთილი ბოხობი მოტიტვლებულ თავზე. ურმის ჭრიალი ჯერ არ მიწყნარებულ იყო, ლავრენტიმ თუთბერიების ჭიშკარი რომ შეალო.

– ოჰ, რა კარდ დროს მოხვედი, რომ იცოდე, ლავრენტი! შენ გახსენებდით ახლა სწორედ. – გაბადრული სახით გამოეგება მასპინძელი, ხელი ჩამოართვა და ფაცხაში შემოიპატიჟა, როგორც ჩანდა, სასურველი სტუმარი.

შუაცეცხლთან მდგარ ტაბლაზე ახალამოღებულ ღომს მადისალმძვრელი ოხშივარი ასდიოდა. მთელ ფაცხაში გემრიელი ლობიოს სუნი ტრიალებდა და ცეცხლივით წითელ მწნილს იღებდა დასახლის უშველებელი ქვაბიდან. ამაზე უკეთეს სადილს ვერც ინატრებდა გუმინდილიდან უჭმელი კაცი, მაგრამ ლავრენტიმ თავი შორს დაიჭირა.

– არა, არა, ვისადღე ამწუთს და მერე წამოვედი თქვენთან, ვიფიქრე, კაპტოსთან ვისაუბრებ-მეთქი. – აჰ, რას ამბობ, ლავრენტი, შენი ჭირიმე! მოინე აქეთ, დაბრძანდი. როგორ შეიძლება ასე! ვილაპარაკოთ აგერ ტაბლასთან, ცოტა ჭჭაც დავლიოთ და გავხურდეთ, თორემ ხომ ხედავ, რა ამინდია!.. ბევრი პატივის მერე ლავრენტიმ ფაცხის კუთხეში დაკიდა ნაბადი და დაბალ სამფეხზე ჩამოჯდა. ლუბამ სულ-გუნის მოზრდილი ნაჭერი ლავრენტის ღომში ჩალო, დანარჩენი ფაცხის ბოლოში მდგარი პატარა ტაბლისკენ წაიღო და იქ ჩუმად მიყუჟულ ბავშვებს გაუწინაილა.

სტუმარს კიდევ ერთხელ დასჭირდა მიპატიჟება, – ჭამე, სანამ გაცივებულაო. – არ მშობა, მართლა! – ნაძალადევი იმართლა თავი ლავრენტის, მაგრამ, როცა შენიშნა, ცხელ ღომში ჩადებულ სულგუნს ირგვლივ ცხიბის რა გემრიელი არშობა გაეკეთებინა, მორიდებულად გადაყლაპა ნერწყვი და ხალათის კალთები აიკეცა.

\*\*\* თვეზე მეტი იყო, ლავრენტის ცხელი სადილი არ ეჭამა. მოკლედ, იმ დღიდან, როცა ნანმა პატარა შოთიკოს დაავლო ხელი და ძმასთან, სოფელში წავიდა. თავიდან ლავრენტი მალავდა ცოლის გაქცევას. ყველგან იმას ამბობდა, ძმა გაუხდა შეუძლოდო, მაგრამ მალე ნათესავებში ერთი მითქმა-მითქმა ატყდა და ყველამ გაიგო ნანის გაუწინარების ნამდვილი მიზეზი.

მამასთან დარჩენილი იგრიკო და გუჩა დილით რომ გაიპარებოდნენ სახლიდან, გვიან ღამით ჩუმადვე შემოიპარებოდნენ ოდაში და ხშირად მშვირები მიწვებოდნენ თავ-თავიანთ ლოგინებზე. ხანდახან გუჩა გაყინულ ტერფებს ილიაში შეუცურებდა იგრიკოს და მოკუნტული ჩაიძინებდა. იგრიკოს კი დიდხანს ეღვიძა, ჭერს მიმტერებული რაღაცაზე ფიქრობდა და როდის-როდის მოერეოდა ძლი.

ერთ დილით ლავრენტის ჭიშკრიდან ძახილი მოესმა. კოტე ვარდანი იყო, მეზობელი, საჩივრდებოდა იყო მოსული: – შენი გუჩა, ბოშა მეზობლებთან ერთად, ჩემს ბელელში შეპარულა და კვახები სულ ამოუკრეფათო.

ლავრენტის მეზობლისთვის არაფერი უთქვამს. ბიჭების სანოლში შევიდა გაფითრებული. მძინარე გუჩას მკლავში ხელი წამოავლო და ლოგინიდან წამოაგდო. – შე მამაძაღლოო! – დაუღრიალა და კეფაში მთელი ძალით ჩაართვა ძლიერი ტორი.

გუჩამ ნაიბორძიკა, კედელს დაეტაკა და იქვე ჩასრიალებულმა ამოიხრიალა: – რა იყო, ბაბა?! – ძალისშეილი ხარ და ეგ იყო! – დაიღრიალა ისევ ლავრენტიმ, გუჩას ქერში წვდა, წამოაყენა და კარებისკენ უბიძგა. სახე უკვე წამოჭარხლებოდა, ხმის ამოუღებლად მიათრევდა ქერითი შეშინებულ ბიჭს. ოდის გვერდზე ბოძთან მიიყვანა, სადაც საქონელს აბამდა ხოლმე. გუჩა თოკით მავრად მიაბა ზედ და თხილის წნელით ისე მწარედ ცემდა, რომ აბლაგებულ, ძალაგამოცლილი ბიჭს მალე თავი უღონოდ ჩამოუვარდა.

აქომინებულ ლავრენტის სინთლემ გადაუარა. სახე ისევ გაუფითრდა, ოდაში შევარდა და ბუხრის წინ ბოლთის ცემას მოჰყვა.

სუნთქვაშეკრული იგრიკო ოდის აივანიდან უყურებდა ყველაფერს. ერთიანად

►► დასასრული 20-16 გვ.

# ნ ა ნ

**პატიმარი!**

თუ წარსულს გაჰყვება ბოლმა მონლოლთა,  
თუ არც ყიჟინა ისმის არაბთა,  
თუ განვლილია უკვე გოლგოთა,  
მაშ, რად მეძახის ომში მარაბდა?!

ჩემს რევოლვერში ფხიზლობს რვა ტყვია,  
ბედს ძველებურად არ ვეხუმრები...  
ცას ვარსკვლავები ისე ატყვია,  
როგორც ირმების ნაფეხურები.

ვუყურებ ზეცას, მღვრიეს და ფართოს,  
ალარ აქვს აზრი სოფლად დარჩენას,  
რომ არსაკიძედ არ გაიზარდოს,  
ქართველს აკვანში ჭრიან მარჯვენას.

ღამემ დღეს გული ამოარიდა,  
რაც გაქვს, ამაზე მეტი რა გინდა?  
აგერ, ბატონო, შენი მტკვარი და  
აგერ, ბატონო, შენი მთაწმინდა!

მაღლა ცა მოჩანს, დაბლა ველია,  
ნუ მიენდობი ბებერ ელიტას!  
იგი, მფრთხალი და გამყიდველია,  
რადგან ელიტა მართალს ვერ იტანს.

წუთისოფელი გახდა უხეში,  
ვცდები, ეს ალბათ სხვა სოფელია,  
დეზერტირების ბაზრის კუთხეში  
მწვანელით ხელში დგას ოფელია.

ალარ მღერიან დღეს იშხნელები,  
არც გონაშვილის ისმის გალობა.  
ფალიაშვილის თითის ნკნელებით,  
კლავიშზე ცეკვავს წარმავალობა.

ქარი ჩურჩულებს ფრთხილად, არიქა..  
ვერ აისრულა ბოლო წადლი,  
დრომ მედლებივით ჩამოარიგა  
უნამუსობა, ურვა ქადილი.

რომ ვერ ვიხილო ზეცა მლიმარი,  
ღმერთო, ნუ მომცემ ამის უფლებას.  
მე ბავშვობიდან ვარ პატიმარი,  
ამაოდ ვეძებ თავისუფლებას.

ჰოდა, წლებს გაჰყვეს ოცნება წმინდა,  
რომ ვარსკვლავს ვეძმო შუალამისას.  
ვიცი, თქვენ ჩემი ღალატი გინდათ..  
მაგრამ ვერ ხედავთ მიზეზს ამისას.

ეპოქა წყლულებს კურნავს მარადის,  
არ გაუმართლა წარსულმა არც მას,  
არ ჩანს მიზეზი, შურის, ღალატის,  
რომ მაზიაროთ პოეტი ჯვარცმას

საფიჩხიაზე აფრინდა ძერა,  
მხატვრობა იყო ჩემი ხელობა,  
ბედად კი მერგო ლექსების წერა  
და სიცოცხლეში უსახელობა

ცა შემაყვარა მთვარის ასულმა,  
თეთრი რაშებით იღბალს ვინც სდია,  
ოი, რამდენი წელი გასულა,  
რაც სიხარული არ განმიცდია!

**მე ნუხელ შენი დახატვა მსურდა**

ქუჩაში წვიმას დაეხნა ხურდა  
და ახმაურდა ასფალტი მუნჯი...  
მე ნუხელ შენი დახატვა მსურდა,  
მაგრამ ხელიდან სხლტებოდა ფუნჯი!

და იმ სევდიან სიზმრის ნახვამდე,  
არ იკარებდა მოლბერტი მაჯას...  
გთხოვ, მაპატიო, რომ ვერ დაგხატე-  
მე ახლა ლექსით ციება მტანჯავს!

**ალუბლის მარცვლები**

ამ ღამით ქარი ჩემთან დარჩება,  
ეზოში მთვარე ხედნის იაბოს  
და გაზაფხული ფერადფარჩება  
მოვა და შენზე სიზმრებს მიაბობს!

სანთლის ნათელი სამრეკლოს ათოვს,  
ვარსკვლავებს გვანან შენი თვალები...  
მე მინდა შენსკენ გამოვემართო,  
მაგრამ შენ ხატებს აეფარები!

ძვირფასო, ღამე მაგონებს ბოშას,  
გულზე რომ მადებს ალესილ დანებს,  
შენ არ ხარ, რადგან წყვილია დიმი მოჩანს,  
საით გაურბით მზერა წმინდანებს.

თვალი გასცქერის სავალს შორეულს,  
წვიმს... მეფანტება ველად ლექსები,  
მე მაგ ტუჩების ღამაზ ორეულს, –  
ალუბლის მარცვლებს ვეაღერებს.

მე შენთვის ლექსად მსურდა მენვიმა,  
გადამესერა ღამე ცისკრებით...  
თუ დამეძინა, თუ დამეძინა,  
აუცილებლად დამესიზმრები!

**ქარი ვერხვის ტოტს ასცდა თავნება...**

ქარი ვერხვის ტოტს ასცდა თავნება  
და ფოთოლცვენით მორთო ქუჩები;  
გადიდება დასაფლავება,  
თუ სიკვდილს დღესაც გადავურჩები.

დროს იმედები მოაქვს იაფი  
და მონატრება შენზე მწუხარი.  
ჟამგასულ კედელს, როგორც ჟირაფი,  
მიყუდება გრძელი ბუხარი.

ფოთლებში ბჟუტავს, როგორც კუნელი,  
დღე თოხისტარზე უფრო პატარა,  
ბარისახოდან დაფნის სურნელი  
ქარმა ჭიუხზე ამოატარა

შორს, დიდოს მთებში ყვითლად ეღვარებს,  
ქისტი ხადიშას ბალში ხეხილი,  
წამოეფარა დაღლილ მწვერვალებს  
ნისლები, ქარით გადაგრეხილი.

გაფითრებულა ხეობა ურჩი,  
ჩამოძონძილა ნისლი ქათბით...  
მას ჩაუყვია თათებში დრუნჩი  
და მზეზე თბება მურა დათვივით.

**მე + შენ =**

შენ ჩემს ოცნებებს დაფიდან შლიდი,  
მე კი ენძელებს გჩუქნიდი წინათ...  
მერე მთვარე და სალამო მშვიდი,  
ჩემს ლურჯ სარკმელზე შემოსხდნენ წყვილად.

ალბათ სხვა დარდიც მელის ხვალისთვის,  
ცა მოგონების ნისლმა შეღება...  
და, როგორც მთიდან მოსულ ქარისთვის,  
ძნელია შენთვის ხელის შეხება.

ახლა სადა ხარ -გრძნობების ქურდო?!  
ის დროც ჯვარს ევნო, როგორც მესია,  
მერე კი როგორც მონლოლთა ურდო,  
მთვრალ ქალაქს წვიმა შემოესია.

დასასრულს მოჰგავს ყოფა ამგვარი  
და ხმელ ყვავილებს, მოლზე დაფენილს,  
წვიმა კი, როგორც მორზე ანბანი,  
ინტერვალებით აწვიმს ქვაფენილს.

რაც გუშინ იყო, ხვალ არ იქნება!  
გვავარ იმ დღეთა ბოლო მოჰიკანს,



**ლევან ვანჯიკვილი**

მწამს, ღამეების გადაფითრება,  
მოვა და შენზე სიზმრებს მომიტანს.

**მეშვიდე გრძნობა**

კვლავ შენსკენ მიხმობს გზა ოკრო-ბოკრო,  
სხივების მორთო ცამ ეზო ოდის  
და ქარი, როგორც მეზობლის გოგო,  
სარკმელთან ნელა გადი-გამოდის!..

ლაჟვარდი მთვარემ ააკამკამა,  
მიმწუხრის ფერი დაჰკრავს ფიალებს,  
და როგორც შენი ფარფარა კაბა,  
კორნოხზე ჭადრის ლანდი ფრიალებს.

რომ უხაროდეთ ჩიტებს, ალალებს,  
ცის ტოტზე მთვარის მნიფე კუნწულა.  
და მეც გიშრობდე ქარით დალალებს,  
აპრილის წვიმით რომ განწულა.

კვლავ სიჭაბუკის დღეებს მივტირი,  
რატომ შრიალებს ტოტი ვერხვისა!..  
მსურს დავეუკოცნო გელათს ქვითკირი  
თუ ქუთაისში ჩასვლა მეღირსა.

შენ კვლავ ალუბლებს აუხირდები,  
მთა ვაჟას ნაბადს მაგონებს დილით...  
მტკვარს აკერია მხრებზე ხიდები,  
ჩოლოყაშვილის „პაგონებივით“!..

**პეპლებივით დაგიჭერ მოფარფატე სტრიქონებს**

მტკვარი, როგორც ყოველთვის, ბარათაშვილის  
იგონებს,  
შენი ბაგე ბადაგს ჰგავს... შენი წვივი – მზის  
წვივებს...

პეპლებივით დაგიჭერ მოფარფატე სტრიქონებს,  
როცა კრამიტებიდან გაზაფხული იწვიმებს!  
გახსოვს?! ჩიტებს ვმწყევმსავდით, ნისლი  
თავშლად გეხურა,  
დაგიჭირე ერთი და მოგანოდე ჩემს ჭირად...  
ისე მძაფრად ფეთქავდა შენს თითებში ბელურა,  
თითქოს ხელში მის ნაცვლად, ჩემი გული  
გეჭირა!

სიტყვის ოსტატს დაეძებს მეტაფორის ქვეყანა,  
მახსოვს, გაგელიმა და... მზე ბაგეზე დაისვი...  
შენი ნახვის სურვილი ისე შემომეპარა,  
როგორც შებინდებისას ლურჯ მწვერვალებს –  
დაისი!

ცაზედ ერთი ვარსკვლავი არის ჩემი სეხნია,  
მალე ალბათ სიბერეც გამიგონებს დროულ  
ჩარს...

დედამინას საკინძის ყველა ღილი შეხსნია  
და უბიდან ბედკრული საქართველო მოუჩანს.

▶▶ მე-14 გვერდიდან

აიტანა ცახცახმა. ისე მისჩერებოდა მათ, ვერ მიმხვდარიყო, რა ექნა. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ოდაში შესულმა მამამ მასაც შეუღრინა:

- ნათერე აქედანო! - და კარები მაგრად მოიჯახუნა.
- იგრიკომ სწრაფად ჩამოიბრინა კიბის საფეხურები. გულწა-სულ ძმას თოკები შეხსნა და არაბუნებრივი ხმით ჩასძახოდა:
- გუჩა! გუჩა! გუჩააა!
- იმ დღეს ბიჭებმაც მიატოვეს ლავრენტი. ერთი კვირა გა-სულიყო მას მერე. ნათესავმა კაცმა ამბავი მოუტანა ლავრენ-ტის, ნანი საშინლად გაბრაზებულია ამ ამბის გაგონებაზე.
- ასე რომ, მარტო შიმშილის გამო არ მოსულა თუთბერიებ-თან ლავრენტი. ცოლ-შვილის ამბავიც უნდოდა გაეგო. თუმცა თვითონ არავითარ შემთხვევაში არ იკითხავდა არაფერს, მაგრამ იცოდა, თავისთავად ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. ან იმაში როგორ გამოტყდებოდა, როგორ მონატრებოდა თბი-ლი კერა, ნანის გამზადებული საქმელი და ტახტზე მოჭიდა-ვე ბიჭების ხმები. თვეზე მეტხანს არ ენახა ბუთხუზა შოთიკო. მის გახსენებაზე ზედა ტუჩი აებუზებოდა ხოლმე და უღვამის წვერი ოდნავ შესამჩნევად აუცახცახებოდა ლავრენტის.
- ახლაც, მათ გახსენებაზე, ლომიან-ყველიანი ლუკმა ძა-ლით ჩაყლაპა და ჩუმად, რომ არავის შეენიშნა, ამოიხრა.
- კაპტომ ჭაჭით საესე ჭიქას ნამოავლო ხელი, ლავრენტი-სას მიუჭახუნა და
- აბა, შენს მოხვლას და ჩვენს დახვედრას გაუმარჯოს, ღმერთმა მშვიდობა მოგვცესო! - თქვა.
- ის იყო, ლავრენტისაც უნდა აედო ჭიქა, რომ ჭიშკრიდან ნაცნობი ხმა გაიგონა და... გაშრა.
- კაპტოს უფროსმა ბიჭმა ჭიშკრისკენ გაიხედა და შეცბუ-ნებულმა თქვა:
- ნანი მოდის!
- უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.
- ლუბა! - ხელმეორედ გაისმა ძახილი.
- დიასახლისი საჩქაროდ ნამოდგა და ხმაამოუღებლად გა-ემართა ჭიშკრისკენ.
- მობრძანდი, ნან!
- აქა ჩემი ყაზახი?! - მისალმების ნაცვლად იკითხა ნანმა.
- კი. - ძლივს ამოღერდა ლუბამ.
- ლოყები ანთლებოდა ნანს, აღელვებული ჩანდა და დალ-ლილი.
- გამარჯობა თქვენი! - მიესალმა ნან ფაცხაში მყოფებს.
- მობრძანდი, ნან! - მიეგება ღიმილით კაპტო.
- ნანმა არც კი შეხედა მასპინძელს, ზურგიით მჯდომი ქმრისკენ გაინიშა და ცახცახებულმა მიაყარა:
- დადინარ შენ ნათესავებთან, ჭამა-სმას არ იკლებ. ისე იქცევი, თითქოს არაფერი მომხდარა. მე ხომ გამიმრე სის-ხლი, ახლა ჩემს შვილებს მოუშხამე ცხოვრება. იმას შეგარ-ჩენ, გგონია, ბავშვი რომ კინალამ მომიკალი?!
- იქნებ ჯერ გეკითხა, რა დააშავა და მერე გეთქვა ჩემთ-ვის საყვედური! - დინჯად ნამოდგა ლავრენტი. ცოლისკენ არ გაუხედავს, ოდნავ შემოტრიალდა მხოლოდ.
- ისეთი რა უნდა დაეშავებინა ჩემს შვილს, დღემდე გონს ვერ მომიყვანია, მოგიკლავს კინალამ.
- ჩემიცაა ეგ შვილი, მარტო შენი არ არის და ნამოდი ახ-ლა სახლში, იქ ვილაპარაკოთ ამაზე! - ლავრენტიმ კუთხეში დაკიდული ნაბადი მხრებზე მოიგდო.
- მაძლობა ამ ოჯახს დიდი. ნავალ ახლა მე და სხვა დროს შემოგივლით კიდევ...
- როგორც გირჩევნია, ლავრენტი, შენ იცი, აბა! - უხერხუ-ლად ჩაილაპარაკა კაპტომ და კარებში გამოაცილა სტუმარი.
- ნან ხმამაღალი წყევლით გამოეკიდა ქმარს.
- სახლიც დაგენვა და კარიც გამოგეკეტა შენ! რა მიინდა შენს სახლში, ან სალაპარაკო რა მაქვს შენთან, შე უკაცობის კაცო! უკანასკნელ სიტყვებზე სწრაფად შემოტრიალდა ლავ-რენტი.
- მკვდრისფერი ედო სახეზე. მარჯვენა ხელით ხანჯლის ტარს ჩაბლაუჭებოდა.
- ნან შეცბა ქმრის მკაცრი სახის დანახვაზე.
- გაჩუმდი, ქალი, თორემ...
- თორემ რა, თორემ მომიკლავს, ხომ?! გეყოფა შენ, რასაც მკლავდი ნელ-ნელა ამდენი ნელი. ჩემ გარდა ვინ გაგიძლებ-და შენ, ჰა?! მომიკალი, თუ კაცი ხარ! კაცი ჰგონიხარ ყველას და კაცის მეტი ყველაფერი ხარ შენ!..
- ნანი გაიყინა თითქოს. ვერაინ მიხვდა, რამ შეუბოროკათ ხელ-ფეხი. განძრევაც ვერ მოასწერს. ლუბას გულის შემძვრელ შეკვივლებაზე კაპტომ უაზროდ გაიწოდა ხელები წინ, თითქოს ხელი უნდა შეეშალა იმისთვის, რაც მათ თვალწინ მოხდა.
- თოვლი ჩაკეცილიყო ნან, ტუჩის კუთხე უთრთოდა ოდ-ნავ. გაფთრებულ სახეზე არაბუნებრივად უბრწყინავდა მწვანე თვალები. გაკვირვებაშერჩენილი, გაყინული მზე-რით მისჩერებოდა ქმარს.
- რა ჩამადენინე ეს, შე უბედურ დღეს გაჩენილო! - ჩა-იბუტბუტა ლავრენტიმ. მთელი სხეულით თრთოდა. ულო-ნოდ ჩამოშვებოდა მკლავები. ანგარიშმიუცემლად შეტრია-ლდა ჭიშკრისკენ. ბარბაცით მიათრევდა მარცხენა მხარზე ჩამოცურებულ ნაბადს.
- მომხდართი შეძრულებს არც შეუმჩნევიათ ფაცხის კე-დელს აკრული ლავრენტის უფროსი ბიჭი.
- ააა..... აააბ! - ხმა ჩაეხლიჩა იგრიკოს. ყვირილის ნაცვ-ლად ხავილი ამოუვიდა ყელიდან. მუხლები მოეკეცა. ფარ-თოდ გახელილი თვალებით თითქოს სამუდამოდ უნდა ჩაებეჭდა გონებაში, როგორ მიჰყვებოდა უღონოდ მკლა-ვებჩამოშვებულ მამას ხანჯლიდან თოვლზე წვეთ-წვეთად ჩამომავალი სისხლის კვალი.

\* ყაზახი - გაზეთი, გამოდიოდა სამეგრელოში

# ჰატარ-ჰატარა რჩეუბი ღაენუბი ჰოთუბისთვის (ღა არა პართო პათთვის)

თამარ სარსვაძე

**1.**

მადლობელი იყავით, თუ ღმერ-თი სწრაფი და იოლი წარმატების-თვის არ გაგიმეტებთ. თქვენ თუ ოცი წლის ასაკში მიაღწევთ იმას, რასაც სხვები მთელ ცხოვრებას ანდომებენ - ამას არასოდეს გააა-ტიებენ.

ზედმეტად ჭკვიანი ახალგაზრ-და ყველას გაღიზიანებს ინვესტ. პატივი ეცით უფროსებს და თავზე ნუ გადაახტებით მაშინაც კი, რო-ცა ეს იოლად შეგიძლიათ.

ბრძოლა მამებსა და შვილებს შორის იდენტებისთვის არის მო-გონილი.

მამები მიდიან, შვილები რჩები-ან - ასეთია ბუნების კანონი. რად-გან ბრძოლა ვახსენე - ნუ გაბრიყ-ვდებით ხმამაღალი ლოზუნგებით. თვით სახელმწიფოსაც არ უნდა მისცეთ უფლება - სამშობლოს, თავისუფლების ან დემოკრატიის სა-ხელით სასაკლაოზე წაგაბანარონ!..

პოლიტიკოსთა ტრიბუნებიდან მხოლოდ საპნის ბუშტები მოფ-რინავენ და ერთ მშვენიერ დღეს თვითონაც საპნის ბუშტებით სკდებაან.

**2.**

არასოდეს დადგეთ ბარიკადის რომელიმე მხარეს. ორთაბრძო-ლაში მტყუანი და მართალი არ არსებობს. თეთრიც და შავიც ერ-თი ჯოხის ორი ბოლოა. ერთ რომე-ლიმე მხარეზე დგომა ჯოხისთვის ხელის წავლებას ნიშნავს.

ჯოხის ქნევა კი ნებისმიერ სუ-ლეულს შეუძლია. ადრე თუ გვიან, ჯოხს წავართმევინ და თავზე გა-დავამტვრევინ.

ამის შედეგად კი მარტო თავი კი არა, სახელიც გაგიტყდებათ.

დაიჭირეთ ჯოხი ორივე ბოლო-თი და ნონასწორობაც მიღწეული იქნება.

მხოლოდ ასე შეძლებთ გადაია-როთ ბუნების ხიდეები და უფსკრუ-ლებში არ გადაიჩხოთ.

**3.**

ნებისმიერ საქმეში მარცხი თუ გამარჯვება არასოდეს არის შემ-თხვევითი.

პირველი წარუმატებლობის შემდეგ ერთადერთი უტყუარი დასკვნა შეიძლება გააკეთოთ - ძალის თავი თქვენსავე ხასიათ-შია დამარხული.

თუ ამას ვერ მიხვდებით და არ აღიარებთ, ყოველთვის ერთი და იგივე გამოვრდება - დაიწყებთ აღფრთოვანებით და დაასრუ-ლებთ იმედგაცრუებით.

ერთხელ და სამუდამოდ ხელ-მოცარულ პიროვნებად ჩამოყა-ლიბდებით და არაფერი გეშველე-ბათ.

სანამ ჭკუას ისწავლიდეს, ადა-მიანი ყველაფერს უკუღმა აკე-თებს.

რაც უფრო სრულად გაივლით უკუღმართობის საფეხურებს, მით უფრო დიდი იქნება მიზანმიმარ-თული ცხოვრებით გამოწვეული სიხარული.

შორს გადახტომის მოსურნე რაც შეიძლება უკან იხევს, რომ მთელი ძალით გამოეყანოს...

კარგად გააცნობიერეთ „ირმის ნახტომის“ საიდუმლო.

**4.**

ნუ გეშინიათ შეცდომების. თავად შიშია ყველაზე დიდი ცოდვაც და შეცდომაც. მიზნისკენ

მიმავალ გზაზე დაცემა ჯერ კიდევ არ ნიშნავს დამარცხებას.

მიზნამდე შეიძლება ხოხვითაც მიაღწიო.

შეხედეთ ბალახს, რომელიც ქვაფენილს ამარცხებს. ამარცხებს არა იმიტომ, რომ უფრო ძლიერია - არამედ მას სიცოცხლის მეტი უფლება აქვს.

ყველაფერი, რაც ხელოვნურია, თვალის დახამხამებაში იმსხვრევა ბუნების ყველაზე სუსტი ამოსუნ-თქვის წინაშე.

ნამდვილი პოეზია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სულის სიღამაზე მარადიული ფენომენია და მას ვერა-ნაირი გაჭირვება ვერ მოერევა.

ის ყოველთვის მოულოდნე-ლად იფეთქებს იქ, სადაც სიბნელე ზედმეტად შეანუხებს ადამიანებს. საბოლოო მიზანი სულის სიღამა-ზე და აღმაფრენაა. სხვა ყველაფე-რი მხოლოდ გზაა ამაღლებისა და სრულყოფისაკენ.

**5.**

კარგად დააკვირდით ადამია-ნებს - უმეტესობა გესვს ანთხევს. ჩვენ ცუდად ვხდებით ასეთი ადამიანების გარემოცვაში. ახლა შეხედეთ მათ, ვინც მაგნიტივით იზიდავს თქვენს ყურადღებას.

ისინი უბრალო და კარგი ადა-მიანები არიან, მაგრამ გესვსიწმ-თხვევლთა საზოგადოებაში მოძლ-ვრებად, წინასწარმეტყველებად და მესიებად გვევლინებიან. რაც უფრო ზნედაცემულია ერი - მით მეტი წმინდანი, მესია და წინას-წარმეტყველი იბადება მის წიაღ-ში. ნორმალურ საზოგადოებაში სულიერი ცხოვრება განონასწო-რებულია და „სასწაულების“ საქი-როება არ არსებობს.

გადაჭარბებული ქება-დიდება ხშირად წყველავს უარესია. და-უმსახურებლად ამაღლებულები დამსახურებულად ცვივიან მწვერ-ვალებიდან.

როგორც ნესი - ცვივიან სანაგ-ვე ბუნკერებში და არა ედემის ბა-ლებში.

**6.**

უაღრესად მნიშვნელოვანია, შევისისსხობორცით გაცემის სიბ-რძნე. სიძუნწე და ვაჭრული ანგა-რიმიანობა გონებაშეზღუდულო-ბის და ემოციური სიჩლუნგის დე-დაა. უზარმაზარია სხვაობა გაცე-მასა და გაფლანგვას შორის. გაცე-მა მხოლოდ სიყვარულს შეუძლია. ის გასცემს იმიტომ, რომ იზრუნოს და გაზარდოს. გაფლანგვა ეგოს ზემოდა. საკუთარი უპირატესო-ბის დემონსტრირება ჭკუას აკარ-გვინებს და ექსტაზშია. უაზროდ მფლანგველი არაფრითაა სიძუნ-წით დაავადებულზე უკეთესი.

ერთიც და მეორეც ყრუა და ბრმა.

მათ არ შეუძლიათ სიღამაზის დანახვა, სიმართლის გაგება და ნიჭის დაფასება.

საკუთარი ეგოს ჭაობში იძირე-ბიან ნელ-ნელა. ფასი მხოლოდ გუ-ლითად საჩუქარს აქვს. შინაგანი ხმა ყოველთვის უშეცდომოდ გი-კარნახებთ - სად, როდის და რამ-დენი უნდა გასცეთ...

ადამიანი არის ის, რასაც გას-ცემს - და რასაც გასცემს, იმასვე ლებულობს.

**7.**

ზიხაროთ ოთახში. არის სიბნელე. გეზარებთ ადგომა. მოდის სტუ-მარი, შემოდის თქვენთან, ვერა-ფერს ხედავს.

შეიძლება მაგიდას დაეჯახოს ან სკამი გადააყრიოს.

თქვენ ანთებთ შუქს და ილიმე-ბით...

ოთახში ყველაფერი იგივეა, რაც შუქის ანთებამდე იყო, მაგრამ განსხვავება ჩანს ნელ-ნელა ოთახსა და განათებულ შორის - უზარმა-ზარია!

ასეთივე განსხვავებაა უსიყვა-რულოდ ცხოვრებასა და სიყვარუ-ლით ცხოვრებას შორის.

უსიყვარულოდ ცხოვრება ბნელში ჯდომია.

რაც უნდა აკეთოთ - ფასი არა-ფერი ექნება. აკეთეთ სიყვარუ-ლით და შუქებიც ანთება. სიყვა-რული გაშიშვლებული ელექტრო-მავთულივითაა - კონტაქტი და აფეთქება - ერთია!

თქვენ თუ სიყვარულით შემოსვა, „ჩაბლასმასება“ ან „დამინება“ და-ინწყეთ, აფეთქება არ მოხდება, ფე-იერვერკი არ შედგება და დარჩება ორი გაფშკინებული სიმახინჯე - გაუქმებული ქალი და კაცი!

**8.**

სიყვარულს ეჭვი ღუპავს, სი-ღამაზეს - შური, სიბრძნეს - სი-ამაყე.

საგიჟეთში ბევრია ისეთი, რი-მელიც ამტკიცებს, რომ ის ღმერ-თია.

ზოგი ამბობს, რომ ნაპოლეო-ნია, რუსთაველი, ილია და ა.შ.

ნუ გაიგივებთ თავს ზედმეტი კითხვისგან.

ნუ დაემსგავსებით ქარის წისქ-ვილებთან მებრძოლ დონ კიხოტს! სიბრძნის ტვირთი ყველასთვის არაა დანიშნული.

თუ ამ ტვირთის სიმძიმე თქვე-ნი სულის სიმტკიცეს აღემატება - ჯობია მშვიდად გაეცალოთ მას და ცხოვრებას მიხედოთ.

დაე, სული ცხოვრებისეულ სიძ-ნელებთან ბრძოლით გამოიწი-როთ.

არსებობს მწვერვალები, რომ-ლებზეც მხოლოდ მთამსვლელები ადიან... და არსებობს მწვერვალე-ბი, რომელთა მონახულება ჩვეუ-ლებრივ მოგზაურსაც შეუძლია.

დასასწავლისთვის იყავით „მოგ-ზაური“!

**9.**

მიეჩვიეთ, თქვენს თავს უყუ-როთ, როგორც მუსიკალურ ინსტ-რუმენტს.

მუსიკაში შვიდი ძირითადი ნო-ტია, რომლის სწორი გამოყენებ-თაც უმშვენიერესი სიმფონიები იქმნება. არც თქვენ ხართ ერთუჯ-რედიანი ამება.

თქვენში გაცილებით მეტი ნო-ტია, ვიდრე ნებისმიერ მუსიკა-ლურ ინსტრუმენტზე, რადგან მუსიკალურ ინსტრუმენტებს ადა-მიანები ქმნიან, თავად ადამიანი კი ღმერთის შექმნილია.

ნუ დაემსგავსებით სამაკორდი-ან სიმღერებს. ააგუგუნეთ თქვენი სულის უკიდევანო სიმფონია.

**10.**

დასასრულს - ეს ყველაფერი უამრავჯერ არის ნათქვამი.

არსებობს მარადიული ჭკმა-რიტებები, რომლებსაც დროთა განმავლობაში მტკვერი ედებოდა.

შემდეგ მოდის ვილაც - ვინც ამ მტვერს გადანმენდს და მარა-დიულ ჭკმარიტებებს ნაძვის ხის სათამაშოებით ააბრწყვიალებს.

გაუფრთხილდით ბავშვობისდ-როინდელ სათამაშოებს!

ეს არის და ეს!



**ქუთაისის ქუჩა გათუფი**

აგურის სახლებს, კრამიტი ძველიაზურავს,  
როგორც სივრცე გაშლილი,  
სულის მხუთავი, ზღვაური მწველი,  
შუშაბანდებში ცელქობს ბავშვივით.  
მზით გათანგულან ძველი უბნები,  
ბათუმის წვიმას პირი არ უჩანს  
და იდუმალ ხმით, ზღვას ვეუბნები  
ქუთაისივით მიყვარს ეს ქუჩა.

**სვეტიცხოვლობა**

ახლა ვარ თავისუფალი,  
რას მიზამს მტერი, ვერაგი,  
უფლის კვართი და პერანგი  
მფარველობს, როგორც უფალი.  
ხსოვნაში დარჩა არმაზი,  
თუმც ახლოსაა ყოველი,  
აგერა სვეტიცხოველიდა სერაფიტა ლამაზი.  
ციდან ჩამოდის ნათელი,  
მოექცნენ სანაპირონი,  
დულს და გადმოდულს მირონი,  
ინვის ბაზმა და სანთელი.  
გარდასულია დრო მკაცრი,  
ჭირის დღე გამოვლილია,  
ლოცვას აღავლენს ილია,  
ერის მწყემსი და ბრძენკაცი.  
დუდუნებს დედამტკვარი,  
ზეობაა და ერთობა,  
დღეს არის დიდი მცხეთობა,  
სვეტიცხოვლობა არი.  
ერი და ბერი ერთია,  
არავინ არის მწყრალი,  
ვსვით ხეკორძულას წყალი  
და მბრძანებელი ღმერთია.  
ახლა ვარ თავისუფალი,  
რას მიზამს მტერი, ვერაგი  
უფლის კვართი და პერანგი,  
მფარველობს, როგორც უფალი.

**მე და ფრიდონ ხალვაში  
ოთოლთან ციხის სანახაპი**

მოიჩრდილა ხელი,  
მშობლიურ მთებს გახედა,  
მითხრა: დუნია მოსჩანს,  
ჩემო ზურაბ, აქედან;  
რომ ჰქუხს, ჭვანისწყალია;  
მწვანობს, ჩვენი მდელია,  
აქაც, ჩემო ბატონო,  
დიდი საქართველოა;  
სოფელი ოთოლთაა  
და მისი უბნებია;  
მზე, აქ ადრე ამოდის-  
ამას გვეუბნებიან;  
ფანასკერტელის წიგნი,  
გვირილებით ნაქარგი,  
აქაც იწერებოდა,  
როგორც ჩვენი ავ-კარგი;  
აქ, ძველ სათოფურებში,  
ჩიტი ბუდეს დაიდებს,  
ჩვენს დარდს, ლექსში გამხელილს,  
საქართველო გაიგებს.

**ფიქრები ასპენდოსის  
ამფითაატრპი**

თეატრის სპექტაკლ „ოტელოს“  
დანყებადღე და შემდეგ

1.  
მე არაფრის თქმა არ მსურდა,  
ან რატომ უნდა მეტქვა,  
როცა მესმოდა წარსულის  
ცოცხალი გულისფეთქვა.  
სტუმარი ვიყავ, ამიტომ  
მქონდა კრძალვა და რიდი,  
შევეყურებ, უცხო თეატრში  
ჩემი სპექტაკლი მიდის.  
სცენაზე დრო რომ გაქვავდა,

სიკვდილი ამოძრავდა  
თითქოს უდაბურ ბაქანთან  
დავლანდე ამორძალი.

2.  
ვიდექ წარსულის წინაშე,  
დროში რომ დავივანე,  
მელაციცება მირაჟი  
და ასპენდოსის ლამე.  
ფიქრი სხვა მხარეს გადადის  
და მეც ჩრდილივით ვქრები,  
ფეხისგულს მწვავდა მხურვალე,  
კეცივით ცხელი ქვები.  
თითქოს მეც ენა დამება,  
დაძაბულია სმენა,  
ქვის კედლები და სკამები  
და, რა თქმა უნდა, სცენა.

3.  
აქ ზის თეატრის პატრონიც,  
წაღმა ტრიალებს ჩარხი,  
მოზრდანდა იმპერატორი,  
ფეხზე აბრძანდა ხალხი.  
ვფიქრობ, ახია ყველაზე,  
უფალი ველარ იხსნის,  
ამფითეატრის სცენაზე  
სუნი ტრიალებს სისხლის.  
მოუხმეს გლადიატორებს,  
სუნთქვა შეეკრა ყველას,  
გულგრილს არავის არ ტოვებს,  
აზავთებული სცენა.  
იყო ნამდვილი კორიდა,  
შოუ დღეის და ხვალის,  
და ორიდან ერთს ელოდა  
უბედო ბედი ხარის.  
ეს იყო მხოლოდ პროლოგი,  
კორიდა იყო რადგან,  
და გამოენთო სცენაზე  
თანამედროვე დადგმა.

4  
ასეა წუთისოფელი,  
დამამხობელი ყველასი,  
სცენაზე ბორგავს ოტელო,  
ხმა მესმის დეზდემონასი,  
ოტელო ტირის და იქვე  
სიცილით კვდება იაგო.  
არ ვიცი, ვის რა დავარქვა  
ვის რა პატივი მივაგო?!


5.  
როცა სპექტაკლი დასრულდა,  
უნდა გენახათ მაშინ,  
ხალხს ფეხის მოცვლა არ სურდა  
და გუგუნებდა ტაში.  
ვენდობი, როგორ არ ვენდო,  
არაფერს ვამბობ ახალს,  
იმას, რაც ვნახე ასპენდოსს,  
სიზმარშიც ველარ ვნახავ.

●  
როცა კითხულობს ესენინს,  
როცა კითხულობს ბლოკს,  
ვერ ხვდებიანო ესენი,  
როკენ-როლსა თუ როკს.

დადენილია რიტმი,  
დამუხტულია სიტყვა,  
მკერდზე მჯილს ისე ირტყამ,  
როგორც ხის ფოთლებს სეტყვა.

ამასხარავე პანჩიტას,  
ამასხარავე ბრუნოს  
და ვითომ ახლა გაჩითე,  
რომ დედამინა ბრუნავს.

ექებ არქონილ კავარკოტს,  
ისე, ვითარცა კრაველს,  
სახლის პატარა სარკმლიდან  
ესაუბრები გრანელს.



**გურამ გოიძე**

ყოველი მხრიდან ცა მოჩანს,  
ხარ ჯოჯოხეთის ფრინველი,  
თუმცა არც ისე ჩამორჩი,  
ბოლოდან მუდამ პირველი!

**შოთა ზოიძის პორტრეტისათვის**

ყველაზე მეტად უყვართ,  
ყველაზე მეტად უყვარს,  
უყვარს და, ღმერთმა ნუ ქნას,  
არ მოამადლოს უხვად-

ცა-რომანტიკა სულის,  
მინა-ფუძე და ფესვი,  
ჰარმონიაა სრული  
შოთა ზოიძის ლექსი.

უჭირავს მუჭა-მუჭა  
სიტყვა კაჟის და ტინის,  
შოთა ზოიძეს უჭირს,  
მაგრამ არასდროს ტირის.

ხელში უჭირავს უფლის  
შანდალი-მეტაფორა,  
აცვია თეთრი ტუფლი  
და უფლის ანაფორა.

არ იცის უქმე, კვირა,  
ტკივა და ტკივილს მალავს,  
შოთა ზოიძეს ტკივა,  
მაგრამ არ ეძებს წამალს.

გამიკვირდება, რომ თქვან,  
შოთა ზოიძე მღერის,  
დიდი ზვავების სუნთქვა  
და ზვირთი დიდი ლელის.

როცა ცრუ პოეტს სძინავს,  
შოთა ზოიძე იბრძვის,  
დროა ბნელი და მძიმე  
და სიცრუეა სიბრძნის.

შოთა ზოიძეს კლავენ  
დღიდან ლექსების წერის,  
არ მოუხრია მკლავი,  
არ შეუცვლია რწმენა.

არ გაქცევია დრო-ჟამს,  
არ ჩაუგია ხმალი,  
ქოფაკი რაღას მოჭამს,  
ძალღები მის ძვლებს ხრავენ.

როდის ყოფილა მწყრალად,  
როდის ყოფილა, როდის?  
წყნარად, ბიჭებო, წყნარად,  
შოთა ზოიძე მოდის!

**ალამინაზი** ვართ და ჩვენი ცხოვრების განმავლობაში უამრავ ვინმეს ვხვდებით. ვეცნობით, ვუახლოვდებით, ვუმეგობრდებით და დარწმუნებული ვართ, რომ მათ მიმართ ჩვენს თბილ, მეგობრულ დამოკიდებულებას დრო ვერ მოშლის და ნლები ვერ გააფერმკრთალებს. მაგრამ გარკვეული დროის გავლის შემდეგ, მით უმეტეს, თუ ეს ეგრეთ ნოდებელი „გარკვეული დრო“ რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, ძველი ნაცნობ-მეგობრებიდან ჩვენს ხსოვნას პირვანდელი პენიტა და ელვარებით მხოლოდ რჩეულები შემორჩებიან.

ჩემთვის ასეთ რჩეულთა შორის არის ბატონი ნოდარ ჩხეიძე, ორმოცდახუთი წლის წინათ, 1968 წლის 9 იანვარს ამ ქვეყნიდან ტრაგიკული შემთხვევით უდროოდ წასული ჩემი ლექტორი, ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურის მკვლევარი, რომელსაც წლებს, 15 თებერვალს 85 წელი შეუსრულდა.

ეს მოგონებაც ჩემი სტუდენტობის ტკბილმოსაგონარ შორეულ, სამოციან წლებში იღებს სათავეს.

**პირველად** ათას ცხრაას სამოცდაორი წლის ოქტომბრის მინურულს ვხახე. ერთ დღილი მე და ჩემი ახლად დამეგობრებული თანაკურსელები: გიზო ზარნაძე, ნათელა ქიშირიძე, ვიტალი მქიძაშვილი, ავთო დიასამიძე და ომარ შურღაია, სანამ ლექციები დაგვენებოდა, პირველი კორპუსის ეზოში ვიდექით და ვსაუბრობდით. უფროსკურსელებიც იქვე იდგნენ. ვილაცამ ნოდარ ჩხეიძე ახსენა. რომელიაო, დავინტერესდით და, აგერ, ეზოში შემოდისო და, ვინც ვიცნობდით და არ ვიცნობდით, ყველამ იქით გავიხედეთ.

თითქოს ორმოცი წლის წინათ კი არა, გუშინ ან გუშინინ მენახოს, დღესაც ისე ცხადად მიდგას თვალნინ ბატონი ნოდარი: მოდიოდა სამუალოზე ოდნავ მაღალი... უჭედოს შუბლზე სქელი, დატალღული ქორჩორი ჩამოშლოდა, ნათელ, სასიამოვნო სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებდა. იმ დროს რომ მოდამი იყო, ისეთი, მუხლებს ჩამოცილებული გრძელი პალტო ეცვა. ლამაზად დაყენებული ულვაში მის პირხმელ, მარილიან სახეს კიდევ უფრო სასიამოვნო იერს აძლევდა.

**პირველ** კურსზე ჩვენი ჯგუფისთვის ლექციები არ წაუკითხავს. ამის მიუხედავად, მანც ხშირად ვხვდებოდით უნივერსიტეტის ეზოსა თუ დერეფანში სტუდენტებით გარემორტყმულს, ერთგვარი ნერვიული ნაბიჯით აუდიტორიისკენ მიმავალს.

მომდევნო წლის სექტემბერში ბატონმა ნოდარმა, ახლა უკვე როგორც ლექტორმა, ჩვენთანაც შემოალო აუდიტორიის კარი.

ბატონ ნოდარს სხვებისგან რალაცნაირი, მხოლოდ მისთვის დაზახსაათებელი ხიბლი გამოარჩევდა. ალბათ, ამიტომაც იყო, როგორც კი ლიტერატურაზე, გნებაზე, სხვა საკითხზე, სიტყვას ჩამოვადებდა, უმალ მივიზიდავდა, დაგაპყრობდა და მოსასმენად განგანყოფიდა. და მაინც, უფრო ლიტერატურაზე უყვარდა საუბარი. მნიშვნელობა არ ჰქონდა, პროზაზე საუბრობდა თუ პოეტურ ნაწარმოებს ანალიზებდა. ამ დროს პირუთენელი იყო, როგორც ავტორის, ისე ნაწარმოების მიმართ, ობიექტურობას არასდროს ღალატობდა.

მოგვიანებით არაერთხელ შევსწრებივართ მაშინდელ მწერალთა კავშირში ცნობილი თუ დამწყები მწერლის ახალი ნიგნის განხილვისას, ცხარე კამათის დროს, ყურთასმენა რომ არ იყო, კათედრაზე ნოდარ ჩხეიძის გამოჩენისთანავე რალაც ახლის ჩაცხრებობის მოლოდინში როგორ უმალ ჩავცხრებოდა ხოლმე ხმაურში ნაწარმოების განხილვას რომ შეუდგებოდა, მთელი სიგრძე-სიგანით წარმოაჩენდა ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს, ნაწარმოების ყველა ღირსება-ნაკლოვანებას. ყველაინ დიდი გულისყურით ისმენდნენ მის მოსაზრებებს; ისინიც კი, ვინც, შესაძლოა, არ იზიარებდა მისეულ შეფასებებს, და ეს იმითომ, რომ არავის ეპარებოდა ეჭვი მის გულწრფელობაში, მიუეჭრებლობაში, ნიჭსა და შეუმცდარ ალღოში.

**მახსენდება:** ერთხელ ბატონმა ნოდარმა ლექციაზე კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისეს ღიმილზე“ საუბარს მოაყოლა: ამ რომანზე წერილი გამოვაქვეყნე, ქებასთან ერთად, კრიტიკული შენიშვნებიც გამოთქე. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ბატონ კონსტანტინეს რუსთაველის პრემია მიანიჭეს, დარბაზიდან გამოსული ფოიეში შემხვდა და მისებურად მითხრა: ყმანვილო, შენ კი გამაკრიტიკე, მაგრამ სხვები სხვაგვარად ფიქრობენ. ამიტომაც პირველს მე მომცეს რუსთაველის პრემიაო.

ჯერ შევცბი, მერე ვუპასუხე: ბატონო კონსტანტინე, თქვენს შემოქმედებასაც და „დიონისეს ღიმილსაც“ ვინმეზე ნაკლებად როდი ვაფასებ... ისიც ვიცოდი, თქვენს სიდიადეს ჩემი კრიტიკული შენიშვნები ჩრდილს რომ ვერ მიაცენებდა, მაგრამ, ფიქრობ, ჩემი მხრიდან საკუთარი აზრის გამოთქმელობა მაინც არ იქნებოდა მოსანონი.

წარბი აზიდა, შემომხედა და: – კარგი, ყმანვილო, იყავით ყველას მიმართ ასეთი უშუღავითო, – მითხრა და მწერალთა კავშირის კიბეს მშვიდად ჩაუყვია.

ამას რომ გვიამბობდა, ჩანდა, რომ საკუთარი თავით თვითონაც კმაყოფილი იყო.

უკვე ვთქვი: როცა საქმე ლიტერატურულ კრიტიკასა და სიმართლის დაცვას შეეხებოდა, ბატონი ნოდარი უშუღავითო იყო ყველას მიმართ. განსაკუთრე-

ხლისწყალივით მოუსვენარს, უჭირდა დიდ ხანს ერთ ადგილზე უქმად გაჩერება. ალბათ, ამიტომაც, და არამარტო ამიტომ, ყოველ ზაფხულს ფოლკლორულ ექსპედიციებში მიემგზავრებოდა. მოვლილი ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული. ერთი იყო: თუ რამეს გადაწყვეტდა, მერე შეუძღვებელი იყო, ეს ვინმეს გადაეთქმევიანებინა.


მისი მეგობრისგან მსმენია:

– გვიან შემოდგომაზე რალაც საქმეზე ხუთი თუ ექვსი კაცი ყაზბეგში გავემგზავრეთ. იქ თითქმის ერთი კვრად დავრჩით. ამასობაში მთაში ამინდი შეიცვალა და დიდი თოვლიც მოვიდა.

მომდევნო დღეებში თოვა შეწყდა, მაგრამ ზავსაშიშროების გამო დედაქალაქისკენ ტრანსპორტი არ მოძრაობდა.

ერთ დღეს ნოდარმა აიჩემა, თბილისში უნდა წავიდეთ. სასტიკი წინააღმდეგი ვიყავით: როგორ შეიძლება, არც გზაა, არც კვალი, ზავსაშიშროება კიდევ ცალკე და...ვცილობდით, განზრახვაზე როგორმე აგვეღებინებინა ხელი, მაგრამ ვერაფერს გავხდით. რაკი თქვა, უნდა წავიდეთ, დაკრა ფეხი და მარტოდმარტო გაეშურა დედაქალაქისკენ.

მგზავრობა ადვილი რომ არ იქნებოდა, იმხელა თოვლსა და მთებიდან ყოველ წუთს ზევის მოსალოდნელი ჩამონოლის გამო, ამის მიხედვარს რა დიდი სიბრძნე უნდოდა! საბედნიეროდ, მაშინ, უფლის წყალობით,



და-მა კლავა და ლევანი, ნაღიკიდან თბილისში გვიან ღამით ჩამოსულან. ეს მათი პირველი სტუმრობა იყო დედაქალაქში.

მისამართზე მისულს, მასპინძელი ადგილზე აღარ დახვედრიათ: ბინა გამოცვალა და სხვა უბანში გადასულიყო საცხოვრებლად.

ძველ მეზობლებს და-ძმისთვის მიახლოებით მიუსწავლებიათ უბანი, სადაც ახლა მათი მასპინძელი ცხოვრობდა, მაგრამ უცხო ქალაქში პირველად მოხვედრისთვის თავიანთი ნათესავისთვის მაინც ვერ მიუცვლევიათ.

ამასობაში კიდევაც მოშუღამებულა. სასონარკვეთილებამდე მისულ და-ძმას აღარ ცლოდნიათ, რა გზას დასდგომოდნენ. მშობლების დარისებაც გახსენებიათ: თბილისი დიდი ქალაქია, ცუდი ხალხი არსად გამოიღვება და ფრთხილად იყავითო. ადამიანი, ალბათ, ადვილად მიხვდება, რა დღეში იქნებოდნენ უცხო ქალაქში ღია ცისქვეშ დარჩენილი ახალგაზრდები.

რა ექნათ, საით წასულიყვენ, ღამე სად გაეთათა?!

ამ ფიქრებში იყვენ, როცა მიხილ ჯავახიშვილის რომანის ერთ-ერთი გმირის – მთიდან თბილისში ჩამოსული ჯურხასი არ იყო, ბატონი ნოდარი გადაყრია დაცარიელებულ ქუჩაში მდგარ ჩემს შემფოთებულ ბიძაშვილებს.

სხვას, შეიძლება, მათთვის ყურადღება არც მიექცია ან გულგრილად აეარა გვერდი და თავისი გზით წასულიყო, მაგრამ, ვინც ბატონ ნოდარს იცნობდა, დაემომხმება, რომ მისთვის უცხო იყო ასეთი გულგრილობა.

ქუჩაში ნიბლია ჩიტბვივით მოზუზული ორი ახალგაზრდა რომ შეუნიშნავს, მიახლოვბა, მისალმებია და უკითხავს, რამე ხომ არ გიჭირთო.

და-ძმას მშობლების გაფრთხილება გახსენებია და მათი ზედის მაძიებელი ეჭვის თვალთ შეუთვალეირებია. მაგრამ ნოდარი რისი ნოდარი იქნებოდა, ყველაფერა ბოლომდე არ გაერკვია!.. გვარია-ნადაც უწვალდა, მაგრამ ბოლოს და-ძმისთვის მაინც უპოვია ახალ მისამართზე გადასული ნათესავი და, სანამ არ დაუბინავებია, მანამ არ მიუტოვებია.

გამომშვიდობებისას ჩემს ბიძაშვილებს ბატონი ნოდარისთვის თავიანთი მისამართი მიუცხიათ და უთხოვიათ, თუ ოდესმე მოხვდებით ნაღიკში, როგორც ახლობლებს, ისე გელით ოჯახშიო.

იმ შემოდგომას ბატონი ნოდარი თავის მეგობართან ერთად რალაც საქმის გამო მაშინდელ ორჯონიკიძეში ჩასულა. საქმე ნაადრევად მოუთავებიათ, ერთი-ორი დღე თავისუფალი ჰქონიათ და ნოდარს ჩემი ბიძაშვილების მიწვევა გახსენებია. მაშინდელი ის შეხვედრაც ასე მომხდარა.

ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ ნოდარ ჩხეიძის აბსურდული დალუპვის ამბავი რომ გაიგეს ნაღიკში, ბიძაქემის ოჯახმა, როგორც ახლობელი ნათესავი, ისე გამოიტერა ეს დიდებული მამულიშვილი. ბედნიერა, ვისაც ძალუძს, ერთი შეხვედრითაც კი ისეთი გულის სითბოს გაცემს, რომელიც სხვებს მუდამეჭამს გაათობს. სწორედ ასეთი ბედნიერი ადამიანი იყო ბატონი ნოდარ ჩხეიძე!

## ზესიური საქართველოს ბინადარი ნოდარ ჩხეიძის გახსენება

### დიმიტრი ლოზჯანიძე

ბით, თავგამოდებით იცავდა, მხარში ედგა ახალგაზრდა, დამწყებ მწერლებს, რა თქმა უნდა, თუ მათში ნიჭის ნიშან-წყალს დალანდავდა...

**1965 წელს** გამომცემლობა „ნაკადულმა“ ლიტერატული კონკურსი გამოაცხადა საყმანვილო-ახალგაზრდული ნაწარმოების შექმნაზე. იმ დროს ასეთი კონკურსები ხშირად იმართებოდა, რაც ხელს უწყობდა ახალგაზრდა შემოქმედთა დამოკიდებულებას და ნახალისებას.

კონკურსში მონაწილეობა ჩემმა მეგობარმა, მაშინ უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტმა გიზო ზარნაძემაც მიიღო. მისმა საკონკურსო ვრცელმა საყმანვილო მოთხრობამ „ჩემი ყავარჯნიანი მამა“ სამივე რეცენზენტისგან უმაღლესი შეფასება – „ხუთიანი“ დაიმსახურა და პირველი პრემიის ამკარა პრეტენდენტი გახდა, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა უკვე შეჯამებული კონკურსის შედეგები საჯაროდ უნდა გამოცხადებულიყო, შეიცვალა გამომცემლობის დირექტორი; ახალმა დირექტორმა კი ქვა შეაგდო და თავი შეუშერა: სხვის „ჩანყოფილ“ ნაწარმოებზე პრემიას ვერ გავცემ, მხოლოდ დაბეჭდვის რეკომენდაცია მიეცითო. ასე მიიღო ჩემმა მეგობარმა პირველი პრემიის ნაცვლად, დაბეჭდვის რეკომენდაცია.

უნდა გენახათ ამ უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული ბატონი ნოდარი! საოცარი თავგამოდებით იცავდა კონკურსში გამარჯვებულ დამწყებ მწერლებს. ამასთანავე, მთავარი ის კი არ იყო, რომ ეს დამწყები მწერალი მისი სტუდენტი იყო. ვინც უნდა ყოფილიყო, მასაც ასეთივე თავგადადებული გამოცხადებოდა. ბატონი ნოდარი მთელი მისი ბუნებით, შინაგანი განწყობით, უბრალოდ, ვერ იტანდა უსამართლობას, ყოველთვის იმის მხარეს იჭერდა, ვის მხარესაც სიმართლე იყო...

ამ შემთხვევაშიც სიმართლის მხარეს იყო. მართლაც, როცა მოგვიანებით, 1967 წელს გიზო ზარნაძის მოთხრობა, სხვა რეკომენდებულ ნაწარმოებებთან ერთად, „ნაკადულმა“ ცალკე წიგნად გამოსცა, მან მკითხველთა მოწონება დაიმსახურა.

**ბატონ ნოდარს** თითქოს უზომო, დაუოკებელი ენერგია „აწუხებდა“, ვერც-

ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა...

**ბატონი ნოდარი** დიდბუნებოვანი კაცი იყო, საოცარი გულისხმიერების გამოჩენა სჩვეოდა გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანების მიმართ...

მაშინ მესამე კურსზე ვიყავით.

სექტემბრის თბილი, პირველი დღეები იდგა. ლექციების დაწყებამდე სტუდენტთა ერთი ჯგუფი, ჩვეულებისამებრ, უნივერსიტეტის ეზოში ვიდექით და ვსაუბრობდით. სწორედ ამ დროს ბატონი ნოდარი შემოვიდა და პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა. მივხვდით, რომ რალაცის თქმა სურდა.

მივესალმეთ და დაველოდეთ, რას გვეტყოდა.

სალამზე პასუხი დაგვიბრუნა, მერე კი მე მომმართა: ნაღიკიდან ბიძაშენ-ბიძაშვილებმა მოგიკითხესო.

ამის გაგონება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ერთ ხანს დაბნეულმა და გაოცებულმა ხმა ვერ ამოვიღე: საიდან უნდა სცნობოდა ბიძაქემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი და ცნობილი კრიტიკოსი?!

ბატონი ნოდარი კი გაღიმებული იდგა და მელოდა, რას ვეტყვოდი. პასუხი რომ დავუგვიანე, ალბათ, იფიქრა, რამე ხომ არ შემეშალაო და თვითონაც საკმაოდ გაოცებული ჩამეკითხა:


– შენ დიმიტრი ლოზჯანიძე ხომ ხარ?!

– კი-მეთქი, – დავუდასტურე.

– ჰოდა, ნაღიკში ბიძა, ვალოდია და ბიძაშვილები რომ გყვანან, იმათთან ვიყავი ოჯახში სტუმრად ერთ ჩემ მეგობართან ერთად. დიდებული პატივი გცცეს და ღამეც შესანიშნავად გავატენებინეს. შენ კი მოგიკითხეს და შემოგითვალეს, არ იცუდულუტო, კარგად ისწავლეო, – მერე ყველას გაგვიღიმა, გაბრუნდა და ჩვეული მკერცბილი ნაბიჯით აიარა უნივერსიტეტის შეღმართი.

გულზე მომეშვა, მასპინძლობით რომ კმაყოფილი დარჩენილა, თუმცა ვიცოდი, რომ ბიძაქემს ტრადიციული ოჯახი ჰქონდა და თავს არავისთან შეირცხვენდა. ბიძაქემის ოჯახისა და ბატონი ნოდარის გაცნობის ამბავი ბიძაშვილებმა მოგვიანებით მათთან ნაღიკში ყოფნისას მიაშბეს... ერთი წლით ადრე, სანამ უნივერსიტეტში მოვეწყობოდი, ჩემი ბიძაშვილები,

ფელდრიკო ბარსიას ლოკა



მყუდრო ღამით, ამ მარჯნისფერ ღამით  
წავალ სანტიაგოს.

სველ ქვიშაზე ზღვის ტალღების ჩქამით  
წავალ სანტიაგოს.

გახვეული ყვავილების მტვერში  
წავალ სანტიაგოს.

ო, საყვარელი სავანე სულის,  
ო, კუბა! მინის მხურვალე სუნთქვა!  
წავალ სანტიაგოს!

**ირენა ბარსიას**

მდინარის პირად ჩინარები ცეკვავენ ისევ,  
ერთ მათგანს თუმცა

შერჩენია სამი ფოთოლი,  
მიიღტვის წინ და კვლავ თავბრუდამხვევად  
ცეკვავს!..

ეჭვი, გამოდი, ირენა!

იცეკვე მწვანე ბაღში...

აჰყევი სიმთა ჟღერას, წვიმის

წვეთების დარად

იცეკვე მწვანე ბაღში...

კვლავ მიიჩქარის ღელე...

შენ კი არ ჩანხარ, სულო!..

მდინარის პირად ჩინარები ცეკვავენ ისევ,

ერთ მათგანს თუმცა

შერჩენია სამი ფოთოლი,

მიიღტვის წინ და კვლავ თავბრუდამხვევად

ცეკვავს!..

**ცეკვა**

ბაღში ირწევა ღამე და ექვსი ბოშა ქალი  
თეთრ სამოსელში ცეკვავს  
თავბრუდამხვევი ძალით!

ბაღში ირწევა ღამე და გვირგვინები ვერცხლის  
ფეთქავს ფერადი ალით  
ვარდ-ყვავილების ცეცხლის.

ბაღში ირწევა ღამე და სივრცეს ერთვის ღელვით  
და იფერფლება ბნელი  
მათი კბილების ელვით.

ბაღში ირწევა ღამე და ექვსი თეთრი ლანდი  
კვლავ თავანყვევით ცეკვავს  
და არხევს ზეცის მანდილს!..

**კორდოვის კვარტალში**

ღამე ეშვება მძიმე. სარკმელს დარაბა ფარავს.  
სხივი ვერ შედის სახლში.

ოთახში გოგოს სძინავს...

სძინავს მარადი ძილით.

თმაში ინახავს ყვავილს,

თავის გიშრისფერ თმაში!

ფანჯრის რიკულზე ჩუმად

სამი ბულბული კვნისის...

ხალხი მიმოდის ოხვრით,

გიტარა ტირის ქარში!..

**ტყვე ქალი**

ქალიშვილი-სიცოცხლე მიდიოდა  
შემკრთალ ტოტზე ბედისწერის...

მიდიოდა თამამად და უშფოთველად

შემკრთალ ტოტზე

ბედისწერის...

ის ცხოვრების თეთრ სარკეში ნებივრობდა –

შემკრთალ ტოტზე ბედისწერის...

სიბნელეში გზა დაეხსნა ჟამის ტყვე ქალს

და ატირდა შემკრთალ

ტოტზე ბედისწერის!

**სოლჯა**

ძაძებში ქალი!

ქვეყანას მიიჩნევს არარად.

მწუხარე სულის კვნესას

და ოხვრას

ულმობელ სუნთქვის ნიაღვარში

ჩაძირავს ქარი...

და უპასუხოდ რჩება ისევ ძაძებში ქალი!

ცის აივნიდან განთიადზე

რიკულებს შორის

ჩამოიდგრება ცისკარი მკრთალი...

ვაი, აი, აი, აი, აი...

მოთქვამს ნიადაგ

ძაძებში ქალი!

**აფსუს**

კვიპაროსის ჩრდილი კვნესის

და ირხევა ქარში ღამით...

(დამტოვეთ მე მინდვრად მარტო).

ყველაფერი ირღვევა და

მდუმარებით ხდება სავსე...

(მე ტირილი მინდა მარტო).

დაჭრილი ბნელს შემაფარეთ,

ქვეყნის შუქი

არის ბასრი!

(ო, დამტოვეთ, დამტოვეთ მე

მინდვრად მარტო,

მხოლოდ ერთი...)

**გამოთხოვება**

დატოვეთ ღიად აივნის კარი, მოვკვდები როცა!

მე აივნიდან ვხედავდე, მინდა,

ბავშვები ბაღში როგორ წყვეტენ

ხეზე ფორთოხლებს...

მე აივნიდან ვუცქირო მინდა, ნამგლის ტრიალში

როგორ წვება

ველზე თავთუხი...

მოვკვდები როცა!

**ნარცისი**

ნარცის, შენი სურნელება და მდინარის

კამკამა ტანი.

მე მინდა შენთან ყოფნა მარადის!

ო, სიყვარულის

ყვავილო, ნარცის!

შენი თვალის სიანკარეში კრთის ათინათი

თევზებისა და ტალღების ჭავლის!..

ჩემი თვალები დალილია იაპონური პეპლების

და ფრინველების ფერთა თამაშით...

შენ პატარა ხარ, მე კი დიდი,

სიყვარულის ყვავილო, ნარცის!

ჩვენ შეგვამჩნიეს ბაყაყებმა და ეშმაკური

ჩახტომით წყალში

დაგვიმსხვრიეს

ოცნების სარკე!

ახლა სადა ვართ, რას ვუცქიროთ მე და

შენ, ნარცის?

ო, ის ხატება მშვენიერი, ნეტავ, სად გაქრა?

ჩაცვეპერი წყაროს

და სულიერ სიმშვიდეს მაცლის,

ჩემი ტკივილი ისევ დარჩა

ტკივილად, ნარცის!..

თარგმნეს  
დოდო ნარმანიამ და  
დავით გააშენიამ



ნევა თავზე მაყრია ბრელოდ“, „არადა, მინის ქალაქთან ოფლს მელანივით ვხმარობ!“, „შორს, წყალში ახლაც კანკალებს თხმელა“, – დედინაცვლისგან დასჯილი ბავშვი“, ხოლო ამ ერთზე – „და ნაყვავილარ სახეზე ცას ნაწალივით ვკოცნი“, – ცოტა ხნით უნდა შეეჩერდეს.

ცა პოეტების შთაგონების წყაროდ უთვალავჯერ ქცეულა და არცაა ეს საკვირველი. „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“, „შენ ისე ღრმა ხარ, ქართული ცაო“, მაგრამ მაინც, როგორც შედარების ობიექტი, ცა გამოკვეთილად ჩანს სამი პოეტის შემოქმედებაში.

**გარსია ლორკა:** „შუალამის ცა ჰგავდა გახლეჩილ ბრონეულს“. **ანდრეი ვოზნესენსკი:** „ვარსკვლავები ცაზე, როგორც მიკრობები წყალში“.

**ზაალ ებანოძე:** – „და ნაყვავილარ სახეზე ცას ნაწალივით ვკოცნი“. მშვენიერია, ორიგინალური შედარება – ღამეულ ცას ნაყვავილარით გამოჰყრია ვარსკვლავები!

ბოლოს, კიდევ ერთი დეტალიც და „საშუალო ვარიანტისათვის“, ვგონებ, იკმარება.

ზემოთ ითქვა, რომ ქისაქურეზე ზაალი ასეთ ფრაზას გვთავაზობს: „სიცოცხლის შემდეგ გამოცემულ წიგნში“.

თუ ეს კორექტურული შეცდომაა, მაშინ ბრავო კორექტორს! და ხელი არ ნასცდეს ხელმეორედ გამოცემისას ზაალს და არ ჩაასწოროს! (თუ რატომ, მოგახსენეთ).

შესაძლოა, ბევრისთვის არ იყოს ცნობილი, რომ სახელოვანი ამერიკელი მწერლის გვარი „ფოლკნერი“ – სწორედ კორექტორის შეცდომის შედეგად მიიკუთნა უილიამმა. სინამდვილეში, ფოლკნერი ყოფილა, მაგრამ ლექსების (საკმაოდ სუსტი ლექსების) წიგნზე შეცდომით მიწერილი „ფოლკნერი“ ძალიან მოსწონებია ავტორს.

ერთი სიტყვით, როგორც სოფელ ჭორვილაში ვერ ნაწყდებით, ბატონი ბიძინას გარდა, ვერცერთ ივანიშვილს, ასევე, ამერიკაშიც – ვერცერთ ფოლკნერს!..

ეს ისე, სხვათა შორის.

ვარლევ პირობას და ორ ლექსსაც ნაფუმატებ, რომელთაგან ერთი თითქმის ავტოპორტრეტია, ხოლო მეორე – თვით ვაჟას საკადრისი.

\*\*\*

*შეიძლება დეს, გავიქცეოდი სადმე, შემიკედლებდა მანაწნალების გუნდი, შენგან მოძღვნილი ჩემი კუთვნილი დავთმე და ერთგულებით ვზიდე მონობის სუნდი. ვაითუ მაინც შევხარბებდით ვინმეს, ოდად ჩათვალა ხავსმოდებული სორო, სადაც აქამდე ჩემივე გულის მღვიმეს შეფარებული საყდრის ბერივით ვცხოვრობ. არც რა ახალი, არც რა ძველია რამე (მდორე დინებას დასაბამიდან ვენდე), ვდგავართ პირისპირ მე და ლუსკუმი ღამე და ერთმანეთში იმედს ამაოდ ვეძებთ. თავზე დაგვეყურებს გალაქტიკების ბანი, ბანზე მშვენიერი ვარსკვლავ-ქალები სხედან, გადახსნილია მეტეორების დანით მათი მაჯები და ჩემი გულის სევდა. სევედის სარკმლიდან ამოშორალმა ზემოთ, შემოგატირე ჩემი ჩალა და თივა; წუთისოფელი მწკლარტეს მიტოვებს გემოს და რო არ ველი – იმდროს მამტრევეს და მცივა. ვაი საბრალო, ჩემო ცოლო და შვილო (უფრო საბრალო ალბათ, უთქმელად ხედებით), დამიფარებენ ქარის სუდარას – ტილოს, დამიმშვენებენ მკერდს ღამეების თმებით. და ეს იქნება... როდის იქნება, ვინ თქვას, სული ცოდვილი ავერ ჯახირობს ჯერაც, მიმინოსავით წინ გამიშვია სიტყვა და მუშა კაცის ხეითი მისველებს პერანგს.*

\*\*\*

*მარადიული შენა ხარ, მე – ხელის მუშა დღესო, ტანზე მეხვევი ვენახად, სულში გადგმულ ფესვო, ყოველ წელიწადს ხელახლა უნდა ვბარო და ვთესო, ხირიმს ფალია ვუცვალო, ხანჯალი უნდა ვღვებო, პასუხი უნდა მოვთხოვო, ვინაც ავიქნევს ხელსო, სიყვარულს უნდა ვაუძლო, ხანძარზე უფრო მწველსო, ზურგი ვუჩვენო სიძულვილის, ნკვარამ ღამეზე ბნელსო, ძალი ვაყეფო თიოზე, ხოტბა ვაკადრო მზესო, მოლზე წამოვწევი ვულაღმა და ვარსკვლავები ვმწყემსო!*

დიდხანს, ძალიან დიდხანს გამწყესინოს, ჩემო ზაალ!

**გიზო ზარნაძე**

## სვალ გიმღერებს ზეცის ორკესტრი...

„ცოდო სიკვდილისად აის არი, ვინც მარტო თავის დედას მოუკვდების“, – ეს ფრაზა შერმადინ ქალდანის ლექსიდან არის – თავისი მეგობრის, ფირუზ მაჩურიშვილის ხსოვნას რომ მიუძღვნა. შერმადინი მარტო თავის ცოლ-შვილს კი არ მოუკვდა, მისი წასვლით ეს სამზეო, ერთი კოლორიტული მთა-კაცით დაცარიელდა.

იგი მოუკვდა თავის უზარმაზარ საძმოს ... ასევე უზარმაზარ საძმოს ეახლა!..

დადიოდა თბილისის ქუჩებში ბოჰემა-პოეტი – ტიცინა ტაბიძის იერით და რუსთაველის პროსპექტზე მიმავალს თეთრი ლანდივით მისდევდნენ მთები. დადიოდა პატრიარქალური, დინჯი ნაბიჯით; მოდიოდა და მოჰქონდა ქუჩა; ლექსით ცოცხლობდა, პოეზია ჰყიოდა მის სულში!

კომპოზიციები და მარტოები სტკიოდა, „რიჰო“ და „ლილე“ მისი ჟრუანტელი იყო.

წინაპრის ძლიერი გენით მოდიოდა და ტრადიციებისთვის არასოდეს უღალატნია. ძმობის სიყვარულში არასოდეს შეშლია, გულნათელი და სულნათელი კარგი თანამეინახე და ძმობის თვალი იყო.



„ხომ არ წარსტაცეს ნიჭი მზის და გარდაცვალების შენს საბრძანისში ვარდებს და იებს“...

„ვიტრინის თოჯინაც“ დღეს შენი ჭირისუფალია!..

მშვიდობით, ძმაო, „ხვალ გიმღერებს ზეცის ორკესტრი“!

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია**

**ბაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ჟურნალი „დილა“**

## ბადა სოფია მკვლევარი-მედიკოსი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მწერალთა ეროვნული აკადემია და ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ღირსეული მოქალაქე, მამულიშვილი, ცნობილი მკვლევარი და მწიგნობარი ბადა (ნეგუს) ლავრენტის ძე სოფია.

ბადას ცინცხალი გონება ვერ ჯდებოდა სტერეოტიპულ ჩარჩოებში – თავისი ბუნებით იგი მეგობრობის უბადლო მაგალითი იყო – ყოველთვის ცდილობდა გვერდში დაგდგომოდა და ფეხზე წამოდგომაში დაგხმარებოდა. ბადას მისი კოლეგები იცნობდნენ, როგორც შრომისმოყვარეს და ზედმინევიტ წიგნიერ პიროვნებას. მას განსაკუთრებით ისტორიული შინაარსის წიგნები იზიდავდა. ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია, ექვთიმე თაყაიშვილი...

მობდა გასაოცარი რამ: ათასწლეულების მანძილზე დამუწვებულმა საკრალურმა სახელებმა თითქოს ენა აიდგეს ბადას კვლევებში. ამის გასაღები ალლოიანმა შემეროლოგმა სამყარო შუამდინარულ სიტყვაში იპოვა „ან-ქი“ (ცა-მინა), რომელსაც ზედმინევიტ შეესაბამებოდა მეგრული „ქი-ანა“, სვანური „გიმ“ – მინა, „ლილე“ – „ენლილი“ და სხვა. ბადა სოფიამ, მიუხედავად ბოლო წლებში სიკვდილთან აშკარად ბრძოლისა, შეძლო ლამის გასაოცარი საქმის ბოლომდე დაგვირგვინება – გამოიფრა შუამდინარული წარმართული ღმერთების, ტაძრების, მეფეთა, არხებისა და სხვა ეტიმოლოგიური მნიშვნელობები. 2006 წელს ეს მოსაზრებანი ცალკე წიგნადაც გამოიქცა.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

**თამაზ ნიჟნიაძე, კობა არაბული, ბენო და ზაურ კალანდიაძე, ვახტანგ მიშველია, გური ოტოზია, ვია კვაშილაძე, ალექო გაგელია, რამაზ პატარიაძე, ოთარ ფაცაცია, განაზ განაზიანი, ზაურ მოლაშხია, მუჰამად ზაქარიაძე, ჯოჟოლა ჩიხიანი, მამა გურამ ოთხოვორია, ზაურ ნაჭყვიაძე, ლაშა გვასალია, ჯამალ შონია, გიორგი სიჭინავა, ვახტანგ ხარჩილაძე**

## ქრისტიანული პოეზიის IV ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

ფესტივალი ჩატარდება 2014 წლის ივნისში, ქ. თბილისში. თითოეული ავტორისაგან მიიღება ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი 2014 წლის 31 მარტის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე: festivali2011@yahoo.com; festivali2011@mail.ru. ლექსს უნდა ერთვოდეს ავტორის სახელი და გვარი, ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

საფესტივალო დამატება საუკეთესო ლექსებისგან შედგენილი კრებული. 3 გამარჯვებულს გადაეცემა ფესტივალის მთავარი პრიზი – წმინდა ნინოს ჯვარი. ფესტივალის 5 მონაწილე დაჯილდოვდება პრიზით – წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი. ტელ: 555 46 44 29

**ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი**

## ბრძანება

2014 წლის 9 იანვრიდან საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ლეჩხუმის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ დაინიშნოს პოეტი **თემურ ჭუმბაშვილი**.

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თ. ნიჟნიაძე**

## ბრძანება

2014 წლის 9 იანვრიდან საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის რაჭის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ დაინიშნოს პოეტი **ანა ერისთავი**.

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თ. ნიჟნიაძე**

## მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქარესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრეს-

ქსარესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“

კოდი: MIBGGE22 ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

## ქვირფასო ავტორებო!

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღმატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“ მისამართი: თბილისი, აგლამის ქ. 39 ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი **თამაზ ნიჟნიაძე**



გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

თავისუფლების მოედანი №4 E-mail: litsaartvelo@yahoo.com ტელ.: 292 34 89

გამოდის პარასკეობით